*დანართი №1*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების "მებაღეობა", "მევენახეობა და მეღვინეობა", " ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება", "ვეტერინარია", "კულინარიის ხელოვნება", "რძის პროდუქტების წარმოება", "აღმზრდელი", "ელექტროობა", "სასმელების წარმოება", "მეხილეობა" მონიტორინგის შესახებ**

| |
|---|
| **ექსპერტთა ჯგუფის წევრები** |
| თავმჯდომარე: მანანა მოისწრაფიშვილი |
| **წევრები:** |
| ვერიკო ჭიღლაძე; ქეთევან გელაშვილი; ირმა ანთია; სოფიო გოხელაშვილი; |
| მზია ბერუაშვილი; ალექსანდრე ჩალთაშვილი; გენადი კვერენჩხილაძე; |
| ირმა არსენაშვილი; ეკატერინე ნანობაშვილი; დავით გუდაძე; ქეთევან ღვანიძე |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების  სახელწოდება: სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი: 236098851
სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

***ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):***

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

■ გეგმიური

მონიტორინგი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე

☐ არაგეგმიური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ვეტერინარია | 15 | 15 | 5 |
| მევენახეობა და მეღვინეობა | 30 | 17 | 11 |
| კულინარიის ხელოვნება | 15 | 8 | 4 |
| აღმზრდელი | 30 | 27 | 0 |
| ბუღალტერია თიანეთი | 20 | 7 | 0 |
| ბუღალტერია მცხეთა | 30 | 8 | 1 |
| ბუღალტერია ყაზბეგი | 20 | 6 | 0 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ელექტროობა მცხეთა | 30 | 9 | 0 |
| ელექტროობა ყაზბეგი | 20 | 10 | 0 |
| თმის მომსახურება მცხეთა | 30 | 5 | 3 |
| ინფორმაციის ტექნოლოგია მცხეთა | 30 | 8 | 0 |
| ინფორმაციის ტექნოლოგია თიანეთი | 20 | 9 | 0 |
| კომპიუტერული ქსელები და სისტემები მცხეთა | 30 | 9 | 0 |
| კომპიუტერული ქსელები და სისტემები თიანეთი | 20 | 5 | 0 |
| მეფუტკრეობა მცხეთა | 30 | 7 | 0 |
| მეფუტკრეობა თიანეთი | 20 | 7 | 0 |
| მეხილეობა მცხეთა | 30 | 7 | 0 |
| მეხილეობა ინტ. მცხეთა | 15 | 5 | 0 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | |
|---|---|---|---|
| რძის პროდუქტების წარმოება თიანეთი | 10 | 5 | 0 |
| რძის პროდუქტების წარმოება მცხეთა | 15 | 6 | 2 |
| სამკერვალო წარმოება მცხეთა | 30 | 10 | 0 |
| სასმელების წარმოება მცხეთა | 30 | 12 | 4 |
| სასტუმრო მომსახურება ინტ.მცხეთა | 15 | 14 | 0 |
| სასტუმრო მომსახურება ყაზბეგი | 10 | 13 | 0 |
| სატყეო საქმე თიანეთი | 20 | 5 | 0 |
| სატყეო საქმე მცხეთა | 30 | 10 | 0 |
| ღონისძიების ორგანიზება მცხეთა | 30 | 8 | 1 |
| ღონისძიების ორგანიზება ინტ.მცხეთა | 15 | 8 | 0 |
| ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება | 15 | 2 | 4 |
| ხის მხატვრული დამუშავება | 30 | 6 | 1 |

## IV. საერთო მიმოხილვა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2023 წლის 10 აპრილის N 398166 (ცვლილება ბრძანებაში N417155-13.04.23) ბრძანების საფუძველზე სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი საგანმანათლებლო პროგრამების - "მებაღეობა", "მევენახეობა და მეღვინეობა", "ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება", "ვეტერინარია", "კულინარიის ხელოვნება" და "რძის პროდუქტების წარმოება" ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის, საგანმანათლებლო პროგრამების - "აღმზრდელი", "ელექტროობა" და "სასმელების წარმოება" სავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) და ბ.დ) კომპონენტებისა და საგანმანათლებლო პროგრამის "მეხილეობა" ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.დ) კომპონენტის, ასევე ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის დ.ა) და დ.ბ) კომპონენტების და ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ა) კომპონენტის შესრულების შემოწმების მიზნით. აღნიშნული მონიტორინგის ვიზიტის საფუძველი გახლდათ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება N 31669907 (MES 5 22 0001184552, 29.09.2022 წ.).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი დისტანციურად პროგრამა Zoom-ის მეშვეობით წინასწარ შეიკრიბა. მათ განიხილეს ვიზიტის საორგანიზაციო საკითხები, შეაჯერეს მონიტორინგის წინასწარ შესწავლილი დოკუმენტებით გამოვლენილი პრობლემური საკითხები და შეათანხმეს ვიზიტის დღის განრიგი.

ა.წ. 19 და 20 აპრილს მცხეთის რაიონის სოფ. წინამძღვრიანთკარში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა IV სტანდარტისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,მებაღეობა“, ,,რძის პროდუქტების წარმოება“, ,,მეხილეობა“, ,,სასმელების წარმოება“, ,,მევენახეობა და მეღვინეობა“, ,,კულინარიის ხელოვნება“ და ,,ვეტერინარია“, 21 აპრილს V სტანდარტის 5.1. კომპონენტისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება“, ,,ელექტროობა“ და ,,აღმზრდელი“ შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ავტორიზაციის მუხლებისა და პუნქტების მიხედვით. აღნიშნულის ფარგლებში ინტერვიუების ჩატარების მიზნით ისინი შეხვდნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელებს და განმახორციელებლებს, პროფესიულ სტუდენტებს, დაათვალიერეს მატერიალურ-



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ტექნიკური ბაზა, შეისწავლეს დამატებითი დოკუმენტაცია და დაათვალიერეს პრაქტიკის ობიექტები და გაესაუბრნენ წარმოების წარმომადგენლებს.

ყოველი სამუშაო დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე დაწესებულების წარმომადგენლებს აცნობდა სამუშაო დღის მანძილზე გამოვლენილ მიგნებებს, ხოლო ვიზიტის დასასრულს მის მიერ ჩატარებული იქნა მონიტორინგის ვიზიტის შემაჯამებელი პრეზენტაცია.

მონიტორინგის ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ სამუშაო ვითარებაში.

ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დავალებული ჰქონდა 2023 წლის 10 მარტს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში მოქალაქე ნელი ხაჩიძის წარმოდგენილ განცხადებასთან (ცენტრში რეგისტრაციის N277968) დაკავშირებული საკითხის შესწავლა. აღნიშნულის მიზნით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა ჩაატარეს მოქალაქე ნელი ხაჩიძის მიერ საჩივარში დაფიქსირებული საკითხების საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში და მცხეთის რაიონში სოფ. წინამძღვრიანთკარში არსებული სიტუაციის მოკვლევა, რომლის საფუძველზე გამოირკვა, რომ საჩივარში მითითებული ნივთები, არეომეტრი, წყლის დისტილატორი და კოლბის გამაცხელებლები (ჩამონათვალი არაა სრულყოფილად მითითებული განცხადებაში) ნამდვილად აქვს შესყიდული კოლეჯს და განთავსებულია მცხეთის რაიონის სოფ. წინამძღვრიანთკარში ქიმიის ლაბორატორიაში. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა როგორც მათი არსებობა ადგილზე, ასევე მათი ფაქტობრივი მდგომარეობა და საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ქიმიის ლაბორატორიის აღჭურვილობა და სასწავლო მიზნებისთვის საკმარისობა დადებითად შეფასდა კომპეტენტური დარგის ექსპერტების მიერ. ასევე, შესწავლილი იქნა კოლეჯის ვებგვერდზე https://tmk.edu.ge/ka/documents განთავსებული ,,სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“ (დამტკიცეული დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის 04-204 ბრძანებით, ცვლილება 04-37 09.03.2022), რომლის მუხლი 2-ის ,,კოლეჯის მატერიალური რესურსების მართვა“ მე-7 პუნქტი ითვალისწინებს შემდეგს: ,,პროფესიული საგამანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ რესურსზე პასუხისმგებელი პირია მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი. ადმინისტრაციის თანამშრომელს და პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებელს საქმიანობისათვის ან/და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლებისათვის აუცილებელ მატერიალურ რესურსებს შესაბამის მიღება-ჩაბარების ან სხვა წერილობითი აქტით გადასცემს მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან გადაცემული მატერიალური რესურსების მიზნობრივად, დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე და მის სწორ ექსპლუატაციაზე.“ აქედან გამომდინარე, დაწესებულების მიერ მისივე მარეგულირებელი წესის დარღვევის ფაქტი არ ფიქსირდება და ამავე დროს, კოლეჯის ადმინისტრაცია უფლებამოსილია თავად დაადგინოს კოლეჯის მატერიალური რესურსების მართვის წესები და შემდგომში იხელმძღვანელოს მათი დაცვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ჩატარდა მათთან ინტერვიუები და არცერთი შეუსაბამობის ფაქტი არ გამოვლენილა, რაც შეეხება, სხვა პირის მიერ სხვის ნაცვლად მოდულების განხორციელებას, ვიზიტის ფარგლებში მისი გადამოწმების შესაძლებლობა არ იყო, თუმცა, ინტერვიუს ფარგლებში პროფესიულ მასწავლებელთა მიერ მსგავსი ფაქტი არ დადასტურებულა.

დუალური სწავლების ყველა ობიექტი, რომელიც მითითებული იყო მცხეთის რაიონის სოფ. წინამძღვრიანთკარში მონიტორინგის ფარგლებში განსახილველი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დოკუმენტაციაში, ფუნქციონირებს და მათში გადანაწილებულია პროფესიული სტუდენტები. ამგვარად, საჩივარში მითითებული ფაქტი თითქოს დუალური სწავლების ობიექტები ლიკვიდირებულია ან უფუნქციოა, ჩვენი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში არ დადასტურდა.

საჩივარში დაფიქსირებულია ფაქტი, რომ ტრენინგზე დახარჯული საათები მასწავლებელს არ აუნაზღაურდა, რაც კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ დადადასტურდა, რომ ნამდვილად არ ანაზღაურებულა და გაგვენმარტა, რომ მასწავლებელთა ტრენინგი ნებაყოფლობითია და კოლეჯის ბიუჯეტით იგი, როგორც წესი, არ ნაზღაურდება.

## V. ავტორიზაციის 1-ელ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **4) ადამიანური რესურსები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 4.1) პერსონალის და პროცესების მართვა | | სრულ შესაბამისობაშია |
| 4.2) პერსონალის განვითარება | | სრულ შესაბამისობაშია |
| **5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | | სრულ შესაბამისობაშია |

## VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

–



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

შესაბამისობის რეკომენდაციები:

**ინდიკატორი 4.1.1.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული,** მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები რიგ შემთხვევებში საჭიროებს დაზუსტებას, კერძოდ: - საქმისმწარმოებლის პოზიციისათვის ერთ-ერთ საკვალიფიკაციო მოთხოვნად გაწერილია „უმაღლესი განათლება ან/და სერტიფიცირება“, სასურველია კოლეჯმა, დააკონკრეტოს რას გულისხმობს სერტიფიცირებაში, რადგან გრადაცია უმაღლეს განათლებასა და სერტიფიცირებას შორის საკმაოდ დიდია, მით უმეტეს, რომ კვალიფიკაციის ველში მოთხოვნილია ფილოლოგია, სამართალმცოდნეობა, ან/და ოფისის მენეჯერის, საოფისე საქმის სპეციალობა. ფილოლოგიის, სამართალმცოდნეობის უმაღლესი განათლების ფლობა არ გულისხმობს საქმისწარმოების საკითხების ცოდნას. შესაბამისად, რეკომენდებულია კოლეჯმა დააზუსტოს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები; - რიგი პოზიციების შემთხვევაში, კოლეჯის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შეიძლებოდა იმგვარად განსაზღვრულიყო, რომ კოლეჯს შეძლებოდა შესაბამისი კომპეტენციის კადრების აყვანა, მაგალითად: დამლაგებლის/მძღოლის საკვალიფიკაციო მოთხოვნად მითითებულია პროფესიული ან/და სრული ზოგადი განათლება, ხოლო კოლეჯის ერთ-ერთი მძღოლი ფლობს საბაზო (არასრული საშუალო) განათლებას, რის გამოც ის ვერ აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნას; - ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით რიგ შემთხვევაში არასწორადაა გაწერილი ანგარიშგების კომპონენტიც, მაგალითად, მძღოლი ანგარიშგებას ახდენს დირექტორის წინაშე, მაშინ, როდესაც მძღოლის უშუალო ხელმძღვანელი სამეურნეო მართვის მენეჯერია. მძღოლის ერთ-ერთ ფუნქციად კომპეტენციის ფარგლებში შემოსული კორესპონდენციის განხილვა და შესაბამისი პასუხის მომზადება.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებული „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის“ ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სამუშაო აღწერილობების და ფუნქცია მოვალეობების გადახედვა/დარეგულირება, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 ივნისი - **რეკომენდაცია შესრულებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი 4.1.1.3 მეტწილადაა დაკმაყოფილებული,** მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებში ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ უნდა გადახედოს შიდა მარეგულირებელ აქტს - „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას“ და დოკუმენტის 3.9 მუხლის დებულებები მოიყვანოს ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. კერძოდ, კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის N04-03 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის‟ 3.9 მუხლში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი - „თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობას წერილობითი სახით ასაბუთებს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი და დაურთავს კოლეჯის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენილ პროგრამის პროექტს“, ვინაიდან ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით თავად პროცესი ექვემდებარება მონიტორინგს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას წერილობითი სახით ასაბუთებს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, წარმოადგენს ინტერესთა კონფილიქტს, შესაბამისად მოცემული დებულება წინააღმდეგობაშია 4.1.1.3 სტანდარტის მოთხოვნებთან. მოცემული აქტივობისათვის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებული „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის“ ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა/გაუმჯობესება/ახალის შექმნა, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 ივნისი - **რეკომენდაცია შესრულებულია.**

**ინდიკატორი 4.1.2.3 მეტწილადაა დაკმაყოფილებული,** პერსონალის ნაწილის კვალიფიკაცია არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, კერძოდ: - ლოჯისტიკის სპეციალისტის კვალიფიკაცია არ შეესაბამება კოლეჯში მოქმედი რეგულაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რომლის მიხედვით, ამ პოზიციაზე დასაქმებული პირის კვალიფიკაცია უნდა იყოს საბუნებისმეტყველო, ფინანსების, ეკონომიკური ან/და ბიზნესადმინისტრირების, ლოჯისტიკის მიმართულებით, რეალურად კი კოლეჯში დასაქმებულ პირს აქვს საერთაშორისო ურთიერთობების კვალიფიკაცია; - შესყიდვების სპეციალისტის, რეესტრის წარმოების სპეციალისტს, კოლეჯის სამეურნეო მართვის მენეჯერს, სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს პირადი საქმეებით არ უდასტურდებათ სამსახურში აყვანის მომენტისათვის სამუშაო გამოცდილების არსებობა დაწესებულების მიერ განსაზღვრული ოდენობით; - ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უნდა ჰქონდეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, რეალურად, კი ამ პოზიციაზე დასაქმებული პირი ჯერ სტუდენტია. აღნიშნული საკითხის მოგვარების მიზნებისათვის, კოლეჯში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დირექტორის 2022 წლის 16 ივნისის №02-109 ბრძანებით დანიშნულ იქნა ახალი თანამშრომელი, რომელსაც უდასტურდება სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი ფსიქოლოგიაში, წარმოდგენილია ინკლუზიური განათლების მიმართულებით ტრენინგების გავლის დოკუმენტები. მოცემული პოზიციისათვის დაწესებულების მიერ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ითვალისწინებს არანაკლებ 3 წლიან სამუშაო გამოცდილებას, რაც წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება. ინფორმაცია სამუშაო გამოცდილების შესახებ მოცემულია დასაქმებულის მხოლოდ რეზიუმეში; - აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, ზოგიერთი პოზიციის (მაგალითად, დამლაგებელი, დამლაგებელ-დიასახლისი, მძღოლი) საკვალიფიკაციო მოთხოვნად მითითებულია პროფესიული ან/და სრული ზოგადი განათლება. კოლეჯში დასაქმებულ ერთ-ერთ მძღოლს მხოლოდ უდასტურდება საბაზო (არასრული საშუალო) განათლება; - არ უდასტურდება კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით გავლილი უნდა ჰქონდეს შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამა. აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განხორციელდა საკადრო ცვლილება და კოლეჯის 2022 წლის 14 ივნისის №02-105 ბრძანებით კოლეჯის შრომის უსაფრთხოების პოზიციაზე დანიშნულ იქნა ამავე კოლეჯის სხვა პოზიციაზე დასაქმებული პირი, რომელსაც უდასტურდება შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით განსაზღვრული მოთხოვნები. დაწესებულებას რიგ შემთხვევებში გაწერილი აქვს მაღალი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, უმჯობესი იქნება აღნიშნული შეფასდეს რეალისტურად და მოვიდეს პოზიციის შინაარსთან შესაბამისობაში. თუმცა, კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებულია „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა", რომლის ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტის სრულად დაკმაყოფილება, აღნიშნული აქტივობას აქვს რამდენიმე ქვეაქტივობა, რომელთაგან ერთი ეხება თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სამუშაო აღწერილობების და ფუნქცია მოვალეობების გადახედავა/დარეგულირებას, ქვეაქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 ივნისი - **რეკომენდაცია შესრულებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი 4.1.2.2 მეტწილადაა დაკმაყოფილებული,** დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები ვერ უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, თუმცა მიმდინარე წლის 26 აგვისტოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის MES 6 22 0000950922 კორესპოდენციით მოგვეწოდა კოლეჯის არგუმენტირებული პოზიცია, კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 25 აგვისტოს N04- 143 ბრძანებით განხორციელებული ცვლილების საფუძველზე დამტკიცებული ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმა, რომლის მე-3 აქტივობა გულისხმობს „პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით“. აქტივობის ფარგლებში კოლეჯს განსაზღვრული აქვს 5 ქვეაქტივობა, მათ შორის - "1. კოლეჯმა უზრუნველყოს დასაქმებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლება (სტაჟირებების გზით). (ინდიკატორი 4.1.2.2) 2. კოლეჯი გადახედავს და ცვილელბას შეიტანს კადრების შერჩევის მარეგულირებელ დოკუმენტში. (ინდიკატორი 4.1.2.2 ), 3. კოლეჯის ბაზაზე სტაჟირებების გამოცხადება და კადრების მომზადება (ინდიკატორი 4.1.2.2 ); 4. კოლეჯმა უზრუნველყოს დასაქმებული კადრების ტრანსპორტირება (ინდიკატორი 4.1.2.2 ); 5. კოლეჯის ბაზაზე მოხდეს საკვები ობიექტის რეაბილიტაცია. (ინდიკატორი 4.1.2.2 ) 6. ადამიანური რესურსების (HR) და აგრარული მიმართულების მენეჯერის შტატის დამატება (ინდიკატორი 4.1.2.2 )". აქტივობათა შესრულებისათვის კოლეჯის მიერ განსაზღვრულია 6 თვე. ექსპერტთა ჯგუფი შესაძლებლად მიიჩნევს 4.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელებას კოლეჯის მიერ განსაზღვრულ დროში, მათ შორის ძირითად ღონისძიებად მიჩნეულია პერსონალის შერჩევის პროცედურების გადახედვა და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. **რეკომენდაცია შესრულებულია.**

**ინდიკატორი 4.2.1.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული,** კოლეჯს არ განუხორციელებია პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა.**რეკომენდაცია შესრულებულია.**

**ინდიკატორი 5.1.1.5 მეტწილადაა დაკმაყოფილებული,** დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, თუმცა დაწესებულებაში პერსონალის რაოდენობის გათვალისწინებით, კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა ჰყავდეს არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რისთვისაც კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04- 55) დამტკიცებულია „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, რომლის ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია მატერიალური, ფინანსური რესურსის გაუმჯობესება, უსაფრთხოების ნორმების დაცვის გაუმჯობესება, ხოლო ქვეატივობად მოცემულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის გადამზადება, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 აგვისტო - **რეკომენდაცია შესრულებულია.**

**ინდიკატორი 5.1.2.3 მეტწილადაა დაკმაყოფილებული,** დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი, თუმცა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული არ არის კომპეტენტურ ორგანოსთან. აღნიშნულთან დაკავშირებით, კოლეჯმა წარმოადგინა წერილი, რის მიხედვითაც დასტურდება, რომ კოლეჯის მოთხოვნა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული იყოს კომპეტენტურ ორგანოსთან, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში რეგისტრირებულია შემდეგი ნომრით №1513980; 07.06.2022წ. ამასთან, კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებულია „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, რომლის ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია მატერიალური, ფინანსური რესურსის გაუმჯობესება, უსაფრთხოების ნორმების დაცვის გაუმჯობესება, ხოლო ქვეატივობად მოცემულია უსაფრთხოების ნორმების გაუმჯობესება, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 აგვისტო - **რეკომენდაცია შესრულებულია.**

**მეორე სტანდარტი**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ელექტროობა“**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.1. - დაწესებულებამ „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით“ დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაწესებულების მფლობელობაში არსებულ შესაბამისი სასწავლო გარემო მატერიალური რესურსებით, კერძოდ, C-სასწავლო გარემოში განთავსდეს 220/380 V კარადა, სადაც პრაქტიკული მეცადინეობის დროს უნდა მოხდეს ძაბვის დაერთება, განხორციელდეს სასწავლო გარემოს CAD პროგრამით უზრუნველყოფა და დაკონკრეტდეს პარტნიორ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. 2.4.1.3. - დაწესებულებამ „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით“ დადგენილ ვადებში უზრუნველყოს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება, კერძოდ, C-სასწავლო გარემოში განთავსდეს 220/380 V კარადა, სადაც პრაქტიკული მეცადინეობის დროს უნდა მოხდეს ძაბვის დაერთება, განხორციელდეს სასწავლო გარემოს CAD პროგრამით უზრუნველყოფა **რეკომენდაცია შესრულებულია.**

მეორე სტანდარტი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეხილეობა“
2.4.1.3. დაწესებულებამ „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით“ დადგენილ ვადებში უზრუნველყოს უნიკალური ხეხილის ბაღის მოვლაპატრონობა. **რეკომენდაცია შესრულებულია.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **- მებაღეობა**

2.2 კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილი შესაბამისობა“, ვინაიდან ინდიკატორი 2.2.1.1 შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის არ არის უზრუნველყოფილი სასწავლო საწარმოს მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით
ზემოაღნიშნული ინდიკატორის უარყოფითად შეფასების გარემოებას წარმოადგენს:
დუალური მიდგომით სწავლებისათვის კოლეჯსა და სასწავლო საწარმოებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში არის შემდეგი შეუსაბამობები:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ერთ ხელშეკრულებას (ი/მ ნიკოლოზ სინაძე) არ ახლავს სასწავლო გეგმა, მოდულების და სწავლის შედეგების ჩამონათვალი, საჭირო რესურსების ნუსხა;

- დანარჩენ ორ ხელშეკრულებაში აკლია 1 მოდულის (კერძოდ, მცენარეთა მავნე ორგანიზმების იდენტიფიცირების პრაქტიკული სწავლის შედეგი). ხელშეკრულებებს, რომელთაც ახლავთ მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, ფორმაში - „აღნიშვნა საწარმოში არსებობის შესახებ“, რიგი მატერიალური აღჭურვილება აღნიშნულია როგორც „არ არის საწარმოში“, ან არ ფიქსირდება აღნიშვნა, მათი არსებობის შესახებ. კოლეჯის წარმომადგენელთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ აღნიშვნვის არარსებობა ან უარყოფითი აღნიშვნა ნიშნავს, რომ ეს რესურსი სასწავლო საწარმოში არ არსებობს. შესაბამისად:

1. საქართველოს დეკორატიული და ტყის შემქმნელი ენდემური სახეობების მწარმოებელთა ასოციაციაში ხელშეკრულების მიხედვით არ დასტურდება შემდეგი ინვენტარის არსებობა:

- ბენზინისძრავიანი ხერხი, ბენზინისძრავიანი ბორდიურის მაკრატელი, კომპოსტის დასამზადებელი კონტეინერი, მენზურა, მექანიკური სატკეპნი მოწყობილობა, მცენარის დასარგავი ბურღი, სამყნობი აპარატი, სამყნობი დანა, უთო სარწყავი მილებისთვის, სხვადასხვა ზომის საცერი.

2. ფიზიკური პირი ზაქარია სინაძე, სასწავლო საწარმოში ხელშეკრულების მიხედვით არ დასტურდება შემდეგი ინვენტარის არსებობა:

- ბენზინისძრავიანი ხერხი, მფრქვევანა 180 (რაოდენობა შეადგენს ორს, თუმცა საწარმოში მითიტებულია მხოლოდ ერთის არსებობა), მფრქვევანა 360, PH მეტრი, ბუჩქის საკრეჭი მაკრატელი, კომპოსტის დასამზადებელი კონტეინერი, კონტეინერი (ნედლეულისთვის, ნარჩენებისთვის), ლითონის კარკასი ცოცხალი კედლისთვის, ლუპა, მანძილმზომი, მარაოსებური ფოცხი, მექანიკური სატკეპნი მოწყობილობა, მცენარის დასარგავი ბურღი, ნიადგის საზომი აპარატი, რეზინის მილი, საბაღე ნარჩენების კონტეინერი, საზომი ლენტი 20მ, 50 მ, სამყნობი აპარატი, სამყნობი დანა, სარგავი კონუსი, სარეველას ამოსაღები, სარწყავი პისტოლეტი, სასწორი, სასხურებელი, სატკეპნი მოწყობილობა, საფხვიერებელი, საცერი (3 დან 1 ცალია საწარმოში), საჰაერო მაკრატელი, უთო სარწყავი მილებისთვის, ურიკა (2-დან 1 არის), ფოცხი (4-დან არის 1), შესასხურებელი ზურგის აპარატი მექანიკური, ჯამები თესლებისთვის, ჰაერის ტენიანობის საზომი, ფოცხი (2-დან 1 არის), წერაქვი (2-დან 1 არის), ხელის ნიჩაბი(5-დან 3, ხერხი (5-დან 2).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. ი/მ ნიკოლოზ სინაძე, სასწავლო საწარმოსთან გაფორმებულ ხელშეკრულებას არ ახლავს ინვენტარის ნუსხა. **რეკომენდაცია შესრულებულია.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **აღმზრდელი**
2.2 კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილი შესაბამისობა“, ვინაიდან ინდიკატორი 2.2.1.4 შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, საგანმანათლებლო პროგრამას არ ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.
ზემოაღნიშნული ინდიკატორის უარყოფითად შეფასების გარემოებას წარმოადგენს:
კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის N04-65 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობების“ დოკუმენტის 46-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელს კვალიფიკაცია/კომპეტენციასთან ერთად უნდა უდასტურდებოდეს დარგში არანაკლებ ერთწლიანი სამუშაო გამოცდილება, რაც ვერ დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელის პირად საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით.**რეკომენდაცია შესრულებულია.**
2.4 კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილი შესაბამისობა“, ვინაიდან ინდიკატორი 2.4.2.1 შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, რადგან პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არ არის ვალიდური
ზემოაღნიშნული ინდიკატორის უარყოფითად შეფასების გარემოებას წარმოადგენს:
ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოების შერჩევით შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ რიგ შემთხვევებში შეფასების ინსტრუმენტები საჭიროებს გაუმჯობესებას, რიგ შემთხვევებში საჭიროა შეფასების საკითხების დაზუსტება, შინაარსობრივი სრულყოფა, შეფასების მტიცებულებების სანდოობის უზრუნველყოფა. მაგალითად, მოდულის ,,ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ შეფასების ინსტრუმენტში შეფასების მიმართულება არ შეესაბამება მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგის შეფასების მიმართულებას. მოდულში (0211714) ყველა (5) სწავლის შედეგის შეფასების მიმართულება არის პრაქტიკული დავალება და შეფასების ინსტრუმენტში კი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყენებულია დახურული კითხვებით შექმნილი ტესტი. ასევე დისტრაქტორები არაერთგვაროვანია და იძლევა საშუალებას სტუდენტმა ამოიცნოს სწორი პასუხი. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა ამავე შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის კითხვარი, სადაც შეფასების ინსტრუმენტის ჩეკლისტში მითითებულია სხვა ტიპის შენიშვნა და აღნიშნულია, რომ შეფასების მიმართულება შეესაბამება მოდულში განსაზღვრულ სწავლის შედეგის შეფასების მიმართულებას.**რეკომენდაცია შესრულებულია.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **სასმელების წარმოება**

2.2 კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილი შესაბამისობა“, ვინაიდან ინდიკატორი 2.2.1.1 შეფასდა მეტწილი შესაბამისისობით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არასათანდოდაა უზრუნველყოფილი პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნული ინდიკატორის უარყოფითად შეფასების გარემოებას წარმოადგენს:

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პრაქტიკის ორი ობიექტის წარმომადგენელს, ერთი ობიექტის წამორმადგენლმა საუბრისას აღნიშნა, რომ ვერ დაუშვებს პროფესიულ სტუდენტებს სასმელების წარმოების პროცესში, ისინი შეძლებენ პროცესის მიმდინარეობის ყურებას ოპერატორის ზედამხედველობის ქვეშ. ექსპერტთა ჯგუფის კითხვაზე, თუ როგორ ხდება პროფესიული სტუდენტების შეფასება, მან აღნიშნა, რომ პროფესიული სტუდენტები აღწერენ წარმოების პროცესს. შესაბამისად, ის სწავლის შედეგები, რაც კოლეჯის მიერ განაწილებულია მოცემულ სასწავლო საწარმოზე, ვერ იქნება მიღწეული.**რეკომენდაცია შესრულებულია.**

2.4 კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილი შესაბამისობა“, ვინაიდან ინდიკატორი 2.4.1.3 შეფასდა მეტწილად, სასწავლო პროცესში არასათანადოდ გამოყენება სწავლების თანამედროვე მეთოდები და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიები.**რეკომენდაცია შესრულებულია.**

## VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

## IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინსტიტუციური სტანდარტები

4.1.1.3.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, თუმცა სასურველია დაწესებულებამ გადაიხედოს „საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობებს“ და ანგარიშვალდებულების კომპონენტი თანხვედრაში მოვიდეს დაქვემდებარების კომპონენტთან.

4.1.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, თუმცა სასურველია დაწესებულებამ რიგ პოზიციებზე (მაგ. ბუღალტერი, სქმისმწრმოებელი და სხვა) საკვალიფიკაციო მოთხოვნებში განათლების დონედ გაწეროს პროფესიული განათლება.

4.2.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, თუმცა სასურველია დაწესებულებამ გაწეროს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირების პროცედურა დ მექანიზმები.

საერთო პროგრამული სტანდარტებისთვის

2.2.1.1.

პსდ ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს პრაქტიკის ახალ ობიექტებთან 416-ე დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, მცირეოდენი უზუსტობებით და/ან ამ დადგენილების მოთხოვნების მიხედვით შედგენილ დანართებში, რის გამოც ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, თუმცა, სასურველია, დაწესებულებამ გადახედოს ყველა ხელშეკრულებას, რომლებიც გაფორმებულია 2022 წლის 9 აგვისტოს შემდეგ ან განიცადა ცვლილებები და მასში და მის დანართებში გაწერილი საქართველოს მთავრობის 416-ე დადგენილების მიხედვით მოთხოვნილი პირობები შევიდეს ხელშეკრულებაში პუნქტების სახით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## XI. სტანდარტების შეფასება

4. **ადამიანური რესურსები**

**4.1 პერსონალის და პროცესების მართვა**

**4.1.1** პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას.

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

1. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის შესაბამისად ინდიკატორი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, რადგან კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის №04-65 ბრძანებით დამტკიცებულ „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში საშტატო/შტატგარეშე ნუსხით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და უფლებამოსილებების“ დოკუმენტში რიგი პოზიციების (მაგ. საქმის მწარმოებელის, მძღოლის და სხვა) საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ანგარიშვალდებულებები არასწორად იყო გაწერილი ან იწვევდა ბუნდოვნებას. დასკვნაში აღნიშნულია, რომ კოლეჯს საავტორიზაციო განაცხადით წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გათვალისწინებულია თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სამუშაო აღწერილობების და ფუნქცია მოვალეობების გადახედავა/დარეგულირება,კოლეჯში სამსახურების შექმნა და სტრუქტურის ცვლილება.

   მონიტორინგის ვიზიტის დროს ექსპერთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა 2020 წლის 30 აპრილის ბრძანებით №04-65 დამტკიცებული „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის ახელობის კოლეჯში საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობები“-ს დოკუმენტი, რომელშიც წინა ვიზიტის შემდგომ ცვლილებები შევიდა №04-29 03.02.2023 და №04-56 09.03.2023 ბრძანებით. აღნიშნულთან დაკავშირებით შესწავლილი იქნა ბრძანებები და გასაუბრება მოხდა ხარისხის მართვის სპეციალისტთან, რის შედეგადაც დადგინდა, რომ დაწესებულებამ 2023 წლის თებერვალში დაასრულა დოკუმენტში საკვალიფიკაციო მოთხოვნების, უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების გადახედვა, დაკორექტირება, სადაც გათვალისწინებული იქნა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები. ხოლო 2023 წლის მარტში ცვლილების შეტანის საფუძველი გახდა კოლეჯის საშტატო ერთეულების გაზრდა, კერძოდ სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის“ 12.10.2022 წლის საშტატო ერთეულების ნუსხისგან განსხვავებით 02.03.2023 წლის საშტატო ერთეულების ნუსხაში დამატებულია ადმინისტრაციის 4- საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, მექანიზატორი და ტექნიკური პერსონალის ერთი - მძღოლის შტატი.

აღნიშნული მტკიცებულებებისა და ორგანიზაციულ სტრუქტურაზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პოზიციების ფუნქციები მოიცავს შესაბამის, სწორად განსაზღვრულ ფუნქცია-მოვალეობებს. საკვალიფიკაციო მოთხოვნების და უფლებამოსილებების დოკუმენტში გაწერილია პოზიციის დასახელება, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, დაქვემდებარებული პირები და პასუხისმგებლობები. სამუშაო აღწერილობის თანამშრომლებისთვის გაცნობის ფაქტი დასტურდება ხელშეკრულების ხელმოწერილი დანართით, გაგზავნილი ელექტრონული წერილებით და თანამშრომლებთან გასაუბრებით.

შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ **ინდიკატორი 4.1.1.1 შეფასდა შესაბამისად, პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.**

2. პსდ-ში სტრუქტურებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგელობების განაწილება განსაზღვრულია „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობები“-ს დოკუმენტით იმგვარად, რომ იგი ფარავს დაწესებულების საქმიანობის ყველა მიმართულებას, ასევე უზრუნველყოფს სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის 2020 – 2026 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმისა (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-126 30.07.2020 ცვლილება 04-38 09/03/2022)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და 2023 წლის სამოქმდო გეგმის მიზნების, ამოცანების და აქტივობების შესრულებას. ამასთანავე, პსდ-ს სამოქმედო გეგმაში მიზნებისა და ამცანებზე პასუხისმგებელი პირები დაკონკრეტებულია და ფუნქციის შესაბამისად არის განსაზღვრული. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯის პერსონალთან ჩატარდა გასაუბრებები და დადასტურდა, რომ ისინი იცნობენ საკუთარ ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს და მათი დაცვით დაუბრკოლებლად ახორციელებენ საკუთარ საქმიანობას.

აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფის მიერ **ინდიკატორი 4.1.1.2. შეფასდა შესაბამისად, პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.**

3. წინა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, რადგან „კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის N04-03 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის

   განსაზღვრის წესის'' 3.9 მუხლში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი - „თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობას წერილობითი სახით ასაბუთებს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი და დაურთავს კოლეჯის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენილ პროგრამის პროექტს", ვინაიდან ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით თავად პროცესი ექვემდებარება მონიტორინგს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას წერილობითი სახით ასაბუთებს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, წარმოადგენს ინტერესთა კონფილიქტს, შესაბამისად მოცემული დებულება წინააღმდეგობაშია 4.1.1.3 სტანდარტის მოთხოვნებთან, თუმცა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის No04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება No04-55) დამტკიცებული „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის" ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა/გაუმჯობესება/ახალის შექმნა".

   ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი'', სადაც 3.9 მუხლი დაკორექტირდა შემდეგნაირად:"თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას წერილობითი სახით ასაბუთებს კოლეჯში შექმნილი პროგრამის შემუშავების ჯგუფი და დაურთავს კოლეჯის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენილ პროგრამის პროექტს." სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ''სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურის (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“ (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით 04-111 (2018 13.12.2019, ბოლო ცვლილება N04-191 06.10.2020) დოკუმენტის შესაბამისად პროგრამების შემუშავების ჯგუფში შესაძლოა შედიოდნენ: პროგრამის ინიციატორი; კოლეჯის დირექტორი; სასწავლო პროცესის მენეჯერი; პროფესიული განათლების მასწავლებლები/პრაქტიკის ინსტრუქტორი (არსებობის შემთხვევაში); სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი; დამსაქმებლები; კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები (პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციები); ბიბლიოთეკარი; ბუღალტერი; შესყიდვების სამსახურის თანამშრომელი; მატრიალური რესურსის უზრუნველყოფის მენეჯერი; კურსდამთავრებულები; პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლები; დარგის ექსპერტები; და სხვა. შესაბამისად პსდ-ს მიერ წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია გათვალისწინებულია.

სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის თანახმად კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულებია ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის მართვის სპეციალისტი .

„საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობები“-ს დოკუმენტის თანახმად ხარისხის მართვის მენეჯერის მოვალეობებია: სასწავლო პროცესის და მისი შედეგის ხარისხის სისტემური სრულყოფა, სწავლების მეთოდებისა და რესურსების ხარისხის სისტემატური შეფასება და მისი განვითარება; გარე და შიდა სტანდარტების მოთხოვნათა ინტერპრეტაცია და პერსონალის კონსულტირება; ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვა; ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი და შეფასება; მიმდინარე სასწავლო პროცესის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი და შეფასება; საგანმანათლებლო მომსახურეობის, მათ შორის სწავლა-სწავლების და სტუდენტთა/მსმენელთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პროცესის მონიტორინგს და შეფასებას დაინტერესებულ მხარეთა მხრიდან უკუკავშირისა და სხვა სახის სანდო ინფორმაციის წყაროებზე დაყრდნობით; ანგარიშების მომზდება და შეუსაბამობის შემთხვევაში, რეკომენდაციებს/სამოქმედო გეგმის შემუშავება; საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მომზადება და ანალიზი; აღნიშნულ პროცესებში მონაწილეობს ხარისხის მართვის სპეციალისტიც.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯს შემუშავებული აქვს „სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ რომლის მიზანია ეფექტიანი შიდა ხარისხის სისტემის შექმნა და მუდმივი გაუმჯობესება, კოლეჯში სწავლებისა და შეფასების თანამედროვე და ეფექტური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება, სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება და საგანმანათლებლო და თანმდევი პროცესების დაგეგმვის, შეფასებისა და მუდმივი განვითარების ხელშეწყობა. ხარისხის მართვის სამსახური მოქმედებს ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგინდა, რომ ხარისხის სამსახურის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პრაქტიკული საქმიანობა შესაბამისობაშია და **პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.**

„საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობები“ დოკუმენტის თანახმად კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის უშუალო დაქვემდებარებული პერსონალია ხარისხის მართვის სპეციალისტი, თუმცა, მისი მოვალეობაა კვარტალური ანგარიშის მომზადება და წარდგენა კოლეჯის დირექტორისა და დირექტორის არყოფნის შემთხვევაში დირექტორის მოადგილისათვის უშუალო ხელმძღვანელის გვერდის ავლით. ავტორიზაციის ექსპერტები გაესაუბრნენ ხარისხის მართვის სპეციალისტს, რომელმაც განმარტა, რომ იგი კი ამზადებს ანგარიშებს, თუმცა, ხდება ამ ანგარიშების ხარისხის მართვის მენეჯერთან შეთანხმება. ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით სასურველია **გადაიხედოს აღნიშნული დოკუმენტი და ანგარიშვალდებულების კომპონენტი თანხვედრაში მოვიდეს დაქვემდებარების კომპონენტთან, რისთვისაც დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში „საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობები“ დამტკიცებულია 2020 წლის 30 აპრილის ბრძანებით N04-65



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ბრძანება №04-29;
- ბრძანება №04-56;
- ორგანიზაციული სტრუქტურა;
- სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის“ 12.10.2022 წლის საშტატო ერთეულების ნუსხა;
- სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის“ 02.03.2023 წლის საშტატო ერთეულების ნუსხა;
- თანამშრომელთა ხელშეკრულებები;
- თანამშრომლებთან გაგზავნილი საინფორმაციო ელექტრონული წერილები;
- სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის 2020 – 2026 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-126 30.07.2020 ცვლილება 04-38 09/03/2022);
- სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი’’;
- სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ‘’სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“ (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით 04-111 (2018 13.12.2019, ბოლო ცვლილება N04-191 06.10.2020) ;
- „სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- ინტერვიურება;

**4.1.2** პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას.

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ- ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები რეგულირდება სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პერსონალის მართვის პოლიტიკის (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით №4-97,26/06/2020, ბოლო ცვლილება №04-68, 23.03.2023) და შინაგანაწესის დოკუმენტით (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით №04-40 31.08.201, ბოლო ცვლილება ბრძანება №04 - 66 23.03.2023).

   პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის მართვის ძირითადი პრინციპები, პერსონალის სამუშაო აღწერილობების გაცნობის პროცედურა, თანამშრომელთა მოზიდვისა და შერჩევის პოლიტიკა, პერსონალის ინტეგრაციის პროცესი ახალ სამუშაო გარემოსთან, ორგანიზაციის მიერ პერსონალის ჩართულობისა და მონაწილეობის ხელშეწყობა, პერსონალის შეფასება, პერსონალის მოტივაციის ზრდისა და პროფესიული განვითარების მექანიზმები.

   შინაგანაწესი შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის“, საქართველოს კანონის „პროფესიული განათლების შესახებ“ და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის 115/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ- ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის'' წესდების და მოქმედი კანონმდებლობის ნორმათა საფუძველზე. დოკუმენტში მოქმედი კანონმებლობის შესაბამისად გაწერილია შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, შეჩერება, შეწყვეტის შესახებ.

   პსდ-ში თანამშრომელთა მიღება ხდება ღია (კონკურსი), დახურული (კონკურსი მოქმედ თანამშრომლებს შორის) ან გამარტივებული წესით (კონკურსის გარეშე). სამუშაო დრო განსაზღვრულია შრომის კოდექსის გათვალისწინებით, კვირაში 5 სამუშაო დღე, დღეში 9 საათი, 1 საათიანი შესვენებით. დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით წელიწადში სულ მცირე 24 სამუშაო დღით,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ანაზღაურების გარეშე შვებულებით – წელიწადში 15 კალენდარული დღით. პერსონალის ზეგანაკვეთური მუშაობის ანაზღაურების წესი განსაზღვრულია შინაგანაწესით, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან. გარდა ამისა დოკუმენტით რეგულირდება დისციპლინური გადაცდომის, პასუხისმგებლობის, წახალისების პროცედურები.

შრომითი ხელშეკრულების მუხლი 9. პუნქტი 2-ით განსაზღვრულია, რომ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით დასაქმებული ადასტურებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის წესდების, შინაგანაწესისა და „საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობები“-ს დოკუმენტში მისი პოზიციის შესაბამისი ინფორმაციის გაცნობას. ადამიანური რესუსრსების მენეჯერთან და თანამშრომლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სამსახურში მიღების დროს ან/და დოკუმენტებში ცვლილებების განხორციელების შემდგომ აღნიშნულ დოკუმენტაციას ადმიანური რესურსების მენეჯერი ელექტრონული ფოსტის საშუალებით უგზავნის თანამშრომლებს. მტკიცებულებად წარმოდგენილი იქნა ერთ-ერთი გაგზავნილი ელექტრონული წერილი.

შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ **ინდიკატორი 4.1.2.1 შესაბამისობაშია და პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.**

**2.** წინა ვიზიტის ფარგლებში ინდიკატორი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, რადგან დასაქმებულთა ნაწილის (მაგ. შრომის უსაფრთხოების სპეციციალისტი, ინკლუზიური განათლების მართვის სპეციალისტი, შესყიდვების სპეციალისტი, რეესტრის წარმოების სპეციალისტი, კოლეჯის სამეურნეო მართვის მენეჯერი, სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი და სხვა.) კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობებს ან პირადი საქმეებით არ უდასტურდებათ სამსახურში აყვანის მომენტისათვის სამუშაო გამოცდილების არსებობა დაწესებულების მიერ განსაზღვრული ოდენობით. დასკვნის შესაბამისად ექსპერტთა მიერ შეფასება მეტწილ შესაბამისობაში გადავიდა კოლეჯის შესაბამისობის გეგმის მე-3 აქტივობის ფარგლებში განსაზღვრული ქვეაქტივობების საფუძველზე, მათ შორის - "1. კოლეჯმა უზრუნველყოს დასაქმებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლება (სტაჟირებების გზით). (ინდიკატორი 4.1.2.2) 2. კოლეჯი გადახედავს და ცვლილებას შეიტანს კადრების შერჩევის მარეგულირებელ დოკუმენტში. (ინდიკატორი 4.1.2.2 ), 3. კოლეჯის ბაზაზე სტაჟირებების გამოცხადება და კადრების მომზადება (ინდიკატორი 4.1.2.2 ); 4. კოლეჯმა უზრუნველყოს დასაქმებული კადრების ტრანსპორტირება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ინდიკატორი 4.1.2.2 ); 5. კოლეჯის ბაზაზე მოხდეს საკვები ობიექტის რეაბილიტაცია. (ინდიკატორი 4.1.2.2 ) 6. ადამიანური რესურსების (HR) და აგრარული მიმართულების მენეჯერის შტატის დამატება (ინდიკატორი 4.1.2.2 )".

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც გაწერილია პერსონალის მართვის პოლიტიკისა და შინაგანაწესის დოკუმენტში, ხოლო საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია „საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობები“-ს დოკუმენტში.

დაწესებულება თანამშრომლების დაკომპლექტებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოზიდვისა და დაქირავების გამჭვირვალე, ობიექტური და მიუკერძოებელი პროცესის წარმართვას, აგრეთვე ნებისმიერი აპლიკანტისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას და საკუთარი თავის რეალიზებისთვის მაქსიმალურად ხელშემწყობი პირობების შექმნას. თამშრომლები მიიღებიან ღია (კონკურსი), დახურული (კონკურსი მოქმედ თანამშრომლებს შორის) ან გამარტივებული წესით (კონკურსის გარეშე). შერჩევის წესს, ფორმას და პირობებს (რომელიც ასევე მოიცავს საჭიროებისამებრ, შერჩევის კომისიის განსაზღვრას) ვაკანსიის გამოცხადებამდე, სამუშაო ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს ვაკანსიის გამოცხადების ინიციატორი  შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან თანამშრომლობით და დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

მოზიდვის თვალსაზრისით კოლეჯი მიმართავს სხვადასახვა ფორმებს: ვაკანსიების განთავსება, დასაქმების სხვადასხვა ვებ-პორტალებსა და სოციალურ ქსელებში, დასაქმების ფორუმებში მონაწილეობა და შიდა კადრის მიერ გარეპირის შესახებ  რეკომენდაციის გაცემა.

პერსონალის შერჩევის პოლიტიკის შესწავლისა და ადამიანური რესურსების მენეჯერთან გასაუბრებით დადგინდა, რომ შერჩევის პროცედურაში ძირითადი ფუნქცია აკისრია საკონკურსო კომისიას, რომლის შექმნის დროსაც გათვალისწინებულია ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის საკითხი, ასევე შემადგენლობაში განისაზღვრებიან კომპეტენტური პირები, რომლებიც წინასწარ შედგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების შესაბამისად ღებულობენ გადაწყვეტილებას. კონკურსის პირველ ეტაპზე კომისიის მიერ ხდება აპლიკანტთა ანკეტური მონაცემების გადარჩევა წაყენებული მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო მეორე ეტაპზე შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერთა ჯგუფის მიერ მოხდა საკონკურსო კომისიის ოქმის №05



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(საბუთების გადარჩევა, გასაუბრების თარიღის ჩანიშვნა) და ოქმი №06 (კანდიდატთან გასაუბრება) შესწავლა. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში კანდიდატს უფორმდება შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით. აღნიშნულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დგინდება, რომ კადრის შერჩევის პროცესი არის ობიექტური და გამჭვირვალე.

შრომით ხელშეკრულებებში გაწერილია მუშაობის დაწყების თარიღი, შრომითი ურთიერთობების ხანგრძლივობა, სამუშაო დრო, თანამდებობა, შესრულებული სამუშაოს სახე, შრომის ანაზღაურების ოდენობა და ანაზღაურების წესი, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების მიცემის წესი.

დაწესებულების მიერ რეკომენდაციების შესაბამისად დაკორექტირებული იქნა „საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობები“-სა და პერსონალის მართვის დოკუმენტები. პოზიციების შესაბამისად განისაზღვრა განათლების დონე, მათ შორის პროფესიული განათლება. თუმცა, რიგ პოზიციებზე მაგ. ბუღალტერი, საქმისმწრმოებელი და სხვა კვლავ რჩება უმაღლესი განათლების მოთხოვნა. რეალურად, კოლეჯში აღნიშნულ თანამდებობს იკავებენ უმაღლესი განათლების მქონე პირები, თუმცა, **ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ მომავლისთვის სასურველია აღნიშნული თანამდებობების დაკავების შესაძლებლობა უნდა მიეცეს შესაბამისი პროფესიების პროფესიული განათლების მქონე პირებსაც, რადგან ისინი მზადდებიან პროფესიული განათლების საფეხურზეც. აქედან გამომდინარე, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნებში პოზიციიდან გამომდინარე, ფუნქცია-მოვალეობების გათვალისწინებით, სადაც შესაძლებელია მოთხოვნებში განათლების დონედ გაიწეროს პროფესიული განათლება.**

დაწესებულების მიერ კადრების როტაცია და ახალი კადრების დანიშვნა განხორციელდა დაკორექტირებული წესების, პროცედურებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ დაწესებულების მიერ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობები და წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები შესრულებულია და **ინდიკატორი 4.1.2.2 შესაბამისობაშია, პსდ- ს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

3. წინა ვიზიტის ფარგლებში ინდიკატორი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, რადგან დასაქმებულთა ნაწილის კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობებს ან პირადი საქმეებით არ უდასტურდებათ სამსახურში აყვანის მომენტისათვის სამუშაო გამოცდილების არსებობა დაწესებულების მიერ განსაზღვრული ოდენობით. შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით, კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებულია „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა", რომლის ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო ქვეაქტივობად მოცემულია თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სამუშაო აღწერილობების და ფუნქცია მოვალეობების გადახედავა/დარეგულირება.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების საშტატო ნუსხის დოკუმენტის, საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და შინაგანაწესში აღწერილი პირადი საქმის შემადგენლობის მიხედვით შემოწმდა თანამშომელთა პირადი საქმეები. შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულების მიერ მოხდა: 1. საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკორექტირება; 2. ძველი კადრის ჩანაცვლება ახლით; 3. არსებული კადრის გადამზადება.

შრომის უსაფრთხოების ორმა სპეციალისტმა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გაიარა შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამა. დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილი იქნა შესაბამისი სერთიფიკატები, კურსის გავლის მოთხოვნის სამსახურეობრივი ბარათები და კურსის საფასურის გადახდის ქვითრები.

ლოჯისტიკის სპეციალისტის პოზიციაზე დაწესებულებას გარკვეული ინტერვალებით 8-ჯერ ქონდა გამოცხადებული ვაკანსია hr.gov.ge-ს პლატფორმის საშუალებით, თუმცა შესაბამისი კადრის შერჩევა ვერ მოხერხდა. აღნიშნული მტკიცებულებად დაწესებულებამ ასევე წარამოადგინა საკონკურსო კომისიის ოქმი №06 ლოჯისტიკის სპეციალისტის პოზიციაზე შესარჩევი კანდიდატთან გასაუბრების შესახებ, სადაც აღწერილია რომ კანდიდატის შერჩევა აღნიშნულ პოზიციაზე ვერ მოხერხდა რადგან კანდიდატი გასაუბრებაზე არ გამოცხადდა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ყველა სხვა შემთხვევაში  თანამშრომლების კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი განათლების დმადასტურებელი დოკუმენტითა და სამუშაო გამოცდილებით. ასევე შინაგანაწესში გაწერილი წესის შესაბამისად ყველა თანამშრომელს წარმოდგენილი აქვს ცნობა ნასამართლეობის შესახებ; ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ; ცნობა სქესობრივი დანაშაულის შესახებ;

შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით დაწესებულებას შესრულებული აქვს წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციები, **ინდიკატორი 4.1.2.3 შესაბამისობაშია, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;**

**4.** სსიპ-ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში მუხლი მუხლი 7. პერსონალის ჩართულობა და მონაწილეობა გაწერილია, რომ კოლეჯი ხელს უწყობს პერსონალის ჩართულობას და მონაწილეობას ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებში. კოლეჯის მენეჯმენტი, პროფესიული განათლების მასწავლებლები და ადმინისტრაციული პერსონალი პერიოდული შეკრებების, მოსაზრებათა ურთიერთგაცვლის, მსჯელობისა და გუნდური თანამშრომლობის რეჟიმში მონაწილეობენ ისეთ მნიშვნელოვან პროცესებში, როგორიცაა ახალი საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირება, პროგრამის განახლება, სასწავლო რესურსების შემუშავება, პროფესიული განვითარების მიზნით სასწავლო ვიზიტების დაგეგმვა, თანამშრომელთა მოტივაციის და წახალისების სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება, სტუდენტური ცხოვრების ხელშეწყობა, სხვადასხვა კონკურსებში, გამოფენებსა და კონფერენციებში სასწავლებლის წარდგენა, ხარისხის მექანიზმების გაუმჯობესებაზე ზრუნვა, შეფასების ინსტრუმენტების დახვეწა, კოლეჯის ინფრასტრუქტურის და სასწავლო რესურსების განახლება და სხვა.

აღნიშნული პროცედურის პრაქტიკული განხორციელება დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ თანამშრომლებთან გასაუბრებით, რომლის დროსაც გამოიკვეთა, რომ გუნდური მუშაობა ასევე ხდება ელექტრონული ფოსტის გამოყენების საშუალებით, როდესაც თანამშრომლების მიერ ხდება ინფორმაციის, დოკუმენტაციის, უკუკავშირისა და რეკომენდაციების გაზიარება.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით **ინდიკატორი 4.1.2.4 დაკმაყოფილებულია და პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პერსონალის მართვის პოლიტიკა დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით №4-97,26/06/2020 (ბოლო ცვლილება №04-68, 23.03.2023);
- შინაგანაწესით (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით №04-40  31.08.201, ბოლო ცვლილება ბრძანება №04 - 66 23.03.2023);
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის წესდება (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №115/ნ 2019 წლის 19 ივნისი);
- საკონკურსო კომისიის ოქმი №05, №06;
- შინაგანაწესი;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- სერთიფიკატები;
- გადხდის ქვითრები;
- დანიშვნის ბრძანებები;
- ინტერვიურება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**4.2 პერსონალის განვითარება**

**4.2.1** პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე.

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. წინა ვიზიტის ფარგლებში ინდიკატორი მეტწილადაა დაკმაყოფილებული, რადგან კოლეჯს განხორციელებული არ ქონდა პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებულია „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა", რომლის ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო ქვეაქტივობად მოცემულია პერსონალის საქმიანობის შეფასება.

   მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა პერსონალის მართვის დოკუმენტი, სადაც პსდ-ს გაწერილი აქვს პერსონალის საქმიანობის შეფასება. პერსონალის საქმიანობის შეფასება ხორციელდება კოლეჯის თითოეული პოზიციის შესაბამისად შემუშავებული სამუშაო აღწერილობების შესაბამისი ინდიკატორების საშუალებით. შეფასების მიზანია პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის ხელშეწყობა, პერსონალის წახალისება და კარიერული წინსვლის თანაბარი, ობიექტური და გამჭირვალე მექანიზმების შემუშავება. პერსონალის შეფასებისთვის კოლეჯი იყენებს სხვადასხვა მეთოდებს: მიზნების მიხედვით შეფასება, კომპეტენციების მიხედვით შეფასება, შესრულებული სამუშაოს შეფასება და სხვა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების ინსტრუქციის (ბრძანება №04-88, 10.06.2022), ადამიანური რესურსების მენეჯერთან და თანამშრომლებთან ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულებაში თანამშრომელთა შეფასება ხორციელდება სამი მიმართულებით: სამსახურის(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხელმძღვანელი ახორციელებს თანამშრომელთა შეფასებას პოზიციების მიხედვით, ასევე თანამშრომელი ავსებს თვითშეფასების ფორმას და შემდგომ იგივე თანამშრომლის შეფასება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შეფასების ჯგუფის მიერ.

შეფასების ჯგუფი დგება ინტერესთა კონფლიქტისა და კომპეტენციების გათვალისწინებით. შეფასების შესახებ თანამშრომლებს ეცნობებათ წინასწარ, რისი დადასტურებაც მოხდა მათ მიერ გასაუბრების დროს.

დაწესებულების მიერ ვიზიტის დროს წრმოდგენილი იქნა 2023 წლის თებერვალში ჩატარებული შეფასების მტკიცებულებები როგორიცაა სხვადსხვა სამსახურების ხელმძღვანელების ანგარიშები თანამშრომელთა შეფასების შესახებ, უშუალო ხელმძღვანელის მიერ შევსებული თანამშრომელთა შეფასების ფორმა და შემფასებელი ჯგუფის მიერ შევსებული თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების/თვითშეფასების ფორმა.

თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების/თვითშეფასების ფორმა მოიცავს: თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების ინსტრუქციას, შეფასების ქულობრივ მაჩვენებელს (1-5ქულა) თავისი განმარტებით, შეფასების დონეებს შესაბამისი დასაგროვებელი ქულების რაოდენობით (მაგ. მაღალი შეფასება- 80-100 ქულა, საშუალოზე მაღალი შეფასება 60-79ქულა და ა.შ), შესაფასებელი პირის სახელს, გვარს, პოზიციას, შემფასებლის სახელს და გვარს, შეფასების თარიღს, შესრულებული სამუშაოს შეფასების ინდიკატორებს, თვითშეფასების ქულა, შემფასებლის ქულაა, თვითშემფასებლის კომენტარი, შემფასებლის კომენტარი, ჯამური ქულა, თვითშეფასების საბოლოო ქულა, შემფასებლის საბოლოო ქულა. ექსპერტთა შეფასებით შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულ და შესწავლილ შეფასების ფორმებში გაწერილი ინდიკატორები შეესაბამებოდა პოზიციას, შეფასების მაჩვენებელი მერყეობდა მაღალ შეფასებასა და საშუალოზე მაღალ შეფასებას შორის. დაწესებულების მიერ ასევე მტკიცებულებად წარმოდგენილი იქნა სსიპ -ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების კომისიის სამუშაო შეხვედრის სხდომის ოქმი №01-1.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის მიერ ასევე წარმოდგენილი იქნა 21.01.2023-25.01.2023 პერიოდში ჩატარებული ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევის ანალიზი, რომელი მოიცავდა საჭიროებათა კვლევის კომპონენტსაც თუმცა აღნიშნული შედეგებით პროფესიული განვითარების საჭიროებები არ გამოვლენილა.

აღნიშნულზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით დაწესებულებას შესრულებული აქვს შესაბამისობის რეკომენდაციები და შესაბამისობის გეგმა. ინდიკატორი 4**.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას.**

2. პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, პერსონალის შეფასების საფუძველზე მასწავლებლისა და ადმინისტრაციის პერსონალის განვითარებისისთვის ხელშეწყობა არის კოლეჯის სამოქმედო გეგმის ნაწილი პერსონალის განვითარება შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ღონისძიებებს: კვალიფიკაციის ტრენინგი, სასწავლო კურსი, დარგობრივი უნარების განვითარების მიზნით საწარმოში ვიზიტები, კონფერენციებსა და გამოფენებში მონაწილეობა და სხვა. 2023 წლის სამოქმედო გეგმის სტრატეგიული მიზანი 5. კოლეჯის ადამიანური რესურსების განვითარების ფარგლებში გაწერილია ამოცანა: კოლეჯის ადმინისტრაციული რესურსის და პროფესიული მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება, სტიმულირება, ახალი კადრების მოზიდვა, ხოლო აქტივობებია: გასაძლიერებელი კომპეტენციების განსაზღვრა,ტრენინგების იდენტიფიცირება, ტრენინგების სერვისის მომწოდებლებთან კომუნიკაცია, რესურსების მოძიება, ტრენინგების ჩატარება.

   დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა საქმისმწარმოებლის მიერ კვალიფიკაციის ამაღლბის მიზნით გავლილი პროფესიული მომზადების პროგრამის - საქმის მწარმოებელი, დამადასტურებელი სერთიფიკატი, ადამიანური რესურსების მენეჯერის მიერ HR ადამიანური რესურსების მართვის მასტერკლასზე რეგისტრაციის დოკუმეტი.

   აღნიშნულზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფის მიერ **ინდიკატორი 4.2.1.2.** **შეფასდა** შესაბამისად, **პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ-ს წარმოდგენილი აქვს პროფესიულ პედაგოგთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევს ანალიზი (კვლევის პერიოდი:11.01.2023-18.01.2023), რომლის თანახმადაც პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობის საჭიროებასთან დაკავშირებით მონაცემები არ იკვეთება.

   2023 წლის სამოქმედო გეგმის სტრატეგიული მიზანი 5. კოლეჯის ადამიანური რესურსების განვითარების ფარგლებში გწერილია ამოცანა: კოლეჯის ადმინისტრაციული რესურსის და პროფესიული მასწავლებლებისშესაძლებლობების გაძლიერება, სტიმულირება, ახალი კადრების მოზიდვა, ხოლო აქტივობებია: გასაძლიერებელი კომპეტენციების განსაზღვრა,ტრენინგების იდენტიფიცირება, ტრენინგების სერვისის მომწოდებლებთან კომუნიკაცია, რესურსების მოძიება, ტრენინგების ჩატარება.

   პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლის სახლთან, უნარების სააგენტოსთან თანამშრომლობის ფარგლებში, პერიოდულად უტარდებათ ტრენინგები სწავლება-სწავლის და უკუკავშირის თანამედროვე მიდგომებთან, პროფესიული სტუდენტების შეფასების მეთოდებთან, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასთან, თანამედროვე ტექნოლოგიებთან და ეფექტურ კომუნიკაციასთან დაკავშირებით.

   დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ტრენინგების შესახებ მიღებული-გაგზავნილი ელ. წერილები, ტრენინგის დღის წესრიგი, დასწრების ფურცლები.

   ექსპერტთა ჯგუფის მიერ **ინდიკატორი 4.2.1.3 შეფასდა შესაბამისად პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.**

4. პერსონალის მართვის დოკუმენტში გაწერილია მუხლი 6. პერსონალის ინტეგრაციის პროცესი ახალ სამუშაო გარემოსთან, რის თანახმადაც ახალდანიშნული თანამშრომლის ინტეგრაციის პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხიმგებელია კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი. ახალი თანამშრომელი ეცნობა მარეგულირებელ დოკუმენტებს და თანამდებობრივ ინსტრუქციებს, რომელიც ასევე ეგზავნება ელ. ფოსტის საშუალებით. HR მენეჯერის მიერ ხდება მისთვის გარემოს, თანამშრომლების გაცნობა, ინსტრუქციების და საჭიროების შემთხვევაში განმარტებების მიცემა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიციაზე შერჩეულ კანდიდატებს, რომელსაც არ აქვთ პროფესიული განათლების სისტემაში სწავლების გამოცდილება, უტარდება შესაბამისი ტრენინგი/ინსტრუქტაჟი. ასეთი კანდიდატები, დასაქმების მომენტიდან პროფესიული განათლების მასწავლებლის კარიერის საწყის ეტაპზე იღებენ მხარდაჭერას ამისთვის სპეციალურად გამოყოფილი გამოცდილი მასწავლებლებისაგან და პროგრამის ხელმძღვანელისაგან. აღნიშნული პროცედურის პრაქტიკულად განხორციელება დასტურდება ადმინისტრაციის თანამშრომლებსა და პროფესიულ მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული გასაუბრებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ **ინდიკატორი 4.2.1.4 შეფასდა შესაბამისად პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;**

5. პერსონალის მართვის დოკუმენტში მოტივაციის ზრდის მექანიზმებად განსაზღვრულია შრომით პროცესში დასაქმებულის პოზიტიური მხარდაჭერა;

   პსდ-ს თანამშრომლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ აქვთ ინფორმაცია სურვილის შემთხვევაში პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირების შესაძლებლობისა და პროცედურის შესახებ. ინიციატივების დაფიქსირება შესაძლებელია სამსახურის უშუალო ხელმძღვანელთან ან ადამიანური რესურსების მენეჯერთან, ხოლო აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღება დირექტორის მიერ და პასუხი ადრესატს უბრუნდება იგივე გზით. აღნიშნულ პროცედურასთან დაკავშირებით ინფორმაციას ადამიანური რესურსები მენეჯერი ზეპირსიტყვიერად აწვდის თანამშრომლებს.

   მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების თანამშრომლები იცნობენ პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირების პროცედურას, იმისათვის რომ თნამშრომლებისთვის ინფორმაცია იყოს მეტად ხელმისაწვდომი **დაწესებულებას ექსპერტთა ჯგუფის მიერ ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია გაწეროს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირების პროცედურა და მექანიზმები.**

   ექსპერტთა ჯგუფის მიერ **ინდიკატორი 4.2.1.5 შეფასდა შესაბამისად პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.**

   დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პერსონალის მართვის პოლიტიკა დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით №4-97,26/06/2020 (ბოლო ცვლილება №04-68, 23.03.2023);
- სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების ინსტრუქციის (ბრძანება №04-88, 10.06.2022);
- სსიპ -ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების კომისიის სამუშაო შეხვედრის სხდომის ოქმი N 01-1;
- სამსახურების ხელმძღვანელების ანგარიშები თანამშრომელთა შეფასების შესახებ;
- უშუალო ხელმძღვანელის მიერ შევსებული თანამშრომელთა შეფასების ფორმა;
- შემფასებელი ჯგუფის მიერ შევსებული თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების/თვითშეფასების ფორმა;
- ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევის ანალიზი;
- HR ადამიანური რესურსების მართვის მასტერკლასზე რეგისტრაციის დოკუმენტი;
- პროფესიული მომზადების პროგრამა საქმის მწარმოებელის სერთიფიკატი;
- პროფესიულ პედაგოგთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევს ანალიზი (კვლევის პერიოდი:11.01.2023-18.01.2023);
- ტრენინგების შესახებ მიღებული-გაგზავნილი ელ. წერილები;
- ტრენინგის დღის წესრიგი, დასწრების ფურცლები;
- ადმინისტრაციის თანამშრომლებსა და პროფესიულ მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**5.მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**

**5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**5.1.1** პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სიპ ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის'' მფლობელობაშია მცხეთის რაიონში სოფელ წინამძღვრიანთკარში, (ს/კ: 72.04.04.546) დაზუსტებული ფართობით: 196172.00 კვ.მ (შენობა - ნაგებობების ჩამონათვალი: შენობა ნაგებობა N1-დან N27-ის ჩათვლით. შენობა-ნაგებობა N1 საერთო ფართით - 4062.76 კვ.მ (მ.შ. სარდაფი-736.3 კვ.მ I სართული -1050.36 კვ.მ, II სართული -1199.8 კვ.მ, III სართული -1076.3 კვ.მ) და სტუდენტთა საერთო საცხოვრებელს (ს/კ: 72.04.04.544) 6531 კვ. მ ფართობზე განლაგებულს საერთო საცხოვრებელი ფართით ჯამურად 1129 კვ. მ-ის ოდენობით, მათ შორის: პროფესიულ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი 86.5კვ.მ; მასწავლებელთა საერთო საცხოვრებელი 1014 კვ. მ და ფინური სახლი 28.5 კვ.მ.

   აღნიშნულ ფართებს მცხეთის რაიონში სოფ. წინამძღვრიანთკარში კოლეჯი ფლობს სარგებლობის უფლებით, დაწესებულების არსებობის ვადით. გარდა აღნიშნული ფართებისა, კოლეჯს აქვს სასწავლო ფართები სტეფანწმინდაში, დუშეთსა და თიანეთში.

   კოლეჯში მცხეთის რაიონში სოფელ წინამძღვრიანთკარში კეთილმოწყობილია შემდეგი სახის სივრცეები:

   - თეორიული სწავლების აუდიტორია - 19 აუდიტორია;
   - კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორია - 4 აუდიტორია;
   - დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტი/სახელოსნო - 6 ერთეული;
   - ადმინისტრაციული სივრცე - 8 ერთეული;
   - სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის - 2 ერთეული;
   - სამუშაო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის - 1 ერთეული;
   - დასასვენებელი/სარეკრეაციო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის - 3 ერთეული;
   - სივრცე პროფესიულ სტუდენტთა სპორტული ან შემოქმედებითი საქმიანობისათვის– 3 ერთეული;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სანიტარიული კვანძი/ები, მათ შორის ადაპტირებული შშმ პირთათვის - 14 ერთეული;
- ბიბლიოთეკა - 1 ერთეული;
- სამკითხველო დარბაზი - 1 ერთეული;
- სივრცე არქივისთვის - 1 ერთეული.

აღნიშნულ ფართებში სასწავლო და სამუშაო სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი სასწავლო და საოფისე ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა და მატერიალური რესურსებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმებული იქნა დაწესებულების მიერ უძრავი ქონებისა და მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ამონაწერები საჯარო რეესტრიდან, შესყიდვის აქტები, ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარებისა და ინვენტარიზაციის აქტები.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის №04-204 ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“, (ცვლილება გამხორციელებულია ბრძანებით N 04-37 09.03.2022). აღნიშნული დოკუმენტის მიხედვითად განსაზღვრულია კოლეჯის მატერიალური რესურსების მართვის, მატერიალური რესურსებით სარგებლობის პროცედურები და რესურსების რეგულარული შეფასებისა და განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. კოლეჯის სარგებლობაში არსებული მატერიალური რესურსის აღრიცხვას, შენახვას, განვითარებას და გამოყენების პროცესს მართავს მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის კოორდინატორი, ხოლო კოორდინაციას უწევს კოლეჯის დირექტორის მოადგილე. კოლეჯში ყოველწლიურად ტარდება მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ინვენტარიზაციის მუდმივმოქმედი კომისიის მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი თვით ადრე კოლეჯში მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსის შეფასება და განვითარების მიზნით შესაბამისი გეგმის შემუშავება. საგანამანთლებლო პროგრამების მატერიალური რესურსის მდგომარეობის რეგულარულ შეფასებაში გარდა მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის კოორდინატორისა, მონაწილეობენ ლოჯისტიკის სპეციალისტი და პროგრამის ხელმძღვანელი. განვითარების გეგმის შემუშავებაში ჩართულია შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი, ხოლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საერთო კოორდინაციას უწევს დირექტორის მოადგილე. შეფასება ხდება თითოეული პროგრამისთვის დოკუმენტის დანართში მოცემული ფორმისა და შემდეგი შეფასების კრიტერიუმებით: 1-ვარგისი, 2-საჭიროებს შეკეთებას, 3-გამოუსადეგარი. შეფასებისა და განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის მენეჯერი და ხარისხის მართვის სპეციალისტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული წესის პრაქტიკული გამოყენება და შესწავლილი იქნა მატერიალური რესურსების ინვენტარიზიის, აღწერის, შეფასებისა და განვითარების დოკუმენტები, რესურსების შესყიდვისა და განახლების მტკიცებულებები, დაწესებულების რესურსებით პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთვრებულთა და პერსონალის კმაყოფილების კვლევის კითხვარები და შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ადმინისტრაციულ პერსონალს, პროგრამის ხელმძღვანელებს, დაათვალიერა დაწესებულების ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და **აღნიშნულის გათვალისწინებით დაადგინა, რომ ინდიკატორი 5.1.1.1 დაკმაყოფილებულია და დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.**

2. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ,,მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის" მუხლი 3-ის ,,კოლეჯის მატერიალური რესურსებით სარგებლობა" შესაბამისად კოლეჯის თანამშრომელი, პროფესიული სტუდენტი/მსმენელი უფლებამოსილია დადგენილი წესებით ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, კომპიუტერული, საბიბლიოთეკო და საგანმანათლებლო რესურსებითა და ინფრასტრუქტურით, მათ შორის, ფოიეთი, სველი წერტილებით, კოლეჯის ეზოში არსებული მოსასვენებელი ადგილებით, შემოქმედებითი საქმიანობისათვის შესაბამისი სივრცეებით, ხოლო სპორტული მიზნების განხორციელებისათვის სპორტული დარბაზით და სპორტული მოედნით. პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს უფლება აქვთ კოლეჯის შინაგანაწესისა და საერთო საცხოვრებელში განთავსების წესის საფუძველზე ისარგებლონ კოლეჯის საერთო საცხოვრებლით. კოლეჯის ყველა სივრცე სასწავლოც და დამხმარეც, რომელიც დაკავშირებულია დაწესებულების ფუნქციონირებასთან, ადაპტირებულია და ხელმისაწვდომია შშმ პირებისთვის. ყოველივე ზემოაღნიშნული ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიუთიც. საერთო ჯამში, **ინდიკატორი 5.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.**

3. კოლეჯში მოქმედებს სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის დირექტორის ბრძანებით №04-96 (14.06.2022) დამტკიცებული „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი“, რომელიც არეგულირებს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურებს. დაწესებულებაში სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას ახორციელებენ დამლაგებლები და დამხმარე თანამშრომლები. კოლეჯში ხორციელდება დასუფთავსების კონტროლი განრიგების მეშვეობით, დამლაგებლები მუშაობენ მათთან შეთანხმებული და მათ მიერ ხელმოწერილი მუშაობის გრაფიკების მიხედვით, სადეზინფექციო საშუალებების მოთხოვნა, ნარჩენების გატანა აღრიცხულია სპეციალურ ჟურნალებში. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების შესყიდვის დოკუმენტები.
   კოლეჯში სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვა დადასტურდა ვიზუალური დათვალიერებითაც.
   **საერთო ჯამში, ინდიკატორი 5.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.**
4. კოლეჯის მფლობელობაში არსებულ ყველა შენობაში არის ცენტრალური გათბობის სისტემა, შესაბამისად, ყველა სასწავლო აუდიტორია, სახელოსნო და ადმინისტრაციული პერსონალისთვის განკუთვნილი ოთახი უზრუნველყოფილია გათბობის სისტემით.
   ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალური დათვალიერებით, პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუებითა და კომუნალური გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების შესწავლით დადასტურდა, რომ კოლეჯში გათბობის სისტემა გამართულად ფუნქციონირებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი 5.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.**
5. სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის დირექტორის №04-40 ბრძანების დანართი N9-ით დამტკიცებულია (ცვლილებები დირექტორის N04-45 ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად) „უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი“, რომლის მე-3 მუხლი არეგულირებს სახანძრო უსაფრთხოების, კოლეჯის შენობა-ნაგებობაში და მის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, კოლეჯის შენობა-ნაგებობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გადაადგილების დროს სტუდენტების დახმარებას საკითხებს. მოცემული შიდა მარეგულრებელი აქტით განსაზღვრულია უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები. კოლეჯში ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან; კოლეჯი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით (ცეცხლმაქრი, სახანძროსტენდი), რომლის გამოყენების თაობაზე კოლეჯის სტუდენტებისა და პერსონალისათვის ტარდება ინსტრუქტაჟი, რაც დასტურდებ სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ინსტრუქტაჟის ჩატარების ჟურნალებით.

წინა ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ წარმოდგენილი იყო შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პირადი საქმე, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით არ უდასტურდებოდა შესაბამისი კვალიფიკაცია. აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განხორციელდა საკადრო ცვლილება და კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 14 ივნისის №02-105 ბრძანებით კოლეჯის შრომის უსაფრთხოების პოზიციაზე დანიშნულ იქნა ამავე კოლეჯის სხვა პოზიციაზე დასაქმებული პირი, რომელიც იყო შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად სერტიფიცირებული. თუმცა, დაწესებულებაში პერსონალის რაოდენობის გათვალისწინებით, კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა ჰყოლოდათ არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რაც იმ პერიოდისთვის დაწესებულებამ ვერ უზრუნველყო და წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებული „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, რომლის ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია მატერიალური, ფინანსური რესურსის გაუმჯობესება, უსაფრთხოების ნორმების დაცვის გაუმჯობესება, ხოლო ქვეაქტივობად მოცემულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის გადამზადება, აქტივობის შესრულების ვადად განისაზღვრა 2022 წლის 30 აგვისტო, ხოლო ინდიკატორი 5.1.1.5 შეფასდა როგორც მეტწილად დაკმაყოფილებული. ავტორიზაციის ექსპერტთა მიმდინარე მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა დღეისათვის არსებული მდგომარეობა, კოლეჯში გარდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული პოზიციისა, დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 14 ივნისის №02-105 ბრძანებით შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქცია შეთავსებული აქვს კოლეჯის თანამშრომელს, რომელსაც გააჩნია კანონმდებლობის შესაბამისად აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი და დღეისათვის კოლეჯში აღნიშნული მიმართულებით დასაქმებულია ორი სერტიფიცირებული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირი, რაც **ადასტურებს, რომ ინდიკატორი 5.1.1.5 სრულადაა დაკმაყოფილებული და დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, პერსონალის რაოდენობის გათვალისწინებით, კანონმდებლობის შესაბამისად.**

6. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 6 სექტემბრის N04-89 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული სახარჯი მასალისა და ნედლეულის შენახვის, გამოყენების და სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ჩამოწერის წესები'', რომლითაც განისაზღვრება სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალებითა და ნედლეულით უზრუნველყოფის წესები. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს სასწავლო მიზნებისთვის პროფესიული პროგრამის ფარგლებში გამოსაყენებელი სახარჯი მასალისა და ნედლეულის იდენტიფიცირების, მოთხოვნისა და გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული სახარჯი მასალების, ნედლეულის და შექმნილი პროდუქტის ჩამოწერის საკითხებს. აღნიშნული წესის თანახმად, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი ვალდებულია აკონტროლოს კოლეჯში არსებული სახარჯი მასალების რესურსები და დროულად წარადგინოს მოთხოვნა სახარჯი მასალებისა და ნედლეულის სახელმწიფო შესყიდვის განსახორციელებლად. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმებული იქნა მასალა-ნედლეულის მოთხოვნისა და დაწესებულების მიერ მოცემული რესურსის მიწოდებისა და შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები, დათვალიერებული იქნა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სასწავლო გარემო, მასალა-ნედლეული და განხორციელდა ინტერვიურება პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან, რომელთაც დაადასტურეს სასწავლო პროცესში მასალა-ნედლეულის შეუფერხებელი მიწოდება და საკმარისობა.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.6 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.**

7. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N04-26 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (ბოლო ცვლილება N04-45 09.03.2022), რომელიც მოიცავს დაწესებულების დაწესებულების რესურსების საკმარისობისა და ეფექტიანობის შესახებ პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების კვლევის ინსტრუმენტებს. კვლევების შედეგების დამუშავებაზე, ანალიზისა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი. ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კმაყოფილების კვლევა მოიცავს პერსონალის დაწესებულების IT და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით კმაყოფილების შეფასებასაც. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის 04-204 ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის“, მე-4 მუხლით განსაზღვრულია „პროგრამების მიხედვით რესურსების რეგულარული შეფასებისა და განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია“, სადაც გაწერილია კოლეჯის განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსის აღრიცხვაზე, შენახვა, განვითარებასა და გამოყენების პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირები, ინვენტარიზაციის პერიოდები და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასების საკითხები, განსაზღვრულია შეფასების შედეგების მიხედვით განვითარების გეგმის შემუშავებისა და ამ გეგმის მიხედვით გაწერილი აქტივობების შესრულების თაობაზე მონიტორინგის საკითხები. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა მატერიალური რესურსების შეფასების დოკუმენტაცია და ინვენტარიზაციის ოქმები, განხორციელდა დაწესებულების მფლობელობაში არებული რესურსების ვიზუალური დათვალიერება, რომელთა საფუძველზე დასტურდება, რომ**, ინდიკატორი 5.1.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.**

8. დაწესებულების მფლობელობაში შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია და უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას, რაც ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. თითოეულ სველ წერტილთან განთავსებულია ჰიგიენის საშუალებები, ქაღალდის პირსახოცის დისპანსერი, ასევე ნარჩენების უკონტაქტო კალათა. ყველა სართულზე განლაგებულია შშმ სტუდენტებისათვის განკუთვნილი სველი წერტილები.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

9. დაწესებულების მფლობელობაში არსებულ ყველა სასწავლო და ადმინისტრაციულ ფართს, მოსასვენებელ სივრცეებსა და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში განთავსებულ ყველა მაგიდასთან განთავსებულია ინდივიდუალური სანათები.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.9 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.**

10. კოლეჯის ყველა შენობაში არის ფოიეები. სასწავლო აუდიტორიები და სახელოსნოები განთავსებულია ყველა სართულზე და გააჩნიათ დამოუკიდებელი შესასვლელები. ადმინისტრაციული, სამუშაო, დამხმარე და სასწავლო სივრცეების განლაგება ხელი არ უშლის შესაბამისი პროცესების წარმართვას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.10 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.**

11. კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს ბიბლიოთეკის ფუნქციონირების საკითხებს, ბიბლიოთეკაში გაწევრიანების წესებს, ბიბლიოთეკის და მკითხველის უფლება - მოვალეობებს, საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობისა და მათი შეფასების საკითხებს. საგანმანათლებლო რესურსები აღრიცხულია საინვენტარო წიგნში, რომელიც დამუშავებულია საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით. კოლეჯს ჰყავს კვალიფიციური ბიბლიოთეკარი, რომელიც ახორციელებს სტუდენტებისა და პერსონალის უზრუნველყოფას საბიბლიოთეკო სერვისებით.

კოლეჯის ბიბლიოთეკაში პროფესიულ სტუდენტებსა და მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა გადაიღონ ასლები, ისარგებლონ სკანერით, კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით, გამოიყენონ საკანონმდებლო მაცნე და მიიღონ ბიბლიოთეკარის კონსულტაცია.

კოლეჯის ბიბლიოთეკაში წარმოებს საბიბლიოთეკო სერვისებით მოსარგებლეთა რეგისტრაცია შესაბამის ჟურნალებში. პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ საგანმანათლებლო რესურსებით ისარგებლონ როგორც ფიზიკური ისე ელექტრონული სახით, რომელსაც ბიბლიოთეკარი მიაწოდებს ელექტრონული ფოსტის მეშვეობთ. ექსპერტთა ჯგუფის განსახილველი პროფესიული პროგრამების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფარგლებში გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსების ბიბლიოთეკაში არსებობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი 5.1.1.11 დაკმაყოფილებულია, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის 04-204 ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“;
- შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზები;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- მატერიალური რესურსების ინვენტარიზიის, აღწერის, შეფასებისა და განვითარების დოკუმენტები;
- კოლეჯის მატერიალური რესურსების შესყიდვის დოკუმენტები;
- დაწესებულების რესურსებით პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთვრებულთა და პერსონალის კმაყოფილების კვლევის დოკუმენტები;
- კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 14 ივნისის №04-96 ბრძანებით დამტკიცებული „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი“;
- დასუფთავსების განრიგები, დამლაგებლებთან შეთანხმებული და მათ მიერ ხელმოწერილი მუშაობის გრაფიკები, სადეზინფექციო საშუალებების მოთხოვნის ჟურნალები, ნარჩენების გატანის დოკუმენტები, სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების შესყიდვის დოკუმენტები;
- კომუნალური გადახდების ქვითრები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის დირექტორის №04-40 ბრძანების დანართი N9-ით დამტკიცებულია უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი;
- კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 14 ივნისის №02-105 ბრძანება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დანიშვნის შესახებ;
- კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 2 მარტის №04-22 ბრძანებით დამტკიცებული „ნარჩენების შეგროვებისა და განთავსების წესი“;
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N04-26 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კმაყოფილების კვლევის ანალიზის დოკუმენტები;
- კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებულია „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“;
- კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგები
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი შემოწმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ სახანძრო უსაფრთხოების თვალსაზრისით და წარმოდგენილია სახანძრო ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის 2020 წლის 07 აგვისტოს №47 აქტი, რომელიც ადგენს დაწესებულების შესაბამისობას კანონმდებლოთ დადგენილი სახანძრო უსაფრხთოების ნორმების დაცვის თაობაზე მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. წინამძღვრიანთ კარში მდებარე შენობა-ნაგებობებისთვის.

   აგრეთვე, კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილია სამხარაულის ექსპერტიზის №008573819 დადებითი დასკვნა მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. წინამძღვრიანთკარში მდებარე შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.1 დაკმაყოფილებული, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.**

2. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის დირექტორის №04-40 ბრძანებით დამტკიცებულია უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი. კოლეჯში ფუნქციონირებს პირველადი სამედიცინო მომსახურების კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო და აუცილებელი ინვენტარით და საშტატო ნუსხით გათვალისწინებულია მედდა, რომელიც ვალდებულია კოლეჯის თანამშრომლებს, პროფესიულ მასწავლებლებსა და პროფესიულ სტუდენტებს აღმოუჩინოს პირველადი სამედიცინო დახმარება, საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარება, აკონტროლოს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა კოლეჯში, გაავრცელოს ინფექციური თუ ვირუსული დაავადების არიდების ან მათი გავრცელების თავიდან აცილების შესახებ ინფორმაცია, ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი კოლეჯის პერსონალსა და სტუდენტებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის საკითხებზე, ასახოს პროფესიულ სტუდენტთა მონაცემების შესაბამის ჟურნალში, რომელშიც მოცემულია მონაცემები სისხლის ჯგუფის, რეზუსის, ალერგიისა და გადატანილი დაავადებების შესახებ; მედდის კომპეტენცია და სტურდება პირად საქმეში არსებული დოკუმენტებით.

მედდა აწარმოებს ინციდენტების აღრიცხვის, პირველადი სამედიცინო საშუალებების მოთხოვნის, მიღებისა და აღრიცხვის ჟურნალებს.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.**

3. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 3 ივნისის № 04-81 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“ და შექმნილია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შტაბი. წინა ვიზიტის ფარგლებში საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული არ იყო კომპეტენტურ ორგანოსთან. აღნიშნულთან დაკავშირებით, კოლეჯს წარმოდგენილი ჰქონდა წერილი, რის მიხედვითაც დასტურდებოდა, რომ კოლეჯმა მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების მიზნით კომპეტენტურ ორგანოსთან (წერილი №1513980; 07.06.2022წ.) და „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, რომლის ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრული იყო მატერიალური, ფინანსური რესურსის გაუმჯობესება, უსაფრთხოების ნორმების დაცვის გაუმჯობესება, ხოლო ქვეატივობად მოცემულიიყო უსაფრთხოების ნორმების გაუმჯობესება, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 აგვისტო. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოცემული დრო შეფასებული იქნა რელევანტურად და ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილი შესაბამისობა.

მიმდინარე მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა წერილი 30.06.2022 MIA 3 22 01776364, რომლითაც დასტურდება, რომ კომპეტენტურ ორგანოსთან ამ ეტაპზე შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ამასთან, კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი იქნა მტკიცებულებები პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისთვის სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებული წვრთნების შესახებ საგანგებო სიტუაციების რეაგირების შტაბის მიერ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.3 სრულ შესაბამისობაშია და დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.**

4. კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესი“ მიხედვით კოლეჯში სავალდებულოა საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფილი იყოს წესრიგის დაცვა. კერძოდ, კოლეჯს ემსახურებიან დაცვის თანამშრომლები. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 მარტის N04-42 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების წესი“, რომელიც არეგულირებს ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების ძირითადი პრინციპებს, კოლეჯის შენობა-ნაგებობების, კოლეჯის სამუშაო ადგილზე ვიდეომეთვალყურეობის პროცესი, ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებისას დამუშავებული მონაცემის დაცვის, შენახვის, დაარქივებისა და გამოყენების წესები. დოკუმენტში გაწერილი დებულებები არ არის წინააღმდეგობაში კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

   შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემა. დაცვის თანამშრომლები ვალდებული არიან მუდმივად აკონტროლონ კოლეჯში დამონტაჟებული სამეთვალყურეო კამერები და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები. საჭიროების შემთხვევაში, ისინი უფლებამოსილნი არიან ამოიღონ ძველი ჩანაწერები და შეისწავლონ ისინი.

   **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორი 5.1.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.**

   დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო უსაფრთხოების სახანძრო ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის 2020 წლის 07 აგვისტოს №47 აქტი;
- სამხარაულის ექსპერტიზის №008573819 დასკვნა მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. წინამძღვრიანთ კარში მდებარე შენობანაგებობის მდგრადობის შესახებ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის დირექტორის №04-40 ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი;
- კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 3 ივნისის № 04-81 ბრძანებით დამტკიცებული და კომპეტენტურ ორგანოსთან შეთანხმებული „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“; წერილი N MIA 3 22 01776364, 30.06.2022 წ.;
- საგანგებო სიტუაციების რეაგირების შტაბის მიერ, ჩატრებული ინსტრუქტაჟების ჟურნალები;
- კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 მარტის N04-42 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების წესი“;
- კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესი“;
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის №N04-27 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის „წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესები’’;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით პასუხისმგებელ პირთან, ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულება/სამუშაოს აღწერილობა;
- ხელშეკრულება დაწესებულების დაცვის ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან- დარაჯებთან;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთვარებულებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ*

1. ***ვეტერინარია***

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ვეტერინარია |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | უმაღლესი(მე-5 დონე) |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში / Higher Vocational Qualification in Veterinary |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0841 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | პროგრამის დამტკიცება:11/06/2020 N 04-88/ ბოლო ცვლილება:21/04/2023 N 04-98 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | • მცხეთა-მთიანეთი; მცხეთა, სოფ. წინამძღვრიანთკარი;<br>• ნიუ ვეტი;<br>• მეი ჰიუ საქართველო,<br>• ი/მ ზურაბ ბორცვაძე; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| | • ხორც-პროდუქტების სერვისი |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | დუალური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 15 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 150 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

*1. ვეტერინარია*

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | | სრულ შესაბამისობაში |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | სრულ შესაბამისობაში |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | | სრულ შესაბამისობაში |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | | სრულ შესაბამისობაში |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

1. ვეტერინარია

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. გადაწყვეტილება პროგრამის დამატების შესახებ საკმარისად დასაბუთებული და არგუმენტირებულია. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგემვის და შემუშავების მეთოდოლოგია - კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-111 (13.12.2019) დამტკიცებული (ცვლილება N04-191 06.10.2020) „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა“, რის საფუძველზეც დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს „პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება“, სადაც აღნიშნულია, რომ კოლეჯი არის მრავალპროფილურია, თუმცა წამყვანი დარგი სოფლის მეურნეობაა. შერჩეული პროგრამა „ვეტერინარია“ მიესადაგება კოლეჯის მისიას - მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები, როგორც ადგილობრივი, ისე ქვეყნის მასშტაბით შრომის ბაზრისთვის. სასწავლებელს დაარსებიდან, 1883 წლიდან, დღემდე ბევრჯერ შეეცვალა სახელი, მაგრამ სოფლის მეურნეობის მიმართულებით სწავლების პროფილი არ შეუცვლია. კოლეჯი თანამშრომლობს აღნიშნული პროფილის საქართველოს თითქმის ყველა უწყებასთან, როგორც სახელწიფო, ისე კერძო კომპანიებთან. კოლეჯისთვის პრიორიტეტულია სწორედ ამ მიმართულების პროფესიული პროგრამების დამატებაა. დაწესებულებამ შრომის ბაზრის მიმოხილვითი ანალიზის დროს იხელმძღვანელა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზით, აღნიშნული ანალიზი მოიცავს დასაქმების საიტებისა და მათ მიერ გამოქვეყნებული ვაკანსიების შესწავლას, სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული შრომის ბაზრის ანალიზი დაწესებულებას დაეხმარა შრომის ბაზარზე არსებული ზოგადი მოთხოვნის კომპონენტების და მოსალოდნელი ტენდენციების გამოვლენის კუთხით. ასევე დაწესებულებამ სამიზნე ჯგუფად განსაზღვრა ადგილობრივი სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები, გამოკითხული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რესპონდენტების უმრავლესობა შეისწავლიდა ვეტერინარიას, რადგან პროგრამაზე სწავლა მათ დამეხმარება საკუთარი ბიზნესის დაყებასა და უკეთესად წარმართვაში. დაწესებულების მისია მოიცავს აგრარულ მიმართულებას. მისიის კონტექსტში არ ჩნდება კითხვის ნიშნები მოცემული პროგრამის დამატების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. კოლეჯის 2020 – 2026 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველი სტრატეგიული მიზანია „ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება“, აღნიშნული მიზანი ჩაშლილია 2022-23 წლის სამოქმედო გეგმაში ამოცანებად, სამოქმედო გეგმის მეორე ამოცანაა შერჩეული პროგრამების დამატება/ ავტორიზაციის პროცედურების გავლა (დუალური მიდგომით).

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების გადაწყვეტილება განახორციელოს ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა რელევანტურია, წინააღმდეგობაში არ მოდის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ მიზანშეწონილობის დოკუმენტში მოხსენიებულია დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევები და კვლევის შედეგად გამოკვეთილი გარემოებები - დარგის მიმართულების შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვეტერინარია“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საბაზო განათლება, დაშვების პროცედურა კი გულისხმობს და უზრუნველყოფს ისეთ პირთა მიღებას, რომელთა ცოდნა და უნარები იძლევა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას, პროგრამის განხორციელების ვადაში. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესით (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-69 12/07/2021; ცვლილება 04-84 31.08.2021;ცვლილება N04-104 30.09.2021)

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

3. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის დირექტორის N 04-03 11.01.2019 ბრძანებით (დანართი N2 ცვლილება: N04-12 14.02.2019 დანართი N3 ცვლილება: N04-10 20.01.2022) საფუძველზე შემუშავებულია ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრის წესი" დოკუმენტში გაწერილია ზოგადი დებულებები, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განმსაზღვრელი ფაქტორები და  პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოანგარიშების პირობები. აღნიშნული დოკუმენტის მესამე მუხლის შესაბამისად, ვეტერინარიისათვის, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობად განსაზღვრა 15 სტუდენტი. ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულება ხელმძღვანელობს პროგრამით დადგენილი მოთხოვნებს და პროფესიულ სტუდენტთა და განმახორციელებელ პირთა თანაფარდობას. სასწავლო გარემოს ფართობზე სტუდენტთა ადგილების რაოდენობის მიხედვით, ცვლებში სწავლის შესაძლებლობის პირობებში.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ვეტერინარია" განსაზღვრული მატერიალური რესურსი შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ რეკომენდაციებს და უზრუნველყოფილს სწავლის შედეგების მიღწევას. შესაბამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა კი შეესაბამება სწავლის შედეგების მიღწევის მოთხოვნებს. პროგრამით განსაზღვრული აღჭურვილობა და სასწავლო რესურსი ადეკვატურია როგორც დარგობრივი ასევე ზოგადი მოდულების სწავლებისათვის.

   **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.4  მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ვეტერინარია "არჩევითი მოდულები არ გააჩნია.
6. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი არის კოლეჯის დირექტორი, რაც განსაზღვრულია კოლეჯის წესდების მე-5 მუხლის შემდეგი პუნქტებით: ვ) კოორდინაციას უწევს პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას შრომის ბაზრის ტენდენციების შესაბამისად; ი) საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებები განხორციელების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – ბრძანებას. ასევე, N04-111 (2018 13.12.2019) ბრძანებით დამტკიცებული წესის -„სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“ მეორე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად. მაშასადამე, საგანმანათლებლო პროგრამა „ვეტერინარია“ დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის - დირექტორის მიერ, (N 04-88 ბრძანება (11.06.2020); ცვლილება N04-106 (03.07.2020); ცვლილება 02-80 03.07.2020; ცვლილება 04-116 16.07.2020; ცვლილება 04-180 22.09.2020; ცვლილება 04-196 09.10.2020; ცვლილება 04-206 23.10.2020; ცვლილება 04-14 01.03.2021; ცვლილება 02-30 12.03.2021; ცვლილება 04-57 27/04/2021;ცვლილება 04-134 04/11/2021; დანართი 3 ცვლილება N04-15 25.01.2022;ცვლილება 04-52 09.03.2022).

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „ვეტერინარია“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს და სრულ შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან. სახელწოდება არის ნათელი, გასაგები და არ შეიცავს შეცდომაში შეყვანის რისკს.

   **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.7 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვეტერინარია“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის/პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე, არ არის წინააღმდეგობაში მის მოთხოვნებთან და ადაპტირებულია დაწესებულების მიერ დაშვებებისა და მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამა აგრეთვე ითვალისწინებს

   **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.8 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

   **დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

   - სტრატეგიული განვითარების გეგმა (2020-2026) (შეთანხმებული სამეთვალყურეო საბჭოსთან ოქმი N3 29.07.2020 დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-126 30.07.2020 ცვლილება 04-38 09/03/2022)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-69 12/07/2021 დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესი (ცვლილება 04-84 31.08.2021ცვლილება N04-104 30.09.2021)
- კოლეჯის დირექტორის N 04-03 11.01.2019 ბრძანებით (ცვლილება: N04-12) 14.02.2019დამტკიცებული,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი''
- "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N04-152 (13.12.2019) დანართი N1ცვლილება 04-122 24.07.2020 ცვლილება 04-131 13.08.2020 ცვლილება 04-190 06.10.2020 ცვლილება 04-34 15. 03.2021 ცვლილება 04-163 17/12/2021ცვლილება N04-44 09.03.2022)
- პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთება;
- პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;
- პროგრამის განხორციელებაში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვეტერინარია“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია“ დამტკიცების აქტი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- კოლეჯის წესდება;
- ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება**:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯს“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია“ -მიზნებისათვის აქვს: მცხეთის რაიონის სოფ. წინამძღვრიანთკარში არსებული შესაბამისი სასწავლო A და B გარემოები, პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელებისთვის გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან, სადაც მოწყობილია C გარემო და ტექნიკური აღჭურვილობით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფილი სასწავლო ლაბორატორია; მრავალფეროვანი და ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო რესურსი, რაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას იძლევა; ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი, რომელიც შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულ მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალთან. ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისთვის, რისთვისაც კოლეჯში მოწყობილია A და B გარემოები, რომელიც აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები).

დუალური მიდგომით სწავლების უზრუნველსაყოფად დაწესებულებასა და საწარმოებს შორის გაფორმებულია სამმხრივი ხელშეკრულებები საწარმოსთან, რომლებიც ძირითადად მოიცავს საქართველოს მთავრობის 416-ე დადგენილების ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის /პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს: სასწავლო საწარმოსა და დაწესებულების საიდენტიფიკაციო მონაცემებს; პროგრამის სახელწოდებას ქართულ ენაზე, ჩასამატებელია სახელწოდება ინგლისურ ენაზე; სასწავლო საწარმოსა და პროგრამის განხორციელების ადგილის მისამართებს; პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების განაწილებას დაწესებულებასა და სასწავლო საწარმოს შორის; პროგრამაზე ერთობლივად მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობას; პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის აღწერას, მათ შორის, ინფორმაციას შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის შესახებ; პროფესიული სტუდენტის სწავლის/სამუშაოს შესრულების პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო საწარმოში/დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტის გამოცხადების შესაძლებლობას და მის ჩართულობას აღნიშნულ პროცესებში; სასწავლო საწარმოს ვალდებულებებს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საწარმოში სწავლის/სამუშაოს შესრულების პერიოდში შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველყოფისა და უსაფრთხო სამუშაო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარემოს შექმნის შესახებ; ხელშეკრულების ვადას, რომელიც არ არის პროგრამის ხანგრძლივობაზე ნაკლები და ხელშეკრულების შეწყვეტის წესს;

ხელშეკრულებაში არაა ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პროფესიული სტუდენტისთვის შრომითი ხელშეკრულების მიღმა მატერიალური/ფინანსური დახმარების გაწევის, დაზღვევის პირობების თუ სხვა ზომების შესახებ, ვინაიდან ამგვარი შეთანხმება არ არსებობს საწარმოსა და დაწესებულებას შორის;

პსდ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შემდეგ საწარმოებთან:

1. შპს „ნიუ ვეტი“ -მის ქ. თბილისი, ხომლელის 4ა;
2. შპს ხორცპროდუქტების სერვისი. მის. გლდანულა;
3. ი.მ. ზურაბ ბორცვაძე - თეთრიწყაროს რაიონი;
4. მეი ჰიუ საქართველო - ქ. თბილისი, ვარკეთილი.

აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში მათ შეუძლიათ მიიღონ და მომსახურეობა გაუწიონ 15 პროფესიულ სტუდენტს ცვლებში.

კლინიკური და პროფესიული მოდულები საწარმოებში განაწილებულია შემდეგნაირად:

**შპს „ნიუ ვეტი“ -მის ქ. თბილისი, ხომლელის 4ა;**

**მეი ჰიუ საქართველო - ქ. თბილისი, ვარკეთილი;**

გაცნობითი პრაქტიკა-ვეტერინარია;

ცხოველთა ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურებები;

ცხოველთა დაავადებები;

ინფექციის კონტროლის საფუძვლები 1;

ვეტერინარული ფარმაცია და ფარმაკოლოგია;

დოზირების პრინციპები ვეტერინარიაში;

პირველადი გადაუდებელი ვეტერინარული დახმარება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცხოველთა მკურნალობა;
პათოლოგია;
ვეტერინარი ქირურგის ასისტირება;
ცხოველთა ჯანმრთელობის დიაგნოსტირებაში მონაწილეობა;
ვეტერინარული მეანობა და გინეკოლოგია;
შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი და კატა) დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა

**ი.მ. ზურაბ ბორცვაძე - თეთრიწყაროს რაიონი:**
ცხოველთა კვება;
ცხოველთა მოვლა და კეთილდღეობაზე ზრუნვა;
ცხოველთა იდენტიფიკაცია - რეგისტრაცია;

**შპს ხორცპროდუქტების სერვისი. მის. გლდანულა;**
ცხოველთა დაკვლისშემდგომი კონტროლის განხორციელებაში მონაწილეობა;
ცხოველთა დაკვლისწინა და დაკვლის პროცესის მონიტორინგი;
სულ 18 კლინიკური და პროფესიული მოდულის 66 სწავლის შედეგი (59,76 კრედიტი) მიიღწევა საწარმოში,ხოლო 57 სწავლის შედეგი (44,28 კრედიტი) მიიღწევა კოლეჯში.
ამ ეტაპზე პროგრამაზე ირიცხება 15 აქტიური სტუდენტი. პსდ ში ექსპერტების ვიზიტის დროს სასწავლო გეგმის მიხედვით პროფესიული სტუდენტები განაწილებულები იყვნენ 2 საწარმოში: მეი ჰიუ ჯორჯია (მოდული -ცხოველთა დაავადებები) და შპს ხორცპროდუქტების სერვისი (მოდული- დაკვლისწინა და დაკვლის პროცესის მონიტორინგი),რომლებიც განაწილებულები იყვნენ ცვლებში 5-5 სტუდენტი კვირაში 3 ჯერ. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა დაათვალიერეს პრაქტიკის ობიექტები გაესაუბრნენ ინსტრუქტორებს და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტებს, რომლებმაც დაადასტურეს პრაქტიკის ობიექტებზე მათი სასწავლო პროცესში ჩართულობა, წარმოადგინეს პრაქტიკის დღიურები, რომლებიც სრულყოფილად  იყო შევსებული.

**უნდა აღინიშნოს, რომ წინა ვიზიტის ფარგლებში ხელშეკრულებები გაფორმებული იყო სხვა პრაქტიკის ობიექტებთან, ხოლო მონიტორინგის წარმოებისას პსდ  ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს პრაქტიკის ახალ ობიექტებთან, 416-ე დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, მცირეოდენი უზუსტობებით და/ან ამ დადგენილების მოთხოვნების მიხედვით შედგენილ დანართებში, რის გამოც დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, ყველა ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია 2022 წლის 9 აგვისტოს შემდეგ, სასურველია გადაიხედოს და მასში და მის დანართებში გაწერილი პირობები შევიდეს ხელშეკრულებაში პუნქტების სახით.**

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ვეტერინარია“ განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა არის - 24 განმახორციელებელი, მათ შორის 2 დარგის სპეციალისტი. პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობას. ექსპერტებმა შეისწავლეს იმ პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა, რომლების პარალელურად სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ახორციელებენ იმავე მოდულებს და დაადგინეს, რომ განმახორციელებლების რაოდენობა და საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს სრულად პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

   **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „ვეტერინარია“ განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ სტუდენტისთვის შესაბამისი სწავლებისა და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილში, რაც დასტურდება მათი პირად საქმეში დაცული კვალიფიკაციის და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. ამასთან აღსანიშნავია, რომ დაწესებულება მუდმივად ატარებს შიდა ტრენინგებს სწავლებისა და შეფასების საკითხებზე, პროფესიული განათლების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებისთვის. ამგვარად, პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით. ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელს, რომელმაც აღწერა პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების მიდგომები.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „ვეტერინარია“ კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს და გაფორმებული ხელშეკრულება აქვს პროგრამის ხელმძღვანელთან, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს პროფესიული მოდულების განმახორციელებელს. აღნიშნული პირს არის დარგის შესაბამისი კომპეტენციის მქონე, მას აქვს სწავლების რამდენიმე წლიანი გამოცდილება.

   **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში „ვეტერინარია“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის ელექტრონული სახით ან/და ბიბლიოთეკაში მატერიალური ფორმით. ექსპერტების მიერ შემოწმდა და დადასტურდა ბიბლიოთეკაში რესურსების არსებობა.

   **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.5 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

6. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-14 მუხლით კოლეჯი ახორციელებს ინკუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას;

   შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილად ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს კვალიფიციური პროფესიული მასწავლებელის და ინკუზიური განათლების სპეციალისტის მეშვეობით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტებისთვის კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლებლის ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების გზით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

7. კოლეჯს განსაზღვრული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. რენტაბელობის ზღვარი არის 10 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის ბიუჯეტის და კოლეჯის ფინანსური დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია“ განხორციელების უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.

   **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.7 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვეტერინარია“;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცა;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N04-152 (13.12.2019) დანართი N1ცვლილება 04-122 24.07.2020 ცვლილება 04-131 13.08.2020 ცვლილება 04-190 06.10.2020 ცვლილება 04-34 15. 03.2021 ცვლილება 04-163 17/12/2021ცვლილება N04-44 09.03.2022
- „პერსონალის სამუშაო აღწერილობები“;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვები;
- ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების კატალოგი და საბიბლიოთეკო ჟურნალი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- კოლეჯის ვებგვერდი;
- ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის №04-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ ითვალისწინებს პროგრამის შეფასების მიდგომებს, შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზის მიზნებისათვის დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიღების მეთოდებს, სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგებს, კოლეჯის შიდა საზოგადოების - პროფესიული სტუდენტების, პროფესიული საგანათლების მასწავლებლების, პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების მიერ პროგრამის ეფექტიანობის შეფასების ანალიზსა და სხვა. კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის მართვის სპეციალისტი.

კოლეჯში შემუშავებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის კითხვარები. სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და სხვა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კმაყოფილების კვლევის შედეგებისა და ანალიზის დოკუმენტები, მათ შორის:

- შეფასებისა და საკონტაქტო საათებზე დასწრების შუალედური ანგარიში;
- სსსმ პირთა გამოკითხვის ანგარიში კოლეჯში მიღებული სერვისებით კმაყოფილების თაობაზე;
- საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის ადეკვატურობის გამოკითხვის ანგარიში;
- დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ პროგრამის შეფასების ანგარიში;
- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- კურსდამთავრებულთა კმაყოფილებისა და დასაქმების კვლევის ანგარიში;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციისა და ჩარიცხვის რაოდენობრივი მაჩვენებლები.

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების ანალიზს და იძლევა რეკომენდაციებს პროცესების გაუმჯობესების მიზნით, მაგალითად, ერთ-ერთი შეფასების დროს, პროგრამის შინაარსობრივ ნაწილთან დაკავშირებით რეკომენდაციები და შენიშვნები დასახელდა მხოლოდ ხაზვის მოდულისათვის. მასწავლებელმა კვლევაში დააფიქსირა რომ საჭიროა თემატიკის გადახედვა და ცვლილება, რაც კოლეჯმა გაითვალისწინა.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-111 ბრძანებით დამტკიცებული „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“ დოკუმენტის მე-5 მუხლი არეგულირებს **პროგრამაში ცვლილებების შეტანა და განვითარების** საკითხებს, მათ შორის განსაზღვრულია - პროგრამაში ცვლილების ინიცირების უფლების მქონე პირები: ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროგრამის განმახორციელებელი ნებისმიერი პირი, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაცია, პროგრამის ხელმძღვანელი; პროგრამაში ცვლილების შეტანის ინიცირების პროცედურა; პროგრამაში ცვლილებების განხორციელების მიდგომები, მათ შორის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირების საკითხები; პროგრამის ხელმძღვანელის პროგრამის განვითარების პროცესში; პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის გამოსცემის საკითხები;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესის ეტაპებია:

ა) ინფორმაციის შეგროვება - პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით: დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა, პროგრამის შეფასება პროფესიულ სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება, დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა.

ბ) ინფორმაციის დამუშვება - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვის შედეგებისა და შეფასების შედეგების ანალიზი;

გ) გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრა - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების და სხვა პირები აანალიზებენ საგანმანათლებლო პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელ მხარეებს.

დ) რეკომენდაციების მომზადება და ცვლილებები - პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა;

ე) ცვლილებების განხორციელება - აღნიშნული რეკომენდაციების დანერგვა აქტებით განსაზღვრული მხარეების ჩართულობითა და პროცედურებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის დასტურად დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის ბრძანებები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელების თაობაზე: №04-51 (17.04.2020); №04-135 (04.11.2021); №04-155 (10.12.2021); №04-21 (28.01.2022); №04-49 (09.03.2022)

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა მიზნობრივი კითხვების დასმის გზით განახორციელა ინტერვიურება კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, კურსდამთავრებულებთან, რომლებმაც დაადასტურეს მათ მიერ კმაყოფილების კითხვარების შევსების, მეცადინეობებზე კოლეჯის წარმომადგენელთა დასწრების ფაქტები. ინტერვიურებისას არც ერთ პირს არ გამოუთქვამს უკმაყოფილება კოლეჯის მიერ მათი მოთხოვნისა და საჭიროების უგულებელყოფის თაობაზე.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის №04-26 ბრძანებით დამკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და საკონტაქტო საათებზე დასწრების შუალედური ანგარიში;
- სსსმ პირთა გამოკითხვის ანგარიში კოლეჯში მიღებული სერვისებით კმაყოფილების თაობაზე;
- საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის ადეკვატურობის გამოკითხვის ანგარიში;
- დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ პროგრამის შეფასების ანგარიში;
- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- კურსდამთავრებულთა კმაყოფილებისა და დასაქმების კვლევის ანგარიში;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციისა და ჩარიცხვის რაოდენობრივი მაჩვენებლები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-111 ბრძანებით დამტკიცებული „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მისი დანართები;
- პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სასწავლო გეგმას, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანამიმდევრულ განხორციელებას. სასწავლო გეგმების მიხედვით პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. იგი აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო გეგმებში ზუსტადაა გადატანილი მოდულში გათვალისწინებული საათები. სასწავლო პროცესი ამ გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, რაც დასტურდება მეცადინეობების განრიგით და შესაბამისი პირების ინტრვიუირებით.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

2. კოლეჯის დირექტორის მიერ 13.12.2019 წლის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება N04-95 14.16.2022) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", სადაც არის ჩანაწერი, თუ როგორ რეაგირებს დაწესებულება ფორს-მაჟორულ ვითარებაში. კერძოდ, „დისტანციურ რეჟიმში სწავლების კომპონენტები გამოიყენება ფორსმაჟორული ვითარების დროს, პროფესიულ სტუდენტთა ავადობის ან დროებითი/ხანგრძლივი შეზღუდული შესაძლებლობების დროს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა დროებითი შრომისუუნარობის დროს, რაც გამორიცხავს კოლეჯის ტერიტორიაზე მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის ერთდროულად ყოფნას" და ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

სასწავლო პროცესის მენეჯერთან გასაუბრებით გაირკვა, რომ პანდემიიდან გამომდინარე სასწავლო პროცესი გადაყვანილი იქნა დისტანციურ სწავლებაზე და წარმოადგინა შესაბამისი ბრძანება (07.12.2020 წლის N04-234 ბრძანება). სტუდენტების დახმარებაც განხორციელდა,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რამოდენიმე მათგანს ლეპტოპები გადასცეს დროებითი სარგებლობისთვის. დაწესებულებას გააჩნია საერთო საცხოვრებელი სტუდენტებისთვის.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, ის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისია. სასწავლო პროცესში სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება დასტურდება პრაქტიკის ობიექტის/პარტნიორ ორგანიზაციაში არსებული რესურსით, მისი ადგილით ბაზარზე. პროფესიული განათლების მასწავლებელთა გადამზადების მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და დაწესებულების მიერ ტარდება ტრენინგები სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობის მიზნით.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.3. ინდიკატორი სრულად დაკმაყოფილებული.**

4. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა, ასევე თუ რა დროს დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება: ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის (სსსმ პირებისთვის); ბ) პროფესიული სტუდენტის მობილობისას (საჭიროებისამებრ); გ) სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის (საჭიროებისამებრ); დ)მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას; ე) პროფესიული სტუდენტებისთვის ფორს-მაჟორული ვითარების დროს (საჭიროებისამებრ). კოლეჯს აღნიშნულ პროგრამაზე 2019 წლის მიღებზე ჰყავდა ერთი სსსმ პირი. თუმცა ამ ეტაპზე ასეთი პირი არ ფიქსირედება.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

**5.** პსდ-ს გაფორმებული აქვს საქართველოს მთავრობის 416-ე დადგენილების მოთხოვნების მიხედვით ხელშეკრულებები შემდეგ საწარმოებთან:

1. შპს „ნიუ ვეტი“ -მის ქ. თბილისი, ხომლელის 4ა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. შპს ხორცპროდუქტების სერვისი. მის. გლდანულა;

3. ი.მ. ზურაბ ბორცვაძე - თეთრიწყაროს რაიონი;

4. მეი ჰიუ საქართველო - ქ. თბილისი, ვარკეთილი.

აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში მათ შეუძლიათ მიიღონ და მომსახურეობა გაუწიონ 15 პროფესიულ სტუდენტს ცვლებში.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან დაწესებულება თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

6.დაწესებულებაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, საკლასო ოთახში განთავსებულია პირველადი დახმარების ყუთი, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია უსაფრთხოების წესები, გამაფრთხილებელი, ამკრძალავი და დამშვები ნიშნები, სამუშაო ლაბორატორიაში არის ქსელური დამიწება. ინტერვიურებით გაირკვა, რომ სტუდენტების უსაფრთხოებაზე იდენტიფიცირებულია პასუხისმგებელი პირი - მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით,**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- საგანმანათლებლო პროგრამა „ვეტერინარია“;
- სასწავლო და კალენდარული გეგმები;
- პარტიორ კომპანიასტან სს ენერგო პრო ჯორჯიასთან გაფორმებული მემორანდუმი;
- ინდ. სასწავლო გეგმა;
- დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი და ფაქტობრივი მდგომარეობა;
- განმახორციელებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*შეფასება:*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესის VIII თავი განსაზღვრავს შეფასების სისტემას, შეფასების ინსტრუმენტებსა და შეფასების უწყისის წარმოების მექანიზმებს. შიდა მარეგულირებელი აქტი ადგენს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური შეფასების სისტემის არსებობის სავალდებულოობას.

   შეფასების ინსტრუმენტებს ადგენს პროფესიული განათლების მასწავლებელი. კოლეჯის მიერ დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტების ფორმა და განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტების წარმოდგენის ვადები.

   პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენის შემდეგ, სასწავლო პროცესის მენეჯერი ვალიდაციის პროცესში რთავს პროგრამის ხელმძღვანელს ან სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს, რომლებიც ახორციელებენ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას. სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური და პროგრამის ხელმძღვანელი - შინაარსობრივი მხარის შემოწმებას. ხარვეზების შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტი უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს რეკომენდაციებით/შენიშვნებით/მითითებებით, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარადგინოს შესწორებული სახით. შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტი გამოიყენება პროფესიულ სტუდენტის შეფასების მიზნებისათვის. დაუშვებელია შეფასების დროს ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, რომელიც არ არის შეთანხმებული კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან.

კოლეჯში დარეგულირებულია განმეორებითი შეფასებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმებიც, რომელთა შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების საკითხი დადასტურებულ იქნა პროფესიულ სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის შევსებული ფორმები, რიგ შემთხვევებში გაცემულია რეკომენდაციები.

შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაციისა და შეფასების ადმინისტრირების პროცესები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და დაცულია სამართლიანობის პრინციპები, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ნაწილში, რაც დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსერტთა ჯგუფის ინტერვიურების გზით, მათ შორის კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთათვის შეფასების შედეგების გაცნობა.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N04-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები" ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმებს. შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია ვერიფიკაციის მიზნები, ვერიფიკაციის პროცესის ადმინისტრირების საკითხები, მათ შორის ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები, ვერიფიკაციის პროცესში რისკ ფაქტორების განსაზღვრის წესი, ვერიფიკაციის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასკვნების შედგენისა და განხილვის მიდგომები, რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმის შედგენისა და ამ გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

3. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესის** VIII თავი განსაზღვრავს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების/მონაცემების/ინფორმაციის სათანადო აღრიცხვის, შევსებისა და შენახვის წესებს.

შევსებული შეფასების ინსტრუმენტები ინახება კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან ან/და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში. შეფასების უწყისი ინახება უვადოდ.

პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგები ფორმდება შესაბამისი უწყისით. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს/ინფორმაციას/მტკიცებულებებს გადასცემს კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერს ან პროგრამის ხელმძღვანელს სათანადო აღრიცხვის მიზნით. საბოლოოდ კი პროგრამის ხელმძღვანელი მონაცემებს გადასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომელიც მტკიცებულებებს აღრიცხავს ელექტრონული ან მატერიალური ჟურნალის საშუალებით.

მტკიცებულებების აღრიცხვის ჟურნალს ავსებს სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, პროფესიული სტუდენტების სახელი და გვარი, ჯგუფის ნომერი, პროგრამის დაწყებისა და დასრულების თარიღი, პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა, მტკიცებულებების შენახვის ადგილი. მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით იქნა გადამოწმებული.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

4. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესის** VIII თავი განსაზღვრავს შეფასების შედეგების გათვალისინებას პროფესიული სტუდენტების სწავლის პროცესის გაუმჯობესებისათვის.

პროფესიულ სტუდენტს სხვადასხვა გზით აქვს კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის მენეჯერისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, დამატებითი საათების განმავლობაში, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით.

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია დირექტორის მიერ საკვალიფიკაციო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის შედეგად ხდება პროფესიული სტუდენტისათვის რეკომენდაციების გაცემა, პროგრამის განვითარება, მოდულების რიგითობის განსაზღვრა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი, საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

აღნიშნული მექანიზმების ეფექტიანობა დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და კურსდამთავრებულებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესი;
- კოლეჯის მიერ დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტების ფორმა;
- შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის შევსებული ფორმები;
- პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოები;
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N04-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მისი დანართები;
- ვერიფიკაციის ანგარიში;
- პროფესიულ სტუენტებთან, პერსონალთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

*XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ*

2.რძის პროდუქტების წარმოება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | რძის პროდუქტების წარმოება |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასურსათო პროდუქტების წარმოებაში / Secondary Vocational Qualification in Food Production |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0721 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | პროგრამის დამტკიცება 23/09/2019 ბრძანება N 04-95/ბოლო ცვლილება 19/04/2023 ბრძანება N 04-94 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | • მცხეთის რაიონის სოფ. წინამძღვრიანთკარი<br>• შპს „ქართული რძის პროდუქტები“ (თბილისი, მარნეულის ქუჩა N43)<br>• შპს „ჩვენი ფერმერი“ (თბილისი, ქავთარაძის N11)<br>• შპს „რესპუბლიკა“ (თბილისი, ორხევი, ახვლედიანისქუჩა N26ა)<br>• შპს ,,თელეთის რძის პროდუქტები“ (გარდაბნის რ-ნი, სოფ. ზემო თელეთი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | დუალური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 15 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | არ არის |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 85 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 115 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 



## XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

2.რძის პროდუქტების წარმოება

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | | სრულ შესაბამისობაში |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | სრულ შესაბამისობაში |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | | სრულ შესაბამისობაში |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | | სრულ შესაბამისობაში |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

**პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

2. რძის პროდუქტების წარმოება

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგემვის და შემუშავების მეთოდოლოგია - კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-111 (13.12.2019) დამტკიცებული (ცვლილება N04-191 06.10.2020) „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა“, რის საფუძველზეც დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს „პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება“, სადაც აღნიშნულია, რომ კოლეჯი არის მრავალპროფილურია, თუმცა წამყვანი დარგი სოფლის მეურნეობაა. შერჩეული პროგრამა „რძის პროდუქტების წარმოება“ მიესადაგება კოლეჯის მისიას - მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები, როგორც ადგილობრივი, ისე ქვეყნის მასშტაბით შრომის ბაზრისთვის. სასწავლებელს დაარსებიდან, 1883 წლიდან, დღემდე ბევრჯერ შეეცვალა სახელი, მაგრამ აგრარული მიმართულებით სწავლების პროფილი არ შეუცვლია. კოლეჯი თანამშრომლობს აგრარული პროფილის საქართველოს თითქმის ყველა უწყებასთან, როგორც სახელწიფო, ისე კერძო კომპანიებთან. კოლეჯისთვის პრიორიტეტულია სწორედ აგრარული მიმართლების პროფესიული პროგრამების დამატებაა. დაწესებულებამ შრომის ბაზრის მიმოხილვითი ანალიზის დროს იხელმძღვანელა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზით, აღნიშნული ანალიზი მოიცავს დასაქმების საიტებისა და მათ მიერ გამოქვეყნებული ვაკანსიების შესწავლას, სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული შრომის ბაზრის ანალიზი დაწესებულებას დაეხმარა შრომის ბაზარზე არსებული ზოგადი მოთხოვნის კომპონენტების და მოსალოდნელი ტენდენციების გამოვლენის კუთხით. ასევე დაწესებულებამ სამიზნე ჯგუფად განსაზღვრა ადგილობრივი სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები, გამოკითხული რესპონდენტების 5% (სულ 27 მსურველი) შეისწავლიდა „რძის პროდუქტების წარმოებას“, რადგან პროგრამაზე სწავლა მათ დამეხმარება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკუთარი ბიზნესის დაყებასა და უკეთესად წარმართვაში. დაწესებულების მისია მოიცავს აგრარულ მიმართულებას. მისიის კონტექსტში არ ჩნდება კითხვის ნიშნები მოცემული პროგრამის დამატების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. კოლეჯის 2020 – 2026 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველი სტრატეგიული მიზანია „ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება“, აღნიშნული მიზანი ჩაშლილია 2022-23 წლის სამოქმედო გეგმაში ამოცანებად, სამოქმედო გეგმის მეორე ამოცანაა შერჩეული პროგრამების დამატება/ ავტორიზაციის პროცედურების გავლა (დუალური მიდგომით).

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების გადაწყვეტილება განახორციელოს ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა რელევანტურია, წინააღმდეგობაში არ მოდის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ მიზანშეწონილობის დოკუმენტში მოხსენიებულია დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევები და კვლევის შედეგად გამოკვეთილი გარემოებები - დარგის მიმართულების შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.**

2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 12 ივლისის N04-69 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესი“ შემუშავებულია ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფისათვის მოწოდებულ წესში არ იყო ასახული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 14 თებერვლის №27/ნ და 2022 წლის 25 მარტის 44/ნ ბრძანებით განხორციელბული ცვლილებები. კოლეჯში ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა დასვა კითხვები მოცემულ წესში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე, რა დროსაც დაწესებულებამ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტამდე განახორციელდა ცვლილებები „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესში“, რისთვისაც გამოცემულია კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 10 ივნისის №04- 93 ბრძანება. ამ დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულებაში საშუალო და ინტეგრირებულ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. ამ წესის მე-8 მუხლის „შერჩევა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში“



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევა, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში რეგულირდება კოლეჯს დირექტორის 07.10.2019 წლის N04-99 ბრძანებით დამტკიცებული მარეგულირებელი წესით ,,აპლიკანტთა კონკურსის წესით შერჩევის დებულება იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში‟.

ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეამოწმა პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის დოკუმენტები, კერძოდ: პირადი საქმეები, ატესტატები. ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეამოწმა პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, ამ პროფესიული სტუდენტების არსებობა პროფესიული განათლების მართვის სისტემაში. დაწესებულება არ არღვევს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.1.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

3. დირექტორის N04-03 11.01.2019 ბრძანებით დანართი N2 (ცვლილება: N04-10 20.01.2022) დამტკიცებულია ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი‟, სადაც აღნიშნულია, რომ კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას დუალურ პროგრამებზე მხედველობაში მიიღება C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი, ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა ან რამდენიმე საწარმოს შემთხვევაში - ადგილების ჯამი. აღნიშნულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით დაწესებულებას შეიმუშავებული აქვს „პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება“ „რძის პროდუქტების წარმოების“ პროგრამისთვის. კონტინგენტის დაგეგმვისას ამოსავალი ძირითადად პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსებია. გათვალისწინებულია, რომ ერთიდაიგივე რესურსი შესაძლებელია სხვადასხვა პროგრამის მიზნებისათვის იქნას გამოყენებული - ასეთია უცხო ენის კაბინეტი 15 სტუდენტისათვის და B სასწავლო გარემო, სადაც არის ადგილი 30 პროფესიული სტუდენტისათვის (ოთახი N213 და N210, თითოეულში 15 ადგილი), გამოყოფილია A სასწავლო გარემო, სადაც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არის სამუშაო ადგილი ერთდროულად 15 პროფესიული სტუდენტისათვის, პროგრამის ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სამ რძის გადამამუშავებელ კომპანიასთან. ესენია: შპს „ქართული რძის პროდუქტები“ (თბილისი, მარნეულის ქუჩა N43), შპს „ჩვენი ფერმერი“ (თბილისი, ქავთარაძის N11) და შპს „რესპუბლიკა“ (თბილისი, ორხევი, ახვლედიანის ქუჩა N26ა), რომელებიც თითოეული უზრუნველყოფს 15 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ სწავლებას. კოლეჯის მიერ შეძენილი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე, პროგრამის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია 31 პროფესიულ მასწავლებელთან. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი არგუმენტების გათვალისწინებით, კოლეჯს შეუძლია ერთდროულად 15 პროფესიული სტუდენტის მიღება პროგრამაზე.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.1.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.1.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „რძის პროდუქტების წარმოება “არჩევითი მოდულები არ გააჩნია.
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის N04-66 ბრძანებით (01.09.2017) დანართი N2-ით, ბოლო ცვლილება განხორციელდა 09.03.2022 წლის N04-54 ბრძანებით. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი არის კოლეჯის დირექტორი, რაც განსაზღვრულია კოლეჯის წესდების მე-5 მუხლის შემდეგი პუნქტებით: ვ) კოორდინაციას უწევს პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას შრომის ბაზრის ტენდენციების შესაბამისად; ი) საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებები განხორციელების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – ბრძანებას. ასევე, N04-111 (2018 13.12.2019) ბრძანებით დამტკიცებული წესის -



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“ მეორე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად;

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.1.1.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება – „რძის პროდუქტების წარმოება“ – სრულ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი მოიცავს რძის პროდუქტების წარმოების სპეციალისტის ფუნქცია– მოვალეობებსა და კომპეტენციებს, სახელწოდება ემთხვევა ჩარჩო დოკუმენტს/საგანმანათლებლო სტანდარტს „რძის პროდუქტების წარმოება“ სახელწოდებას.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.1.1.7. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

8. პროგრამის შემუშავების საფუძველი, შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტი - „რძის პროდუქტების წარმოება". პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. დაწესებულების მიერ წარმოგენილ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში წარმოდგენილია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები და სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგების განაწილების სქემა, ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა, პროგრამის განმახორციელებლები, პროგრამის მატერიალური რესურსი, პროგრამის ბიუჯეტი. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულები A2 და B1 რომელის მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.1.1.8. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სტრატეგიული განვითარების გეგმა (2020-2026) (შეთანხმებული სამეთვალყურეო საბჭოსთან ოქმი N3 29.07.2020 დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-126 30.07.2020 ცვლილება 04-38 09/03/2022)
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-69 12/07/2021 დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესი (ცვლილება 04-84 31.08.2021ცვლილება N04-104 30.09.2021)
- კოლეჯის დირექტორის N 04-03 11.01.2019 ბრძანებით (ცვლილება: N04-12) 14.02.2019დამტკიცებული,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი’’
- "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N04-152 (13.12.2019) დანართი N1ცვლილება 04-122 24.07.2020 ცვლილება 04-131 13.08.2020 ცვლილება 04-190 06.10.2020 ცვლილება 04-34 15. 03.2021 ცვლილება 04-163 17/12/2021ცვლილება N04-44 09.03.2022)
- პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთება;
- პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;
- პროგრამის განხორციელებაში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „რძის პროდუქტების წარმოება“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რძის პროდუქტების წარმოება“ დამტკიცების აქტი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რძის პროდუქტების წარმოება“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- კოლეჯის წესდება;
- ინტერვიუს შედეგები..

შეფასება:

☒ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „რძის პროდუქტების წარმოება“, განხორციელებისათვის სსიპ ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი“" არსებობის ვადით, სარგებლობის უფლებით, ფლობს ძირითად სასწავლო ფართს, რომელიც მდებარეობს მცხეთის რაიონში სოფელ წინამძღვრიანთკარში, (ს/კ: 72.04.04.546) , რომლის გამოყენებითაც ხორციელდება განსახილველი პროგრამა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულების მიერ შერჩეული სასწავლო გარემო შეადგენს:

A სასწავლო გარემო - შერჩეულია №215 აუდიტორია, სადაც განთავსებულია 15 პროფესიული სტუდენტებისათვის მაგიდა და სკამი; პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის მაგიდა და სკამი; 1 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიულიგანათლების მასწავლებლისათვის; დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი, 1 ცალი; თვალსაჩინოებები; დაფა 1 ცალი, ზოგიერთი აღჭურვილობა პრაქტიკული სამუშაოსათვის.

•B სასწავლო გარემო - შერჩეულია №209 და №211 აუდიტორია, სადაც განთავსებულია 15-15 პროფესიული სტუდენტებისათვის მაგიდა და სკამი; პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის მაგიდა და სკამი; 15 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის; 1 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის; დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი, 1 ცალი; დაფა 1 ცალი; კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები) 1 ცალი;

დუალური მიდგომით სწავლების უზრუნველსაყოფად დაწესებულებასა და საწარმოებს შორის გაფორმებულია ორმხრივი და/ან სამმხრივი ხელშეკრულებები ოთხ რძის გადამამუშავებელ საწარმოსთან, რომელთაგანაც თითოეული უზრუნველყოფს ერთდროულად 15 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ სწავლებას. ესენია: შპს „ქართული რძის პროდუქტები“ (თბილისი, მარნეულის ქუჩა N43), შპს „ჩვენი ფერმერი“ (თბილისი, ქავთარაძის N11), შპს „რესპუბლიკა“ (თბილისი, ორხევი, ახვლედიანის ქუჩა N26ა), შპს ,,თელეთის რძის პროდუქტები“ (გარდაბნის რ-ნი, სოფ. ზემო თელეთი), რომლებიც ძირითადად მოიცავს საქართველოს მთავრობის 416-ე დადგენილების ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის /პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს, როგორც ხელშეკრულებაში, ისე მის დანართებში, მაგ.: სასწავლო საწარმოსა და დაწესებულების საიდენტიფიკაციო მონაცემებს; პროგრამის სახელწოდებას ქართულ ენაზე, არაა სახელწოდება ინგლისურ ენაზე; სასწავლო საწარმოსა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ადგილის მისამართებს; პროგრამით გათვალისწინებული მოდულებს, რომლებიც უნდა განხორციელდებს საწარმოში დანართების სახითაა ძირითადად წარმოდგენილი; პროგრამაზე ერთობლივად მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობას; პროფესიული სტუდენტის სწავლის/სამუშაოს შესრულების პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო საწარმოში/დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტის გამოცხადების შესაძლებლობას და მის ჩართულობას აღნიშნულ პროცესებში; სასწავლო საწარმოს ვალდებულებებს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საწარმოში სწავლის/სამუშაოს შესრულების პერიოდში შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველყოფისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის შესახებ; ხელშეკრულების ვადას, რომელიც არ არის პროგრამის ხანგრძლივობაზე ნაკლები და ხელშეკრულების შეწყვეტის წესს;

ხელშეკრულებაში არაა ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პროფესიული სტუდენტისთვის შრომითი ხელშეკრულების მიღმა მატერიალური/ფინანსური დახმარების გაწევის, დაზღვევის პირობების თუ სხვა ზომების შესახებ, ვინაიდან ამგვარი შეთანხმება არ არსებობს საწარმოსა და დაწესებულებას შორის; აღსანიშნავია, რომ სამი ხელშეკრულება გაფორმებულია 416-ე დადგენილების ძალაში შესვლამდე და არ საჭიროებდა განახლებას, თუმცა, შპს-სთან ,,თელეთის რძის პროდუქტები“ (გარდაბნის რ-ნი, სოფ. ზემო თელეთი) გაფორმებულია მიმდინარე წელს და საჭიროებს გადახედვას.

ამ ეტაპზე პროგრამაზე ირიცხება 6 აქტიური სტუდენტი, რომლებიც განაწილებულები არიან შპს „ქართული რძის პროდუქტებში“ (თბილისი, მარნეულის ქუჩა N43), შპს „ჩვენი ფერმერში“ (თბილისი, ქავთარაძის N11) და შპს-სთან ,,თელეთის რძის პროდუქტები“ (გარდაბნის რ-ნი, სოფ. ზემო თელეთი).

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებს, რომლებმაც დაადასტურეს პრაქტიკის ობიექტებზე მათი სასწავლო პროცესში ჩართულობა, წარმოადგინეს პრაქტიკის დღიურები, რომლებიც სრულყოფილად იყო შევსებული.

ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა რესურსების ფიზიკური არსებობა და საკმარისობა. პროგრამაში აღწერილი მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები შესაბამისობაშია დაწესებულებაში არსებულ რესურსებთან. ექსპერტმა მხედველობაში მიიღო სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსიც, რომლით სარგებლობის გარანტიებიც პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის შესაბამისი დოკუმენტით - ხელშეკრულებით არის გამყარებული. პრაქტიკის ყველა ობიექტი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფილია ყველა საჭირო მატერიალური რესურსით, რაც მნიშვნელოვანი გარანტია იმისა, რომ სტუდენტი მიაღწევს სწავლის დაგეგმილ შედეგებს, რასაც ითვალისწინებს რძის პროდუქტების წარმოების ყველა მოდული.

**უნდა აღინიშნოს, რომ წინა ვიზიტის ფარგლებში ხელშეკრულებები გაფორმებული იყო სამ პრაქტიკის ობიექტთან, ხოლო მონიტორინგის წარმოებისას პსდ ხელშეკრულება დამატებით გაფორმებული აქვს პრაქტიკის ახალ ობიექტთან, 416-ე დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, მცირეოდენი უზუსტობებით და/ან ამ დადგენილების მოთხოვნების მიხედვით შედგენილ დანართებში, რის გამოც დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, ყველა ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია 2022 წლის 9 აგვისტოს შემდეგ, სასურველია გადაიხედოს და მასში და მის დანართებში გაწერილი პირობები შევიდეს ხელშეკრულებაში პუნქტების სახით.**

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.2.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „რძის პროდუქტების წარმოება“ განხორციელებაში წინამძღვრიანთკარის მისამართზე სულ ჩართულია 31 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 29 არის ზოგადი მოდულების განმახორციელებელი, 3 ახორციელებს პროფესიულ მოდულებს.

ექსპერტთა ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა პროფესიული განათლების მასწავლებლების და ინსტრუქტორების შესახებ ინფორმაცია. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის ცხრილი, რომელიც მოიცავს მოდულით გასაზღვრული საკონტაქტო საათებით დატვირთვას. პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს. ინტერვიუში ექსპერტებს გვითხრეს რეკომენდაციის შესახებ, რომ კოლეჯში შემუშავებულიყო პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული იქნებოდა ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა. ეს საკითხი გადაჭრილია, ვინაიდან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პედაგოგების ჩართულობა სხვადასხვა აქტივობებში მოდმივად ხორციელდება. ისინი უტარებენ სტუდენტებს კონსულტაციებს, ასევე მონაწილეობენ ხარისხის უზრუნველყოფის საკითხების განხორციელებაში.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა პრაქტიკის ობიექტის ინსტრუქტორთა პირადი საქმეები, მათი კვალიფიკაცია აკმაყოფილებს პროგრამის მოთხოვნებს.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - რძის პროდუქტების წარმოება განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს გავლილი აქვს ტრენინგები სწავლებასა და შეფასებაში, ასევე მათ აქვთ პროფესიული განათლების მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.

   პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა პედაგოგების პირადი საქმეები, ასევე ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებლ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული მიმართულებით, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

4. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 მარტის №04-47 ბრძანებით დანიშნულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის N04-65 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობები“, რომელიც ასევე განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებს. პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროგრამის ადეკვატურ განხორციელებაზე, განსაზღვრავს პრაქტიკისა და თეორიის კომპონენტებს, ზრუნავს პროგრამის შინაარსა და მის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსის განვითარებაზე, ჩართულია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში, სასწავლო პროცესის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მენეჯერთან ერთად ჩართულია შეფასების მტკიცებულებების შეგროვების პროცესში, პროგრამის განხორციელებისას ახორციელებს კომუნიკაციას პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიულ მასწავლებელთან, ყოველკვირეულად პროფესიული მასწავლებისგან მიწოდებული ინფორმაციების საფუძველზე განიხილავს სტუდენტთა დასწრების ჟურნალსა და პროფესიული სტუდენტის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერს შესაბამისი ღონისძიების გატარების მოთხოვნით.

პროგრამის ხელმძღვანელი არის დარგობრივი მიმართულებით შესაბამისი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების მქონე სპეციალისტი. მას უდასტურდება ასევე კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების კომპეტენცია. პროგრამის ხელმძღვანელი სრულფასოვნადაა ჩართული პროგრამის განხოციელებაში და სრულად ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესის, შეფასების სისტემის, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესახებ, რაც დადგინდა პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიით ზოოინჟინერია, რომელსაც ბოლო პერიოდში შესაბამის აკრედიტირებულ ორგანოებში არ აქვს გავლილი გადამზადების კურსი სურსათის უვნებლობის სფეროში, რაც იყო რეკომენდაცია წინა ვიზიტის დროს გაცემული, მიმდინარე წარმოების დროს , მასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა მისი ცოდნა უვნებლობის საკითხებზე, თუმცა ტრენინგის დამადასტურებელი დოკუმენტი ვერ მოგვაწოდეს.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში - რძის პროდუქტების წარმოება მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით დასტურდება ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებითა და შერჩევითი პრინციპით რამდენიმე რესურსის გადამოწმების შედეგით. ამასთან, პროგრამის მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი ელექტრონული სახით პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ელ.ფოსტაზე გაგზავნის გზით. ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.აღნიშნული საკითხები გაგვაცნო ბიბლიოთეკარმა .



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის დაწესებულებას გამოყენებული სასწავლო ლიტერატურა სწორადა აქვს შერჩეული თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით (ა. ხარაზიშვილი; ქ. ლაფერაშვილი, ზ. ქუჩუკაშვილი),(ი.ანთია, მ გუგუჩია). ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა ელექტრონული ბიბლიოთეკა, პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო რესურსების სარგებლობის ფაქტი, წიგნადი ფონდის მოძრაობის სტატისტიკა. განხორციელდა ინტერვიურება პროფესიულ სტუდენტებთან, მასწავლებლებთან.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

6. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-14 მუხლით კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას;

   შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილად ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს კვალიფიციური პროფესიული მასწავლებელის და ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მეშვეობით;

   შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტებისთვის კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლებლის ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების გზით.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.2.1.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - რძის პროდუქტების წარმოება განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. ბიუჯეტის შემოსავლები დაანგარიშებულია ჯგუფში პროფესიულ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით, თუმცა ხარჯის ჯამური ოდენობა არ აღემატება კოლეჯის მიერ განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარის მიხედვით დაგეგმილ შემოსავლებს.

შემოსავალს შეადგენს ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება, ხოლო ხარჯვითი ნაწილი კლასიფიცირებულია შემდეგნაირად: მასწავლებელთა ხელფასი, ძირითადი საშუალების ცვეთა, დიპლომების ბეჭდვა, რეკლამის ხარჯი, სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები, სხვა ხარჯი (ადმინისტრაციული, კომუნალური და სხვა).

ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამაზე რენტაბელობის ზღვარი არის 9 პროფესიული სტუდენტი, ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 15-ს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.7 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „რძის პროდუქტების წარმოება“;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N04-152 (13.12.2019) დანართი N1ცვლილება 04-122 24.07.2020 ცვლილება 04-131 13.08.2020 ცვლილება 04-190 06.10.2020 ცვლილება 04-34 15. 03.2021 ცვლილება 04-163 17/12/2021ცვლილება N04-44 09.03.2022
- „პერსონალის სამუშაო აღწერილობები“;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვები;
- ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების კატალოგი და საბიბლიოთეკო ჟურნალი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- კოლეჯის ვებგვერდი;
- ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის №04-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ ითვალისწინებს პროგრამის შეფასების მიდგომებს, შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზის მიზნებისათვის დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიღების მეთოდებს, სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგებს, კოლეჯის შიდა საზოგადოების - პროფესიული სტუდენტების, პროფესიული საგანათლების მასწავლებლების, პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების მიერ პროგრამის ეფექტიანობის შეფასების ანალიზსა და სხვა. კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის მართვის სპეციალისტი.

კოლეჯში შემუშავებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის კითხვარები. სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და სხვა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კმაყოფილების კვლევის შედეგებისა და ანალიზის დოკუმენტები, მათ შორის:

- შეფასებისა და საკონტაქტო საათებზე დასწრების შუალედური ანგარიში;
- სსსმ პირთა გამოკითხვის ანგარიში კოლეჯში მიღებული სერვისებით კმაყოფილების თაობაზე;
- საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის ადეკვატურობის გამოკითხვის ანგარიში;
- დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ პროგრამის შეფასების ანგარიში;
- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- კურსდამთავრებულთა კმაყოფილებისა და დასაქმების კვლევის ანგარიში;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციისა და ჩარიცხვის რაოდენობრივი მაჩვენებლები.

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების ანალიზს და იძლევა რეკომენდაციებს პროცესების გაუმჯობესების მიზნით, მაგალითად, ერთ-ერთი შეფასების დროს, პროგრამის შინაარსობრივ ნაწილთან დაკავშირებით რეკომენდაციები და შენიშვნები დასახელდა მხოლოდ ხაზვის მოდულისათვის. მასწავლებელმა კვლევაში დააფიქსირა რომ საჭიროა თემატიკის გადახედვა და ცვლილება, რაც კოლეჯმა გაითვალისწინა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-111 ბრძანებით დამტკიცებული „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“ დოკუმენტის მე-5 მუხლი არეგულირებს **პროგრამაში ცვლილებების შეტანა და განვითარების** საკითხებს, მათ შორის განსაზღვრულია - პროგრამაში ცვლილების ინიცირების უფლების მქონე პირები: ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროგრამის განმახორციელებელი ნებისმიერი პირი, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაცია, პროგრამის ხელმძღვანელი; პროგრამაში ცვლილების შეტანის ინიცირების პროცედურა; პროგრამაში ცვლილებების განხორციელების მიდგომები, მათ შორის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირების საკითხები; პროგრამის ხელმძღვანელის პროგრამის განვითარების პროცესში; პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის გამოსცემის საკითხები;

   პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესის ეტაპებია:

   ა) ინფორმაციის შეგროვება - პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით: დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა, პროგრამის შეფასება პროფესიულ სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება, დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა.

   ბ) ინფორმაციის დამუშვება - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვის შედეგებისა და შეფასების შედეგების ანალიზი;

   გ) გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრა - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების და სხვა პირები აანალიზებენ საგანმანათლებლო პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელ მხარეებს.

   დ) რეკომენდაციების მომზადება და ცვლილებები - პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე) ცვლილებების განხორციელება - აღნიშნული რეკომენდაციების დანერგვა აქტებით განსაზღვრული მხარეების ჩართულობითა და პროცედურებით.

ზემოაღნიშნულის დასტურად დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის ბრძანებები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელების თაობაზე: №04-51 (17.04.2020); №04-135 (04.11.2021); №04-155 (10.12.2021); №04-21 (28.01.2022); №04-49 (09.03.2022)

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა მიზნობრივი კითხვების დასმის გზით განახორციელა ინტერვიურება კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, კურსდამთავრებულებთან, რომლებმაც დაადასტურეს მათ მიერ კმაყოფილების კითხვარების შევსების, მეცადინეობებზე კოლეჯის წარმომადგენელთა დასწრების ფაქტები. ინტერვიურებისას არც ერთ პირს არ გამოუთქვამს უკმაყოფილება კოლეჯის მიერ მათი მოთხოვნისა და საჭიროების უგულებელყოფის თაობაზე.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის №04-26 ბრძანებით დამკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და საკონტაქტო საათებზე დასწრების შუალედური ანგარიში;
- სსსმ პირთა გამოკითხვის ანგარიში კოლეჯში მიღებული სერვისებით კმაყოფილების თაობაზე;
- საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის ადეკვატურობის გამოკითხვის ანგარიში;
- დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ პროგრამის შეფასების ანგარიში;
- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კურსდამთავრებულთა კმაყოფილებისა და დასაქმების კვლევის ანგარიში;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციისა და ჩარიცხვის რაოდენობრივი მაჩვენებლები.
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-111 ბრძანებით დამტკიცებული „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მისი დანართები;
- პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო შდეგების განაწილების სქემას, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია სასწავლო გეგმა, ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანამიმდევრულ განხორციელებას. სასწავლო გეგმების მიხედვით პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. იგი აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით, კარგად ჩანს თუ რომელი კვირიდან გადის სტუდენტი საწამოში პრატიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით. სასწავლო გეგმაში არის დამატებითი ჩანაწერი, თუ რომელ კვირაში რამდები დღეა სწავლება საწარმოში და რამდენი კოლეჯში. სასწავლო გეგმებში ზუსტადაა გადატანილი მოდულში გათვალისწინებული საათები. პროგრამის მოცულობა კრედიტებში ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს - 85 კრედიტს, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს - 115 კრედიტს. სასწავლო პროცესი ამ გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, რაც დასტურდება მეცადინეობების განრიგით და შესაბამისი პირების ინტრვიუირებით და ჩანაწერებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია პროგრამის ხელმძღვანელი და სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენს მეცადინეობის განრიგებს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას.

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის სპეციალისტი, ინკლუზიური განათლების სპეციალიტი, სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯრი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი ახორციელებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს.

სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კოლეჯში, ელ.ფოსტაზე მიწოდების გზით, ასევე განთავსებულია დაწესებულებს ოფიციალური ვებ-გვერდზე.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, დაისვა კითხვები მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი მოდულების შესახებ, ასევე გამოიკითხა პროფესიული სტუდენტები გავლილი მოდულების შესახებ. პროფესიული სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - რძის პროდუქტების წარმოება სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

2. კოლეჯის დირექტორის მიერ 13.12.2019 წლის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება N04-95 14.16.2022) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" განსაზღვრავს, დაწესებულების რეაგირების პროცესებს ფორს-მაჟორულ ვითარებაში და სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ადმინისტრირებისა და ამ პროცესში პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებს. პროფესიულ სტუდენტებთან სასწავლო პროცესის დაწყებამდე ხორციელდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, რა დროსაც მათ მიეწოდებათ ყველა ინფორმაცია პროგრამის, მათი უფლებებისა და ვალდებულებების, შესაძლებლობების, პროგრამის განხორციელების თავისებურებებისა და სხვათა შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების, კვალიფიკაციის, კრედიტის, ხანგრძლივობის ცვლილების შემთხვევაში კოლეჯი მოიპოვებს შესაბამისი პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა თანხმობას. დისტანციურ რეჟიმში სწავლების კომპონენტები გამოიყენება ფორსმაჟორული ვითარების დროს, პროფესიულ სტუდენტთა ავადობის ან დროებითი/ხანგრძლივი შეზღუდული შესაძლებლობების დროს,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა დროებითი შრომისუუნარობის დროს, რაც გამორიცხავს კოლეჯის ტერიტორიაზე მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის ერთდროულად ყოფნას. სსსმ პროფესიული სტუდენტების განაწილება საწარმოში, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, ხორციელდება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის აქტიური ჩართულობით კანონიერ წარმომადგენელთან ერთად. საჭიროების შემთხვევაში, თუ ვერ ხდება პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის ობიექტზე განაწილება კოლეჯი უფლებამოსილია გადაიტანოს საწარმოო პრაქტიკა, რისთვისაც შეაქვს ცვლილება სასწავლო გეგმაში. ამავე დოკუმენტით დარეგულირებულია პროფესიულ სტუდენტთა გაცდენების საკითხები, მათ შორის განსაზღვრულია გცდენის საპატიო მიზეზები და მათი მოპოვების გზები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯში დარეგულირებულია შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, ამ მიზნებისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებსა , ‘რომელთაც დაადასტურეს დაწესებულების მაქსიმალური მხარდაჭერა მათი საჭიროების შესაბამისად, ასევე აღნიშნეს, რომ თუ რაიმე საჭიროება დგება კოლეჯი მყისიერად რეაგირებს და ხელს უწყობს მათ სასწავლო პროცესში

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები და ისინი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისია. აღნიშნული ნაწილი ემთხვევა შესაბამის საგანმანათლებლო სტანდარტს. სასწავლო პროცესში სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება დასტურდება პრაქტიკის ობიექტის/პარტნიორ ორგანიზაციაში არსებული რესურსით, მისი ადგილით ბაზარზე. პროფესიული განათლების მასწავლებელთა გადამზადების მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და დაწესებულების მიერ ტარდება ტრენინგები სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობის მიზნით. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა სასწავლო გარემო. პროგრამის შესაბამისი სასწავლო გარემო უზრუნველყოფილია თანამედროვე ხელსაწყოებითა და ინვენტარით. სასწავლო გარემოში არსებობს ამ გარემოს შესაბამისი ინვენტარი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „თემატურ - კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის წესი“, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 14.02.2019 წლის ბრძანებით N04-12 (ცვლილება 15.03.2021 წლის N04-32 ბრძანებით). აღნიშნული რეგულაციით პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის შემუშავებულია კალენდარული გეგმის შემუშავების მიდგომები და პროცედურები.**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.3. ინდიკატორი სრულად დაკმაყოფილებული.**

4. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა, ასევე თუ რა დროს დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება: ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის (სსსმ პირებისთვის); ბ) პროფესიული სტუდენტის მობილობისას (საჭიროებისამებრ); გ) სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის (საჭიროებისამებრ); დ)მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას; ე) პროფესიული სტუდენტებისთვის ფორს-მაჟორული ვითარების დროს (საჭიროებისამებრ). კოლეჯს აღნიშნულ პროგრამაზე 2019 წლის მიღებზე ჰყავდა ერთი სსსმ პირი. თუმცა ამ ეტაპზე ასეთი პირი არ ფიქსირედება.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

5. რძის პროდუქტების წარმოება პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით და საწვლის შედეგების 50%-ზე მეტი მიიღწევა სასწავლო საწარმოებში და გაფორმებულია ხელშეკრულებები ოთხ რძის გადამამუშავებელ საწარმოსთან, რომელთაგანაც თითოეული უზრუნველყოფს ერთდროულად 15 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ სწავლებას. ესენია: შპს „ქართული რძის პროდუქტები“ (თბილისი, მარნეულის ქუჩა N43), შპს „ჩვენი ფერმერი“ (თბილისი, ქავთარაძის N11), შპს „რესპუბლიკა“ (თბილისი, ორხევი, ახვლედიანის ქუჩა N26ა), შპს-სთან ,,თელეთის რძის პროდუქტები“ (გარდაბნის რ-ნი, სოფ. ზემო თელეთი), თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას მისცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ გადაიხედოს ხელშეკრულებები მთავრობის ზემოაღნიშნული 416-ე დადგენილების პირობების ხელშეკრულებაში პუნქტებად შეტანის მიზნით. ისინი ასევე გაესაუბრნენ პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენელსა და პროფესიულ სტუდენტებს. პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენელი ადასტურებს კოლეჯთან კონსტრუქციულ თანამშრომლობას, ასაბუთებს ამ თანამშრომლობის მნიშვნელობას და მზად არის უზრუნველყოს კურსდამთავრებულთა დასაქმება. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.5. ინდიკატორი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**დაკმაყოფილებულია, რადგან დაწესებულება თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

6. დაწესებულებაში უსაფრთხოების მიმართ ზოგადი მოთხოვნები შესაბამისი სტანდარტითაა განსაზღვრული. თეორიული სწავლება არ ითვალისწინებს განსაკუთრებულ უსაფრთხოების წესების დაცვას, რაც შეეხება სასწავლო საწარმოებს, იქ საწარმოები ხელშეკრულებით იღებენ პასუხისმგებლობას დაიცვან შრომის უსაფრთხოების წესები, გამართული იყოს მანქანა-დანადგარები, რომელსაც პერიოდულად შემოწმებას ჩაუტარებს შრომის უსაფრთხოების სპეციალსიტი, სტუდენტებს გააცნობენ უსაფრთხოების წესებს და გამოყოფენ პირს, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა საწარმოში ყოფნის დროს მათ უსაფრთხოებას.

წინა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია რომ „სტუდენტის დღიურს“ დაემატოს ცალკე უსაფრთხოების საკითხებზე ინსტრუქტაჟის ჩატარების ნაწილი, სადაც სტუდენტები შეიტანენ უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის თემას, და ხელმოწერით დაადასტურებენ უსაფრთხოების წესების გაცნობას თარიღების მიხედვით - ეს რეკომენდაცია, არ დასტურდება ჩანაწერებით, მაგრამ პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან საუბრისას, მათ აღნიშნეს, რომ სტუდენტის ყოველი დაშვება დანადგართან ითვალისწინებს უსაფრთხოების ნორმების ახსნას და დაცვას, რომლის ინსტრუქტაჟზეც წარმოების ჟურნალებში აწერენ ხელს სტუდენტები. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით**.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- საგანმანათლებლო პროგრამა „რძის პროდუქტების წარმოება“;
- სასწავლო და კალენდარული გეგმები;
- პარტიორ კომპანიასტან სს ენერგო პრო ჯორჯიასთან გაფორმებული მემორანდუმი;
- ინდ. სასწავლო გეგმა;
- დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი და ფაქტობრივი მდგომარეობა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- განმახორციელებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები.

*შეფასება:*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის VIII თავი განსაზღვრავს შეფასების სისტემას, შეფასების ინსტრუმენტებსა და შეფასების უწყისის წარმოების მექანიზმებს. შიდა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მარეგულირებელი აქტი ადგენს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური შეფასების სისტემის არსებობის სავალდებულოობას.
შეფასების ინსტრუმენტებს ადგენს პროფესიული განათლების მასწავლებელი. კოლეჯის მიერ დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტების ფორმა და განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტების წარმოდგენის ვადები.
პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენის შემდეგ, სასწავლო პროცესის მენეჯერი ვალიდაციის პროცესში რთავს პროგრამის ხელმძღვანელს ან სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს, რომლებიც ახორციელებენ შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას. სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური და პროგრამის ხელმძღვანელი - შინაარსობრივი მხარის შემოწმებას. ხარვეზების შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტი უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს რეკომენდაციებით/შენიშვნებით/მითითებებით, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარადგინოს შესწორებული სახით. შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტი გამოიყენება პროფესიულ სტუდენტის შეფასების მიზნებისათვის. დაუშვებელია შეფასების დროს ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, რომელიც არ არის შეთანხმებული კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან.
კოლეჯში დარეგულირებულია განმეორებითი შეფასებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმებიც, რომელთა შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების საკითხი დადასტურებულ იქნა პროფესიულ სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას.
კოლეჯის მიერ წარმოდგენილია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის შევსებული ფორმები, რიგ შემთხვევებში გაცემულია რეკომენდაციები.
შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაციისა და შეფასების ადმინისტრირების პროცესები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და დაცულია სამართლიანობის პრინციპები, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ნაწილში, რაც დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსერტთა ჯგუფის ინტერვიურების გზით, მათ შორის კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთათვის შეფასების შედეგების გაცნობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N04-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმებს. შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია ვერიფიკაციის მიზნები, ვერიფიკაციის პროცესის ადმინისტრირების საკითხები, მათ შორის ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები, ვერიფიკაციის პროცესიში რისკ ფაქტორების განსაზღვრის წესი, ვერიფიკაციის დასკვნების შედგენისა და განხილვის მიდგომები, რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმის შედგენისა და ამ გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

3. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესის** VIII თავი განსაზღვრავს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების/მონაცემების/ინფორმაციის სათანადო აღრიცხვის, შევსებისა და შენახვის წესებს.

   შევსებული შეფასების ინსტრუმენტები ინახება კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან ან/და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში. შეფასების უწყისი ინახება უვადოდ.

   პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგები ფორმდება შესაბამისი უწყისით. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს/ინფორმაციას/მტკიცებულებებს გადასცემს კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერს ან პროგრამის ხელმძღვანელს სათანადო აღრიცხვის მიზნით. საბოლოოდ კი პროგრამის ხელმძღვანელი მონაცემებს გადასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომელიც მტკიცებულებებს აღრიცხავს ელექტრონული ან მატერიალური ჟურნალის საშუალებით.

   მტკიცებულებების აღრიცხვის ჟურნალს ავსებს სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, პროფესიული სტუდენტების სახელი და გვარი, ჯგუფის ნომერი, პროგრამის დაწყებისა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასრულების თარიღი, პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა, მტკიცებულებების შენახვის ადგილი. მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევთ იქნა გადამოწმებული.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

4. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესის** VIII თავი განსაზღვრავს შეფასების შედეგების გათვალისინებას პროფესიული სტუდენტების სწავლის პროცესის გაუმჯობესებისათვის.

პროფესიულ სტუდენტს სხვადასხვა გზით აქვს კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის მენეჯერისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, დამატებითი საათების განმავლობაში, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით.

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია დირექტორის მიერ საკვალიფიკაციო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის შედეგად ხდება პროფესიული სტუდენტისათვის რეკომენდაციების გაცემა, პროგრამის განვითარება, მოდულების რიგითობის განსაზღვრა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი, საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

აღნიშნული მექანიზმების ეფექტიანობა დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და კურსდამთავრებულებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესი;
- კოლეჯის მიერ დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტების ფორმა;
- შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის შევსებული ფორმები;
- პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოები;
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N04-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები";
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მისი დანართები;
- ვერიფიკაციის ანგარიში;
- პროფესიულ სტუენტებთან, პერსონალთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

*XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ*

3.მებაღეობა

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | „მებაღეობა“ |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | საშუალო(მე-4 დონე) |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში / Secondary Vocational Qualification in Horticulture |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0812 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | პროგრამის დამტკიცება:15/02/2019 N 04-13/ ბოლო ცვლილება:09/03/2023 04-51 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | მცხეთა-მთიანეთი, მცხეთა, სოფ. წინამძღვრიანთკარი; ფ/პ ნიკოლოზ სინაძე;<br>• „თბილისის ბოტანიკური ბაღი“ |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | დუალური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 9 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 85 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 115 |

## XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

მებაღეობა

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | | სრულ შესაბამისობაში |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | სრულ შესაბამისობაში |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | | სრულ შესაბამისობაში |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | | სრულ შესაბამისობაში |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

3. მებაღეობა

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-111 ბრძანებით დამტკიცებული „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)" არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევისა და დაგეგმვის საკითხებს, რის მიხედვითაც პროგრამის დამატების მიზნით, კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი და/ან რეესტრის წარმოების სპეციალისტი იძიებენ შემდეგი სახის ინფორმაციას: კურსდამთავრებულთა ბაზის ანალიზს - ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სურვილისა და დასაქმების შესახებ და/ან სტატისტიკურ მონაცემებს დასაქმების მაჩვენებლების მიხედვითა და მზარდი ტენდენციების გათვალისწინებით და/ან შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებს, დასაქმებულთა კონკრეტულ მოთხოვნებს და ინიცირებით მიმართავენ კოლეჯის დირექტორს პროგრამების დამატების შესახებ, რის შემდგომ კოლეჯის დირექტორი ინიციატივას განიხილავს აღნიშნული სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 30 სამუშაო დღეში და თანხმობის შემთხვევაში, გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ჯგუფის შექმნის შესახებ. ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრება შემდეგნაირად: ჯგუფის ხელმძღვანელი, პროგრამ(ებ)ის ხელმძღვანელ(ებ)ი, ჯგუფის შემადგენლობა და სამუშაო ვადები; პროგრამების შემუშავების ჯგუფის ხელმძღვანელი არის სასწავლო პროცესის მენეჯერი. მისი ხელმძღვანელობით შემუშავდება პროგრამა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. პროგრამების შემუშავების ჯგუფში შესაძლოა შედიოდნენ: პროგრამის ინიციატორი,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის დირექტორი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროფესიული განათლების მასწავლებლები/პრაქტიკის ინსტრუქტორი (არსებობის შემთხვევაში), სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, დამსაქმებლები, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები (პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციები), ბიბლიოთეკარი, ბუღალტერი, შესყიდვების სამსახურის თანამშრომელი, მატრიალური რესურსის უზრუნველყოფის მენეჯერი, კურსდამთავრებულები, პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლები, დარგის ექსპერტები და სხვა. სამუშაოს დაწყებამდე ხარისხის მართვის მენეჯერი ჯგუფს აცნობს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებისას დაწესებულება განიხილავს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა:

- კოლეჯის მისიასთან თავსებადობა. სასწავლებელს დაარსებიდან, 1883 წლიდან დღემდე აგრარული მიმართულებით სწავლების პროფილი არ შეუცვლია და მიუხედავად იმისა, რომ დღეს კოლეჯი მრავალპროფილიანია, დღემდე პრიორიტეტულია სოფლის მეურნეობის მიმართულების პროგრამების განხორციელება. შესაბამისად, მებაღეობის პროგრამა მიესადაგება კოლეჯის მისიას - მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები, როგორც ადგილობრივი, ისე ქვეყნის მასშტაბით შრომის ბაზრისთვის;
- საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზის შედეგებს და სოფლის მეურნეობის სექტორში ეკონომიკური ზრდის პოტენციალს;
- მცხეთა-მთიანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიას 2016-2021 წლებისთვის;
- ვაკანსიების მონიტორინგს რეგიონულ შრომის ბაზრებზე,“ 2019 წ.;
- კოლეჯის ძირითად სასწავლო ფართში 2020 წლის 16 ივლისს გამართულ ღია კარის დღეზე ჩატარებულ გამოითხვას, სადაც გამოიკვეთა რომ წინამძღვრიანთკარის ძირითად სასწავლო კორპუსში მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა დაინტერესებულია მებაღეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლით;
- პროფორიენტაციული ხასიათის შეხვედრების ჩატარებისას მცხეთის და სტეფანწმინდისა და თიანეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში გამოკვეთილ მოთხოვნას მებაღეობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მიზნით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრის გაფართოების მიზნით, მცხეთის, სტეფანწმინდისა და თიანეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, პროფესიული განათლების მიღებით დაინტერესებული პირების გამოკითხვის შედეგებს.

კოლეჯის მიერ მოცემული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება არ ეწინააღმდეგება კოლეჯის მისიას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

2. მცხეთის რაიონი სოფ. წინამძღვრიანთკარში (ძირითადი სასწავლო კორპუსი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით.

პროგრამის განხორციელებისას პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება.

პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები შესაბამისობაშია პროგრამის შემუშავების საფუძველი ჩარჩო დოკუმენტით - მებაღეობა/Horticulture, სარეგისტრაციო ნომერი 08111, განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 12 ივლისის N04-69 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესი" შემუშავებულია ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად. ამ წესში ცვლილებები განხორციელებულია 2022 წლის 10 ივნისის №04-93 ბრძანებით დაწესებულებაში საშუალო და ინტეგრირებულ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეამოწმა პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის დოკუმენტები, კერძოდ:

- კოლეჯის დირექტორის 2020 წლი 8 ოქტომბრის №52/კ ბრძანება „2021 წელს ჩატარებული შესარჩევი კონკურსის ფარგლებში სსიპ - „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტების ჩარიცხვის შესახებ".



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 2021 წლის მიღებისთვის, პროფესიული ტესტირებისა და შესარჩევი კონკურსის გზით სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით, აპლიკანტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განმხილველი კომისიის სხდომის 2021 წლის 8 ოქტომბრის N1 ოქმი.

- 2021 წლის მიღებისთვის, პროფესიული ტესტირებისა და შესარჩევი კონკურსის გზით სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით, აპლიკანტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განმხილველი კომისიის სხდომის 2021 წლის 8 ოქტომბრის №1 საოქმო გადაწყვეტილების დანართი N1 - აპლიკანტთა ნუსხა, რომლებმაც განცხადებით დააფიქსირეს სწავლის გაგრძელების სურვილი და წარმოადგინეს პროფესიულ საგანმანათლებმო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის საჭირო დოკუმენტაცია.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

3. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის N04-03 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი'', რის მიხედვითაც პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულება აფასებს შემდეგ ფაქტორებს: A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; B სასწავლო გარემოში (კომპიუტერულ კლასში) პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის ობიექტზე ყოფნის პერიოდი; პროფესიული პროგრამების პრაქტიკის ხანგრძლივობა; ორ ცვლაში სწავლების შესაძლებლობა; კომბინირებული გარემოს არსებობის შესაძლებლობა, მაგალითად A და B გარემო ან A და C ერთ სივრცეში; სტუდენტთა ჯგუფების რაოდენობა (ერთი ან რამდენიმე პროგრამის ფარგლებში), რომელიც სარგებლობს აღნიშნული სასაწავლო გარემოთი; პროგრამის სასწავლო გეგმის თავისებურებანი; პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელების შესაძლებლობა; სასწავლო გარემოთა მაქსიმალური დატვირთვის ანალიზი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვის ანალიზი და დასაბუთება, რის მიხედვითაც:

- A სასწავლო გარემოში არის სამუშაო ადგილი 15 პროფესიული სტუდენტისათვის. გარდა ამისა, უცხოური ენის მოდულისთვის გამოიყენება უცხოური ენის კაბინეტი, სადაც ასევე არის სამუშაო ადგილი 15 პროფესიული სტუდენტისათვის;
- B სასწავლო გარემოში არის სამუშაო ადგილი 30 პროფესიული სტუდენტისათვის (ორი აუდიტორია, (ოთახი N213 და N210, თითოეულში 15 ადგილი);
- C პროგრამის ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები სამ ობიექტთან/სასწავლო საწარმო, რომელთაგანაც თითოეული უზრუნველყოფს 3 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ სწავლებას დუალური მიდგომით.
- პროგრამის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია 22 პროფესიულ მასწავლებელთან.

დასახელებული ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯს შეუძლია 15 პროფესიული სტუდენტის მიღება მებაღეობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. შესაბამისად, პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად შესაძლებელია, განისაზღვროს 15 სტუდენტი.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

4. კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული აღჭურვილობა და სასწავლო რესურსები ემთხვევა მებაღეობის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს. პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

5. **მებაღეობის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.**

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **მებაღეობა** დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 15 თებერვლის N04-13, ხოლო ცვლილებები განხორციელებულია შემდეგი ბრძანებებით: 04-16 (21.02.2019), N04-25 (11.03.2019), N04-34 (27.03.2019), N04-87 (03.09.2019), N04-136 (29.11.2019), N04-19 (05.02.2020), N 04-33 (09/03/2020), N 04-119 (24/07/2020), N04-178 (22.09.2020), №04-16 (01.03.2021), N04-157 (10.12.2021), N04-160 (15.12.2021), N04-16 (25.01.2022), №04-50 (09.03.2022)

   კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი არის კოლეჯის დირექტორი, რაც განსაზღვრულია კოლეჯის წესდების მე-5 მუხლის შემდეგი პუნქტებით: ვ) კოორდინაციას უწევს პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას შრომის ბაზრის ტენდენციების შესაბამისად; ი) საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – ბრძანებას.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

7. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება **„მებაღეობა“** თანხვედრაშია **მებაღეობა/Horticulture** ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ დასახელებასა და კვალიფიკაციასთან - **საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში/Secondary Vocational Qualification in** Horticulture, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

8. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„მებაღეობა“** ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მინიჭების პირობები, მიდგომები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის.

პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები; სავალდებულო პროფესიული მოდულები; სასწავლო გეგმა, სადაც გაწერილია კოლეჯში და საწავლო საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგები; მატერიალური რესურსისა და პროფესიული განათლების მასწავლებლები; ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში.

ვინაიდან პროფესიული მოდულებისათვის განსაზღვრული არ არის დაშვების წინაპირობები, მოცემული კომპონენტი არ არის დარღვეული; სასწავლო გეგმის მიხედვით პროფესიული სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

პროგრამა ითვალისწინებს მოდულების - ქართული ენა A2 და B1 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N 04-111 ბრძანებით დამტკიცებული ‘‘სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- კოლეჯის მისია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- პრაქტიკის ობიექტებთან/სასწავლო საწარმოსებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 12 ივლისის N04-69 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესი“;
- კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 10 ივნისის №04-93 ბრძანება, „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესში“ ცვლილებების შესახებ;
- კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 8 ოქტომბრის №52/კ ბრძანება „2021 წელს ჩატარებული შესარჩევი კონკურსის ფარგლებში სსიპ - „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტების ჩარიცხვის შესახებ“;
- კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით, აპლიკანტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განმხილველი კომისიის სხდომის 2021 წლის 8 ოქტომბრის N1 ოქმი;
- 2021 წლის მიღებისთვის, პროფესიული ტესტირებისა და შესარჩევი კონკურსის გზით სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით, აპლიკანტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განმხილველი კომისიის სხდომის 2021 წლის 8 ოქტომბრის №1 საოქმო გადაწყვეტილების დანართი N1 - აპლიკანტთა ნუსხა, რომლებმაც განცხადებით დააფიქსირეს სწავლის გაგრძელების სურვილი და წარმოადგინეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის საჭირო დოკუმენტაცია;
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის N04-03 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი’’;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ანალიზი და დასაბუთება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის დანართები;
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 15 თებერვლის N04-13 ბრძანება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- კოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **მებაღეობა** განხორციელებისათვის სსიპ ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი'' არსებობის ვადით, სარგებლობის უფლებით, ფლობს ძირითად სასწავლო ფართს, რომელიც მდებარეობს მცხეთის რაიონში სოფელ წინამძღვრიანთკარში, (ს/კ: 72.04.04.546). განსახილველი პროგრამა ხორციელდება სოფ. წინამძღვრიანთკარში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულების მიერ შერჩეული სასწავლო გარემო შეადგენს:

- **A სასწავლო გარემო** - შერჩეულია №105 აუდიტორია, სადაც განთავსებულია 15 პროფესიული სტუდენტისთვის მაგიდა და სკამი; პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის მაგიდა და სკამი; 1 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის; დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი, 1 ცალი; დაფა 1 ცალი.
- **B სასწავლო გარემო** - შერჩეულია №212 აუდიტორია, სადაც განთავსებულია 15 პროფესიული სტუდენტებისათვის მაგიდა და სკამი; პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის მაგიდა და სკამი; 15 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის; 1 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის; დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი, 1 ცალი; დაფა 1 ცალი; კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები) 1 ცალი;
- კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის მიზნებისათვის მოწყობილი აქვს ოთხი **B სასწავლო გარემო,** თითოეული აუდიტორია გათვლილია 15 პროფესიული სტუდენტისათვის და აღჭურვილია მოცემული სასწავლო გარემოს აღჭურვილობისათვის განსაზღვრული მატერიალური რესურსით.
- პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სამ ობიექტთან/სასწავლო საწარმოსთან, სადაც გატანილია პროგრამის 10 მოდულის პრაქტიკული სწავლის შედეგები:

1. **ი/მ ნიკოლოზ სინაძე,** ხელშეკრულება გაფორმებულია 2022 წლის 14 თებერვალს და ძალაშია პროგრამის ავტორიზაციის ვადის ამოწურვამდე. სასწავლო საწარმო მზადაა მიიღოს ერთდროულად 6 პროფესიული სტუდენტი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3. სსიპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი** ხელშეკრულება ძალაშია პროგრამის ავტორიზაციის ვადის ამოწურვამდე. სასწავლო საწარმო მზადაა მიიღოს ერთდროულად 9 პროფესიული სტუდენტი;

პრაქტიკის ორივე ობიექტი მზადაა ერთდროულად მიიღოს 15 პროფესიული სტუდენტი და გაატაროს სწავლის შედეგების 50 % ან მეტი მის საწარმოში. ხელშეკრულებაში გაწერილია მხარეთა ვალდებულებები, პასუხისმგებლობები, ადგილზე მისაღწევი სწავლის შედეგები და სხვა პირობები.

ორივე ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს მთავრობის 416-ე დადგენილების ამოქმედებამდე, თუმცა, მათში განხორციელებულია ცვლილებები და რიგი სახელშეკრულებო პირობები ახლავს დანართების სახით, მიუხედავად იმისა, რომ მათ არ აქვთ ამ ეტაპზე ხელშეკრულების გადახედვის ვალდებულება ზემოაღნიშნული რეგულაციის გარდამავალი დებულების მიხედვით, **დაწესებულებას მაინც მიეცა ყველა დუალური პროგრამის ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების გაუმჯობესების მიზნით საერთო განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ ყველა ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია 2022 წლის 9 აგვისტოს შემდეგ, ან განიცადა ცვლილებები, სასურველია გადაიხედოს და მასში და მის დანართებში გაწერილი პირობები შევიდეს ხელშეკრულებაში პუნქტების სახით.**

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია სასწავლო საწარმოს მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **მებაღეობა** განხორციელებაში სულ ჩართულია 22 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 13 არის ზოგადი მოდულების განმახორციელებელი, 9 ახორციელებს პროფესიულ მოდულებს.

   კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის ცხრილი, რომელიც მოიცავს მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათებით დატვირთვას. პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **მებაღეობა** განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს გავლილი აქვს ტრენინგები სწავლებასა და შეფასებაში.

   პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული მიმართულებით, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

4. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 მარტის №04-47 ბრძანებით დანიშნულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის N04-65 ბრძანებით დამტკიცებულია „**სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობები**“, რომელიც ასევე განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებს. პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროგრამის ადეკვატურ განხორციელებაზე, განსაზღვრავს პრაქტიკისა და თეორიის კომპონენტებს, ზრუნავს პროგრამის შინაარსა და მის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსის განვითარებაზე, ჩართულია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში, სასწავლო პროცესის მენეჯერთან ერთად ჩართულია შეფასების მტკიცებულებების შეგროვების პროცესში, პროგრამის განხორციელებისას ახორციელებს კომუნიკაციას პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიულ მასწავლებელთან, ყოველკვირეულად პროფესიული მასწავლებისგან მიწოდებული ინფორმაციების საფუძველზე განიხილავს სტუდენტთა დასწრების ჟურნალსა და პროფესიული სტუდენტის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერს შესაბამისი ღნისძიების გატარების მოთხოვნით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის წესში, რომელიც დამტკიცებულის დირექტორის ბრძანებით N04-75 (28.05.2020) აღნიშნულია, რომ პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის ხელმძღვანლად პირი ინიშნება 1 (ერთი) წლის ვადით. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შესაძლოა დანიშნულ იქნას ზედიზედ ორჯერ, წარმატებით განხორციელებული საქმიანობის გამო.

მებაღეობის პროგრამას ჰყავს დარგობრივი მიმართულებით შესაბამისი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების მქონე სპეციალისტი. პროგრამის ხელმძღვანელი არის ახლადდანიშნული, რომელთანაც შედგა გასაუბრება და გამოიკვეთა, რომ იცნობს პროგრამას და სრულად ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესის, შეფასების სისტემის, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესახებ. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმის გადამოწმებით დადგინდა, რომ მას აქვს პროფესიული განათლება მებაღეობის მიმართულებით და მებაღეობის სფეროში მუშაობის დიდი პრაქტიკული გამოცდილება.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში - **მებაღეობა** მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით დასტურდება ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებითა და შერჩევითი პრინციპით რამდენიმე რესურსის გადამოწმების შედეგით. ამასთან, პროგრამის მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი ელექტრონული სახით პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ელ.ფოსტაზე გაგზავნის გზით. ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.

   ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე გადამოწმებულ იქნა პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო რესურსების სარგებლობის ფაქტი, წიგნადი ფონდის მოძრაობის სტატისტიკა. განხორციელდა ინტერვიურება პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

6. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-14 მუხლით კოლეჯი ახორციელებს ინკუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმოს შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას;

   შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილად ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს კვალიფიციური პროფესიული მასწავლებელის და ინკუზიური განათლების სპეციალისტის მეშვეობით;

   შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტებისთვის კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლებლის ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების გზით.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.2.1.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - მებაღეობა განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. ბიუჯეტის შემოსავლები დაანგარიშებულია ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით, თუმცა ხარჯის ჯამური ოდენობა არ აღემატება კოლეჯის მიერ განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარის მიხედვით დაგეგმილ შემოსავლებს.

   შემოსავალს შეადგენს ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება, ხოლო ხარჯვითი ნაწილი კლასიფიცირებულია შემდეგნაირად: მასწავლებელთა ხელფასი, ძირითადი საშუალების ცვეთა, დიპლომების ბეჭდვა, რეკლამის ხარჯი, სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები, სხვა ხარჯი (ადმინისტრაციული, კომუნალური და სხვა).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამაზე რენტაბელობის ზღვარი არის 3 პროფესიული სტუდენტი, ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 9-ს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.7 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობის აზომვითი ნახაზები;
- მატერიალური რესურსისა და ინვენტარის ფლობის დოკუმენტები;
- პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა;
- პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის დასაბუთება;
- კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 მარტის №04-47 ბრძანებით დანიშნულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის N04-65 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობები“,
- კოლეჯის „სასწავლო პროცესის მართვის წესი“, რომელშიც ცვლილებები განხორციელებულია კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 17 ივნისის №04-119 ბრძანებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **მებაღეობა;**
- პრაქტიკის ობიექტებთან/სასწავლო საწარმოებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის წესი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ბრძანება პროგრამის ხელმძღვნელის დანიშვნის შესახებ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეები;
- პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი და ბიუჯეტის შესრულების ანალიზის დოკუმენტები;
- პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

3. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
4. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის №04-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები" ითვალისწინებს პროგრამის შეფასების მიდგომებს, შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზის მიზნებისათვის დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მიღების მეთოდებს, სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგებს, კოლეჯის შიდა საზოგადოების - პროფესიული სტუდენტების, პროფესიული საგანათლების მასწავლებლების, პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების მიერ პროგრამის ეფექტიანობის შეფასების ანალიზსა და სხვა. კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის მართვის სპეციალისტი.

   კოლეჯში შემუშავებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის კითხვარები. სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და სხვა.

   დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კმაყოფილების კვლევის შედეგებისა და ანალიზის დოკუმენტები, მათ შორის:

   - შეფასებისა და საკონტაქტო საათებზე დასწრების შუალედური ანგარიში;
   - სსსმ პირთა გამოკითხვის ანგარიში კოლეჯში მიღებული სერვისებით კმაყოფილების თაობაზე;
   - საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის ადეკვატურობის გამოკითხვის ანგარიში;
   - დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
   - პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ პროგრამის შეფასების ანგარიში;
   - პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
   - კურსდამთავრებულთა კმაყოფილებისა და დასაქმების კვლევის ანგარიში;
   - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციისა და ჩარიცხვის რაოდენობრივი მაჩვენებლები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების ანალიზს და იძლევა რეკომენდაციებს პროცესების გაუმჯობესების მიზნით.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-111 ბრძანებით დამტკიცებული „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)" დოკუმენტის მე-5 მუხლი არეგულირებს **პროგრამაში ცვლილებების შეტანა და განვითარების** საკითხებს, მათ შორის განსაზღვრულია - პროგრამაში ცვლილების ინიცირების უფლების მქონე პირები: ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროგრამის განმახორციელებელი ნებისმიერი პირი, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაცია, პროგრამის ხელმძღვანელი; პროგრამაში ცვლილების შეტანის ინიცირების პროცედურა; პროგრამაში ცვლილებების განხორციელების მიდგომები, მათ შორის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირების საკითხები; პროგრამის ხელმძღვანელის პროგრამის განვითარების პროცესში; პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის გამოსცემის საკითხები;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესის ეტაპებია:

ა) ინფორმაციის შეგროვება - პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით: დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა, პროგრამის შეფასება პროფესიულ სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება, დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა.

ბ) ინფორმაციის დამუშვება - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვის შედეგებისა და შეფასების შედეგების ანალიზი;

გ) გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრა - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების და სხვა პირები აანალიზებენ საგანმანათლებლო პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელ მხარეებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დ) რეკომენდაციების მომზადება და ცვლილებები - პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა;
ე) ცვლილებების განხორციელება - აღნიშნული რეკომენდაციების დანერგვა აქტებით განსაზღვრული მხარეების ჩართულობითა და პროცედურებით.
ზემოაღნიშნულის დასტურად დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის ბრძანებები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელების თაობაზე: 04-16 (21.02.2019), N04-25 (11.03.2019), N04-34 (27.03.2019), N04-87 (03.09.2019), N04-136 (29.11.2019), N04-19 (05.02.2020), N04-33 (09/03/2020), N04-119 (24.07.2020), N04-178 (22.09.2020), №04-16 (01.03.2021), N04-157 (10.12.2021), N04-160 (15.12.2021), N04-16 (25.01.2022), 04-50 (09.03.2022).
კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა მიზნობრივი კითხვების დასმის გზით განახორციელა ინტერვიურება კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, კურსდამთავრებულებთან, რომლებმაც დაადასტურეს მათ მიერ კმაყოფილების კითხვარების შევსების, მეცადინეობებზე კოლეჯის წარმომადგენელთა დასწრების ფაქტები. ინტერვიურებისას არც ერთ პირს არ გამოუთქვამს უკმაყოფილება კოლეჯის მიერ მათი მოთხოვნისა და საჭიროების უგულებელყოფის თაობაზე.
**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის №04-26 ბრძანებით დამკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და საკონტაქტო საათებზე დასწრების შუალედური ანგარიში;
- სსსმ პირთა გამოკითხვის ანგარიში კოლეჯში მიღებული სერვისებით კმაყოფილების თაობაზე;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის ადეკვატურობის გამოკითხვის ანგარიში;
- დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ პროგრამის შეფასების ანგარიში;
- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- კურსდამთავრებულთა კმაყოფილებისა და დასაქმების კვლევის ანგარიში;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციისა და ჩარიცხვის რაოდენობრივი მაჩვენებლები.
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-111 ბრძანებით დამტკიცებული „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მისი დანართები;
- პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **მებაღეობა** განხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები იმგვარადაა აწყობილი, რომ ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო გეგმაში ცალკე გამოყოფილია სწავლის შედეგები, რომლებიც განხორციელდება სასწავლო საწარმოში. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე მოცემულია ცხრილი სწავლის შედეგების სეზონურობასთან კავშირის შესახებ.

სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია პროგრამის ხელმძღვანელი და სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენს მეცადინეობის განრიგებს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას.

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის სპეციალისტი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯრი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი ახორციელებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს.

სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კოლეჯში და ელ.ფოსტაზე მიწოდების გზით. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას კოლეჯის პერსონალმა განაცხადა, რომ დისტანციური სწავლების პირობებში კოლეჯმა სწრაფად და მარტივად განახორციელა რეაგირება.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, დაისვა კითხვები მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი მოდულების შესახებ, ასევე გამოიკითხა პროფესიული სტუდენტები გავლილი მოდულების შესახებ. პროფესიული სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **მებაღეობა** სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**

2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი** განსაზღვრავს სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ადმინისტრირებისა და ამ პროცესში პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებს.

პროფესიულ სტუდენტებთან სასწავლო პროცესის დაწყებამდე ხორციელდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, რა დროსაც მათ მიეწოდებათ ყველა ინფორმაცია პროგრამის, მათი უფლებებისა და ვალდებულებების, შესაძლებლობების, პროგრამის განხორციელების თავისებურებებისა და სხვათა შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების, კვალიფიკაციის, კრედიტის, ხანგრძლივობის ცვლილების შემთხვევაში კოლეჯი მოიპოვებს შესაბამისი პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა თანხმობას. დისტანციურ რეჟიმში სწავლების კომპონენტები გამოიყენება ფორსმაჟორული ვითარების დროს, პროფესიულ სტუდენტთა ავადობის ან დროებითი/ხანგრძლივი შეზღუდული შესაძლებლობების დროს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა დროებითი შრომისუუნარობის დროს, რაც გამორიცხავს კოლეჯის ტერიტორიაზე მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის ერთდროულად ყოფნას.

სსსმ პროფესიული სტუდენტების საწარმო პრაქტიკაზე განაწილება ხორციელდება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის აქტიური ჩართულობით კანონიერ წარმომადგენელთან ერთად. ამავე დოკუმენტით დარეგულირებულია პროფესიულ სტუდენტთა გაცდენების საკითხები, მათ შორის განსაზღვრულია გაცდენის საპატიო მიზეზები და მათი მოპოვების გზები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯში დარეგულირებულია შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, ამ მიზნებისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, რომელთაც დაადასტურეს დაწესებულების მაქსიმალური მხარდაჭერა მათი საჭიროების შესაბამისად, ასევე აღნიშნეს, რომ თუ რაიმე საჭიროება დგება კოლეჯი მყისიერად რეაგირებს და ხელს უწყობს მათ სასწავლო პროცესში.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **მებაღეობა** ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამისათვის პროგრამის მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, არსებობს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვნელს აქვთ შესაბამისი კომპეტენცია სასწავლო პროცესში გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიები.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **მებაღეობა** სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე კოლეჯში შემუშავებულია მექანიზმი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის აუცილებლობა წარმოიშობა შემდეგი გარემოებების არსებობისას: სსსმ პირი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მობილობით გადმოსულია პირი; პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეჩერებული ჰქონდა და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას; უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ორჯერ;

დაწესებულებამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და პროფესიული სტუდენტების/მათი წარმომადგენლების მიერ გაცნობის ფაქტების დამადასტურებელი დოკუმენტები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ინტერვიურებისას პროფესიულ სტუდენტებმა დაადასტურეს კოლეჯის მიერ მათი საჭიროებების გათვალისწინებისა და დაკმაყოფილების ფაქტები.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **მებაღეობა** პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულია პრაქტიკის ობიექტები:

- **ი/მ ნიკოლოზ სინაძე.** ხელშეკრულება ძალაშია პროგრამის ავტორიზაციის ვადის ამოწურვამდე. პრაქტიკის ობიექტი მზადაა ერთდროულად მიიღოს 6 პროფესიული სტუდენტი და გაატაროს სწავლის შედეგების 50 % ან მეტი მის საწარმოში.
- **სსიპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი** ხელშეკრულება ძალაშია პროგრამის ავტორიზაციის ვადის ამოწურვამდე. პრაქტიკის ობიექტი მზადაა ერთდროულად მიიღოს 9 პროფესიული სტუდენტი და გაატაროს სწავლის შედეგების 50 % ან მეტი მის საწარმოში.

პრაქტიკის ობიექტზე დაგეგმილია 10 პროფესიული მოდულის (დეკორატიულ მცენარეთა მავნე ორგანიზმების იდენტიფიცირება, ნიადაგი და მისი მომზადება, ბაღის მოვლა, დეკორატიულ მცენარეთა გამრავლება, მცენარეთა სხვლა-ფორმირება, მცენარეთა დაცვა, გაზონის მოწყობა და მოვლა, ბაღის საინჟინრო ელემენტების მოწყობა, ბაღის მხატვრული ელემენტების მოწყობა, პრაქტიკული პროექტი მებაღეობაში - კონკრეტული ტერიტორიისთვის პროექტის მიხედვით ბაღის მოწყობა) პრაქტიკული სწავლის შედეგების განხორციელება.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენელსა და პროფესიულ სტუდენტებს. პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ამ თანამშრომლობის მნიშვნელობაზე და მზად არის უზრუნველყოს სწავლის შედეგების მაღალ დონეზე მიღწევა მის ობიექტზე. ექსპერთა ჯგუფმა მოინახულო პრაქტიკის ერთი ობიექტი, სადაც შემოწმდა გარემო და აღჭურვილობის არსებობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **მებაღეობა** არ მოითხოვს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმებს, თუმცა პროგრამის ფარგლებში დაწესებულების მიერ შემუშავებულია დარგობრივი ინსტრუქციები.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **მებაღეობა** და მისი დანართები;
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესი;
- კოლეჯსა და პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- პროფესიული სტუდენტებისათვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმი და მათი გაცნობის მტკიცებულებები;
- კოლეჯსა და პარტნიორ საწარმოებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პროფესიულ სტუდენტებთან, კოლეჯის პერსონალთან, კურსდამთავრებულებებთა და პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენელთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესის** VIII თავი განსაზღვრავს შეფასების სისტემას, შეფასების ინსტრუმენტებსა და შეფასების უწყისის წარმოების მექანიზმებს. შიდა მარეგულირებელი აქტი ადგენს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური შეფასების სისტემის არსებობის სავალდებულოობას.

შეფასების ინსტრუმენტებს ადგენს პროფესიული მასწავლებელი. კოლეჯის მიერ დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტების ფორმა და განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტების წარმოდგენის ვადები.

პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენის შემდეგ, სასწავლო პროცესის მენეჯერი ვალიდაციის პროცესში რთავს პროგრამის ხელმძღვანელს ან სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს, რომლებიც ახორციელებენ შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას. სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური და პროგრამის ხელმძღვანელი - შინაარსობრივი მხარის შემოწმებას. ხარვეზების შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტი უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს რეკომენდაციებით/შენიშვნებით/მითითებებით, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარადგინოს შესწორებული სახით. შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტი გამოიყენება პროფესიულ სტუდენტის შეფასების მიზნებისათვის. დაუშვებელია შეფასების დროს ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, რომელიც არ არის შეთანხმებული კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში დარეგულირებულია განმეორებითი შეფასებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმებიც, რომელთა შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების საკითხი დადასტურებულ იქნა პროფესიულ სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის შევსებული ფორმები, რიგ შემთხვევებში გაცემული რეკომენდაციები.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო მებაღეობის პროგრამის კურსდამთავრებულის პორტფოლიოს, რომელშიც წარმოდგენილი იყო შესაბამისი მტკიცებულებები. თეორიული სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებულია წერილობითი ტესტები, შედგენილი ძირითადად ღია კითხვების გამოყენებით. პრაქტიკული სწავლის შედეგების შესაფასებლად მებაღეობის პროგრამის ფარგლებში კოლეჯი იყენებს დღიურის ფორმას, რომელიც ივსება საწარმოში ინსტრუქტორების მიერ და მასშივეა ასახული შეფასების შედეგები. პორტფოლიოს თან ახლავს CD-დისკებზე ჩაწერილი პრაქტიკული კომპონენტის შეფასების ამსახველი მასალა.

შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაციისა და შეფასების ადმინისტრირების პროცესები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და დაცულია სამართლიანობის პრინციპები, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ნაწილში, რაც დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსერტთა ჯგუფის ინტერვიურების გზით, მათ შორის კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთათვის შეფასების შედეგების გაცნობა.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N04-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები" ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმებს. შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია ვერიფიკაციის მიზნები, ვერიფიკაციის პროცესის ადმინისტრირების საკითხები, მათ შორის ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები, ვერიფიკაციის პროცესში რისკ ფაქტორების განსაზღვრის წესი, ვერიფიკაციის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასკვნების შედგენისა და განხილვის მიდგომები, რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმის შედგენისა და ამ გეგმით გათვალისწინებული აქტიოებების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნით, კოლეჯმა წარმოადგინა აქვს 2021 წლის გეგმა, რის მიხედვითაც **მებაღეობის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეფასების სისტემის ვერიფიკაცია განხორციელდა 2021 წლის ივლისის თვეში, რის თაობაზეც შემუშავებულია ვერიფიკაციის დასკვნის ანგარიში 20.12.2021. დოკუმენტის მიხედვით, იდენტიფიცირებულია გასაუმჯობესებელი საკითხები შეფასების სისტემის სამივე კომპონენტის ფარგლებში, მათ შორის: შეფასების ინსტრუმენტი, შეფასების პროცესი და შეფასების მტკიცებულებები. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების აქტივობათა გეგმა. გეგმა გაწერილია მიმდინარე წლის ბოლომდე და ასევე მოიცავს აქტივობებს პერსონალის გადამზადებისა და ინსტრუქტაჟების თაობაზე.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

3. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესის** VIII თავი განსაზღვრავს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების/მონაცემების/ინფორმაციის სათანადო აღრიცხვის, შევსებისა და შენახვის წესებს.

შევსებული შეფასების ინსტრუმენტები ინახება კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან ან/და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში. შეფასების უწყისი ინახება უვადოდ.

პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგები ფორმდება შესაბამისი უწყისით. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს/ინფორმაციას/მტკიცებულებებს გადასცემს კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერს ან პროგრამის ხელმძღვანელს სათანადო აღრიცხვის მიზნით. საბოლოოდ კი პროგრამის ხელმძღვანელი მონაცემებს გადასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომელიც მტკიცებულებებს აღრიცხავს ელექტრონული ან მატერიალური ჟურნალის საშუალებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მტკიცებულებების აღრიცხვის ჟურნალს ავსებს სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, პროფესიული სტუდენტების სახელი და გვარი, ჯგუფის ნომერი, პროგრამის დაწყებისა და დასრულების თარიღი, პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა, მტკიცებულებების შენახვის ადგილი. მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით იქნა გადამოწმებული.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

4. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესის** VIII თავი განსაზღვრავს შეფასების შედეგების გათვალისინებას პროფესიული სტუდენტების სწავლის პროცესის გაუმჯობესებისათვის.

პროფესიულ სტუდენტს სხვადასხვა გზით აქვს კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის მენეჯერისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, დამატებითი საათების განმავლობაში, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით.

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია დირექტორის მიერ საკვალიფიკაციო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის შედეგად ხდება პროფესიული სტუდენტისათვის რეკომენდაციების გაცემა, პროგრამის განვითარება, მოდულების რიგითობის განსაზღვრა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი, საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

აღნიშნული მექანიზმების ეფექტიანობა დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და კურსდამთავრებულებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესი;
- კოლეჯის მიერ დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტების ფორმა;
- შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის შევსებული ფორმები;
- პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოები;
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N04-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები";
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მისი დანართები;
- პროფესიულ სტუენტებთან, პერსონალთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

## *XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ*

### ***4.მევენახეობა და მეღვინეობა***

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | „მევენახეობა და მეღვინეობა“ |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | უმაღლესი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მევენახეობა და მეღვინეობაში / Higher Vocational Qualification in Viticulture and Winemaking |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0721 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | დამტკიცების თარიღი:07/09/2016 N 04-46/ბოლო ცვლილება 09/03/2023 N 04-52 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | • მცხეთა-მთიანეთი; მცხეთა; სოფ. წინამძღვრიანთკარი;<br>• შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“<br>• შპს - საგურამო ესთეითი<br>• ფიზიკური პირი რევაზ სანიკიძე<br>• შპს „39 ქვევრი“<br>• მარანი „სევსამორა“<br>• სს „კორპორაცია ქინძმარაული“ |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | დუალური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 30 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | - |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 85 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 115 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

*4.მევენახეობა და მეღვინეობა*

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | | სრულ შესაბამისობაში |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | სრულ შესაბამისობაში |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | | სრულ შესაბამისობაში |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | | სრულ შესაბამისობაში |

### სტანდარტის შეფასება

**პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 4.მევენახეობა და მეღვინეობა

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. 2016 წლის 7 სექტემბრის # 04-46 ბრძანების - „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, კატალოგის და სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“ - დაწესებულებას ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი და დამტკიცებული აქვს „მევენახეობა-მეღვინეობის“ მეხუთე საფეხურის პროგრამა.

დაწესებულებას აქვს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, რომელშიც საუბარია ფაქტორებზე, რომლებმაც გავლენა მოახდინა დაწესებულებაზე შეემუშავებინათ აღნიშნული პროგრამა. ფაქტორებს შორის საგულისხმოა შემდეგი:

კოლეჯი მრავალპროფილურია, რაც საშუალებას იძლევა შეიქმნას „მევენახეობა-მეღვინეობის“ პროგრამა, რაც კოლეჯის მისიასთან თავსებადია. შესაბამისად პროგრამა მიესადაგება დაწესებულების მისიას, მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები, როგორც ადგილობრივი, ისე ქვეყნის მასშტაბით შრომის ბაზრისთვის; საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზის მიხედვით (მცხეთა-მთიანეთის ტერიტორიაზე) სოფლის მეურნეობის სფეროში კადრების მოთხოვნის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია; მცხეთა-მთიანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიას 2015-2021 წლებისთვის; სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების პროფესიათა ჩამონათვალი, შრომის ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებში (2021); დაწესებულებაში 2020 წლის 16 ივლისს გამართულ ღია კარის დღეზე ჩატარებული გამოკითხვა, სადაც გამოიკვეთა რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა დაინეტესებულია მევენახეობა და მეღვინეობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლით; 2021-2022 წლების პერიოდში პროფორიენტაციული ხასიათის შეხვედრების ჩატარებისას მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლებში გამოიკვეთა, რომ  მევენახეობა და მეღვინეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოთხოვნადია;

კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრის გაფართოების მიზნით, მცხეთის, სტეფანწმინდისა და თიანეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, პროფესიული განათლების მიღებით დაინტერესებული პირების გამოკითხვის შედეგები, სადაც სამიზნე ჯგუფები 10,11,12-ე კლასის მოსწავლეები იყვნენ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება კოლეჯის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მევენახეობა და მეღვინეობა" დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, დაშვების პროცედურა კი გულისხმობს და უზრუნველყოფს ისეთ პირთა მიღებას, რომელთა ცოდნა და უნარები იძლევა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას, პროგრამის განხორციელების ვადაში. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესით (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-69 12/07/2021; ცვლილება 04-84 31.08.2021;ცვლილება N04-104 30.09.2021). პროგრამაზე ჩასარიცხად განსაზღვრულია ტესტირება და გასაუბრება.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

3. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის დირექტორის N 04-03 11.01.2019 ბრძანებით (დანართი N2 ცვლილება: N04-12 14.02.2019 დანართი N3 ცვლილება: N04-10 20.01.2022) საფუძველზე შემუშავებულია ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობი განსაზღვრის წესი'' დოკუმენტში გაწერილია ზოგადი დებულებები, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განმსაზღვრელი ფაქტორები და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოანგარიშების პირობები. აღნიშნული დოკუმენტის მესამე მუხლის შესაბამისად, პროგრამისათვის, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობად განსაზღვრა 30 სტუდენტი. ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულება ხელმძღვანელობს პროგრამით დადგენილი მოთხოვნებს და პროფესიულ სტუდენტთა და განმახორციელებელ პირთა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანაფარდობას. სასწავლო გარემოს ფართობზე სტუდენტთა ადგილების რაოდენობის მიხედვით, ცვლებში სწავლის შესაძლებლობის პირობებში.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

4. დაწესებულების მიერ პროგრამის განსაზღვრული აღჭურვილობა ემთხვევა ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისი დანართით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩამონათვალს. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი „მევენახეობა და მეღვინეობის პროგრამის მატერიალური რესურსი, სადაც არის ჩამონათვალი დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული A, B და C გარემოების მატერიალური აღჭურვილობისა. მოდულებში სასწავლო რესურსის სახით მითითებულია როგორც სახელმძღვანელოები, ისე ვიდეო რგოლები, თუმცა წინა ვიზიტზე გაცემული იყო რეკომენდაცია სასწავლო პროცესში გამოყენებული იყოს თანამედროვე სამეცნიერო და საგანმანათლებლო ლიტერატურა, მით უმეტეს, რომ კოლეჯის ბიბლიოთეკაში მოიპოვება მსგავსი საგანმანათლებლო რესურსი მატერიალური სახით, რაც გათვალისწინებულია. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**
5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას არჩევითი მოდულები არ გააჩნია.
6. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი არის კოლეჯის დირექტორი, რაც განსაზღვრულია კოლეჯის წესდების მე-5 მუხლის შემდეგი პუნქტებით: ვ) კოორდინაციას უწევს პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას შრომის ბაზრის ტენდენციების შესაბამისად; ი) საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებები განხორციელების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – ბრძანებას. ასევე, N04-111 (2018 13.12.2019) ბრძანებით დამტკიცებული წესის -„სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“ მეორე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად. მაშასადამე,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მევენახეობა და მეღვინეობა“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 07 სექტემბრის N04-46 ბრძანებით, ხოლო ცვლილებები განხორციელებულია შემდეგი ბრძანებებით: N04-56 (08.06.2017), N04-65 (29.08.2017), N04-107 (22.11.2017), N04-15 (27.02 .2018), N04-61 (09.07.2018), N04-62 (11.07.2018), N04-99 (13.11.2018), N04-103 (22.11.2018), N04-06 (16.01.2019), N04 – 18 (27.02.2019), N04-98, (26.09.2019), N04-17 (05.02.2020), N 04-36 (09/03/2020), N02-144 (15.10.2020), N04-238 (18/12/2020), N04-13 (01.03.2021), N04-139 (04/11/2021), N04-158 (10/12/2021), N N04-17 (25.01.2022), N04-53 (09.03.2022), N04-52 (09.03.2023) დანართი N8. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**7.** კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „მევენახეობა და მეღვინეობა“ თანხვედრაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მევენახეობა და მეღვინეობაში / Higher Vocational Qualification in Viticulture and Winemaking, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.7 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

8. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „მევენახეობა და მეღვინეობა“ ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება პროგრამის პროფესიული სტუდენტებისათვის, მიდგომები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის.

პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები; სავალდებულო პროფესიული მოდულები; სასწავლო გეგმა, სადაც გაწერილია კოლეჯში და საწავლო საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგები, მატერიალური რესურსი და პროფესიული განათლების მასწავლებლები, ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მეთოდები მოცემულია შესაბამის მოდულებში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამა ითვალისწინებს მოდულების - ქართული ენა A2 და B1 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სტრატეგიული განვითარების გეგმა (2020-2026) (შეთანხმებული სამეთვალყურეო საბჭოსთან ოქმი N3 29.07.2020 დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-126 30.07.2020 ცვლილება 04-38 09/03/2022)
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-69 12/07/2021 დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესი (ცვლილება 04-84 31.08.2021ცვლილება N04-104 30.09.2021)
- კოლეჯის დირექტორის N 04-03 11.01.2019 ბრძანებით (ცვლილება: N04-12) 14.02.2019დამტკიცებული,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი'';
- "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N04-152 (13.12.2019) დანართი N1ცვლილება 04-122 24.07.2020 ცვლილება 04-131 13.08.2020 ცვლილება 04-190 06.10.2020 ცვლილება 04-34 15. 03.2021 ცვლილება 04-163 17/12/2021ცვლილება N04-44 09.03.2022)
- პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთება;
- პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;
- პროგრამის განხორციელებაში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მევენახეობა და მეღვინეობა“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მევენახეობა და მეღვინეობა“ დამტკიცების აქტი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მევენახეობა და მეღვინეობა“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის წესდება;
- ინტერვიუს შედეგები..

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - მევენახეობა და მეღვინეობა, განხორციელებისათვის სსიპ ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი'' არსებობის ვადით, სარგებლობის უფლებით, ფლობს ძირითად სასწავლო ფართს, რომელიც მდებარეობს მცხეთის რაიონში სოფელ წინამძღვრიანთკარში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულების მიერ შერჩეული სასწავლო გარემო შეადგენს:

- A სასწავლო გარემო - შერჩეულია ერთი აუდიტორია, სადაც განთავსებულია 15 პროფესიული სტუდენტისათვის მაგიდა და სკამი, პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის მაგიდა და სკამი, 1 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი 1 ცალი, დაფა 1 ცალი. აუდიტორიაში თვალსაჩინოებისათვის წარმოდგენილია: ღვინის ბოთლების დასაწყობი თარო, ბოთლების საწრეტი, ქაღალდის ფილტრი და ტუმბო, სხვადასხვა მცირე ზომის მუხის კასრები და ქვევრი, ბოთლებში ღვინის მექანიკური ჩამოსასხმელი, წარმოდგენილია სხვადასხვა სახის პროფესიული ლიტერატურა წიგნების და კატალოგებისა და პოსტერების სახით. ყოველივე ზემოაღნიშნული გამოიყენება სხვადასხვა მოდულის თეორიული სწავლების პროცესში.

- B სასწავლო გარემო - შერჩეულია 2 აუდიტორია, თითოეულში განთავსებულია მაგიდა და სკამი 15 პროფესიული სტუდენტისათვის, მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, 15 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის; 1



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი 1 ცალი, დაფა 1 ცალი, კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები) 1 ცალი.

- C სასწავლო გარემოში - მარანში წარმოდგენილია ფილტრი, ტუმბო, მუხის კასრი, ღვინის ბოთლში ჩამოსასხმელი მოწყობილობა, ბოთლის საწრეტი, საცობის დამრტყმელი, მექანიკური წნეხი, ყურძნის საჭყლეტი, რამდენიმე უჟანგავი მეტალის კასრი და პოლიმერული მასალისაგან დამზადებული სხვადასხვა ზომის ჭურჭელი. პსდ-ს წარმომადგენლის თქმით აქ მიმდინარეობს ღვინის დაყენება. თუმცა, C გარემო სრულად ვერ შეასრულებს სასწავლო გარემოს ფუნქციას, რადგან არ არის საკმარისი ფართი, თუმცა, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ყველა ის სწავლის შედეგი, რომლის მიღწევისათვისაც აუცილებელია სასწავლო პროცესის განხორციელება C გარემოში, ხორციელდება პრაქტიკის ობიექტებზე, ხოლო დაწესებულების ტერიტორიაზე, მის საკუთრებაში არსებული C გარემო (მარანი) გამოიყენება მხოლოდ დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული ვენახებიდან მოკრეფილი ყურძნის გადამუშავებისათვის, სადაც სტუდენტებს სურვილის შემთხვევაში შესაძლებლობა აქვთ პროგრამის განმახორციელებელის ზედამხედველობის ქვეშ თავად წარმართონ მარანში მიმდინარე პროცესები. შესაბამისად მევენახეობა-მეღვინეობის პროგრამისათვის მარანი ასრულებს უფრო დამხმარე შენობა-ნაგებობის ფუნქციას, ვიდრე სასწავლო გარემოსი. პროგრამის განმახორციელებელთან (რომელიც უშუალოდ ჩართულია მარანში მიმდინარე პროცესებში) გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ აღნიშნული შენობა განკუთვნილია სხვა პროგრამისათვის და ამ შენობაში მევენახეობა-მეღვინეობის პროგრამისათვის განკუთვნილი მანქანა-დანადგარები და სხვადასხვა ინვენტარი განთავსებულია დროებით. დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა და ვიზუალური დათვალიერებითაც დადასტურდა, რომ მიმდინარეობს დაწესებულების ტერიტორიაზე არებული ისტორიული მარნის აღდგენითი სამუშაოები, რომელშიც აღდგენის შემდეგ განთავსდება ყველა ის მანქანა-დანადგარი და აღჭურვილობა, რაც საჭიროა C სასწავლო გარემოსათვის. დირექტორმა აღნიშნა, რომ მარნის სრულად აღდგენის შემდეგ იგეგმება მისი ჩართვა სასწავლო პროცესში, როგორც C გარემოსი.

დაწესებულებას აქვს ქიმიის ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის სხვა ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების ზოგიერთი ანალიზის ჩატარებისათვის საჭირო ლაბორატორიული ჭურჭლით, მოწყობილობებითა და ინვენტარით. ლაბორატორიაში გამოკრულია უსაფრთხოებისა და ქცევის წესები და აღჭურვილია უსაფრთხო სამუშაოსათვის საჭირო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინვენტარით (სათვალე, ხალათი, ხელთათმანი და მისთ.). ლაბორატორია მოწყობილია 15 პროფესიულ სტუდენტზე ინდივიდუალური სამუშაო სივრცით. სამუშაო სივრცეში განთავსებულია ელექტრო სასწორი, დისტილატორი, ამწოვი კარადა და სხვა. ანალიზებისათვის საჭირო რეაქტივები და ხსნარები მოთავსებულია შესაბამის კონტეინერებსა და ქილებში, რომლებსაც გაკეთებული აქვს ყველა საჭირო მინიშნება (დასახელება, კონცენტრაცია, მომზადების თარიღი, ვადა და ა.შ.). რეაქტივები განთავსებულია კარადებში რომლებიც იკეტება საკეტით. კარადაზე გამოკრულია ყველა იმ რეაქტივის დასახელება, რომელიც მოთავსებულია მასში. ლაბორატორიაში წარმოდგენილია სხვადასხვა დასახელების სასწავლო ლიტერატურა და პოსტერი.

დუალური მიდგომით სწავლების უზრუნველსაყოფად დაწესებულებასა და საწარმოებს შორის გაფორმებულია ქვემოთ აღწერილი ხელშეკრულებები, რომლებიც ნაწილობრივ მოიცავს საქართველოს მთავრობის 416-ე დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის /პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს: სასწავლო საწარმოსა და დაწესებულების საიდენტიფიკაციო მონაცემებს; პროგრამის სახელწოდებას; სასწავლო საწარმოსა და პროგრამის განხორციელების ადგილის მისამართებს; პროგრამაზე ერთობლივად მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობას; პროფესიული სტუდენტის სწავლის/სამუშაოს შესრულების პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო საწარმოში/დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტის გამოცხადების შესაძლებლობას და მის ჩართულობას აღნიშნულ პროცესებში; სასწავლო საწარმოს ვალდებულებებს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საწარმოში სწავლის/სამუშაოს შესრულების პერიოდში შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველყოფისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის შესახებ; ხელშეკრულების ვადას, რომელიც არ არის პროგრამის ხანგრძლივობაზე ნაკლები და ხელშეკრულების შეწყვეტის წესს; რამდენადაც ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს მთავრობის 416-ე დადგენილების ამოქმედებამდე (სამ საწარმოსთან 14.02.2022-ში და სამ საწარმოსთან 31.03.2022-ში), ამდენად 416-ე დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებთან ნაწილობრივი შესაბამისობა არ წარმოადგენს ხარვეზს, ამავე დადგენილების მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელშეკრულებაში არაა ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პროფესიული სტუდენტისთვის შრომითი ხელშეკრულების მიღმა მატერიალური/ფინანსური დახმარების გაწევის, დაზღვევის პირობების თუ სხვა ზომების შესახებ, ვინაიდან ამგვარი შეთანხმება არ არსებობს საწარმოსა და დაწესებულებას შორის;

ამ ეტაპზე პროგრამაზე ირიცხება 17 აქტიური სტუდენტი, რომლებიც განაწილებულები არიან ოთხ საწარმოში: მარანი „სევსამორა“ - სულ 10 სტუდენტი, სს „კორპორაცია ქინძმარაული“ - სულ 1 სტუდენტი, შპს კახური ტრადიციული მეღვინეობა“ - სულ 2 სტუდენტი, ფიზიკური პირი რევაზ სანიკიძე - სულ 4 სტუდენტი.

პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ საწარმოებთან:

- ფიზიკური პირი რევაზ სანიკიძე - ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების ვადით. საწარმო მიიღებს მაქსიმუმ 5 სტუდენტს. ხელშეკრულებაში წარმოდგენილია პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგები და ამ სწავლის შედეგებისათვის მისაღწევი მატერიალური-ტექნიკური ბაზის აღწერილობა საწარმოში. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამონათვალი წარმოდგენილია ხელშეკრულების დანართ №4-ში. ხელშეკრულების მიხედვით საწარმოში არსებული ყველა მატერიალური რესურსი გამოყენებული იქნება სწავლის შედეგების მიღწევისათვის.
- შპს „საგურამო ესთეითი“ - ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების ვადით. საწარმო მიიღებს მაქსიმუმ 15 სტუდენტს. ხელშეკრულებაში წარმოდგენილია პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგები და ამ სწავლის შედეგებისათვის მისაღწევი მატერიალური-ტექნიკური ბაზის აღწერილობა საწარმოში. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამონათვალი წარმოდგენილია ხელშეკრულების დანართ №4-ში. ხელშეკრულების მიხედვით საწარმოში არსებული ყველა მატერიალური რესურსი გამოყენებული იქნება სწავლის შედეგების მიღწევისათვის.
- შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ - ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების ვადით. საწარმო მიიღებს მაქსიმუმ 15 სტუდენტს. ხელშეკრულებაში წარმოდგენილია პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგები და ამ სწავლის შედეგებისათვის მისაღწევი მატერიალური-ტექნიკური ბაზის აღწერილობა საწარმოში. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩამონათვალი წარმოდგენილია ხელშეკრულების დანართ №4-ში. ხელშეკრულების მიხედვით საწარმოში არსებული ყველა მატერიალური რესურსი გამოყენებული იქნება სწავლის შედეგების მიღწევისათვის.
-შპს „39 ქვევრი“ - ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების ვადით. საწარმო მიიღებს მაქსიმუმ 15 სტუდენტს. ხელშეკრულებაში წარმოდგენილია პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგები და ამ სწავლის შედეგებისათვის მისაღწევი მატერიალური-ტექნიკური ბაზის აღწერილობა საწარმოში. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამონათვალი წარმოდგენილია ხელშეკრულების დანართ №4-ში. ხელშეკრულების მიხედვით საწარმოში არსებული ყველა მატერიალური რესურსი გამოყენებული იქნება სწავლის შედეგების მიღწევისათვის.
-მარანი „სევსამორა“ - ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების ვადით. საწარმო მიიღებს მაქსიმუმ 10 სტუდენტს. ხელშეკრულებაში წარმოდგენილია პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგები და ამ სწავლის შედეგებისათვის მისაღწევი მატერიალური-ტექნიკური ბაზის აღწერილობა საწარმოში. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამონათვალი წარმოდგენილია ხელშეკრულების დანართ №4-ში. ხელშეკრულების მიხედვით საწარმოში არსებული ყველა მატერიალური რესურსი გამოყენებული იქნება სწავლის შედეგების მიღწევისათვის.
-სს „კორპორაცია ქინძმარაული“ - ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების ვადით. საწარმო მიიღებს მაქსიმუმ 15 სტუდენტს. ხელშეკრულებაში წარმოდგენილია პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგები და ამ სწავლის შედეგებისათვის მისაღწევი მატერიალური-ტექნიკური ბაზის აღწერილობა საწარმოში. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამონათვალი წარმოდგენილია ხელშეკრულების დანართ №4-ში. ხელშეკრულების მიხედვით საწარმოში არსებული ყველა მატერიალური რესურსი გამოყენებული იქნება სწავლის შედეგების მიღწევისათვის.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ყავთ პროფესიული სტუდენტები ყვარლის და გურჯაანის მუნიციპალიტეტებიდან და შესაბამისად მათთვის შეირჩა პრაქტიკის ისეთი ოპიექტები, რომლებიც მათ საცხოვრებელთან ახლოს იყო, აღნიშნული პროფესიული სტუდენტები განაწილებულები არიან სს „კორპორაცია ქინძმარაულში“ და შპს „კახურ ტრადიციულ მეღვინეობაში“.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში ვიზიტის დროს მოხდა გასაუბრება პროფესიულ სტუდენტთან პრაქტიკის ობიექტთან და ობიექტზე არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. პროფესიულმა სტუდენტმა დაადასტურა, რომ პრაქტიკის ობიექტზე ხელმისაწვდომია ყველა ის მანქანა-დანადგარი და აღჭურვილობა, რომელიც საჭიროა სწავლის შედეგების მისაღწევად. გადამოწმდა სტუდენტის პრაქტიკის დღიურიც, რომელშიც შეტანილი იყო ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტზე შესრულებული სამუშაოს შესახებ თარიღების მიხედვით. აღნიშნული ჩანაწერები დამოწმებულია პრაქტიკის ინსტრუქტორის მიერ.

**დაწესებულებას მიეცა ყველა დუალური პროგრამის ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების გაუმჯობესების მიზნით საერთო განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ ყველა ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია 2022 წლის 9 აგვისტოს შემდეგ, ან განიცადა ცვლილებები, სასურველია გადაიხედოს და მასში და მის დანართებში გაწერილი პირობები შევიდეს ხელშეკრულებაში პუნქტების სახით.**

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „მევენახეობა და მეღვინეობა“ განხორციელებაში სულ ჩართულია 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 11 არის ზოგადი მოდულების, ხოლო 7 - პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი.

   კოლეჯის მიერ წარმოდგენილია სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათებით დატვირთვას. პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „მევენახეობა და მეღვინეობა“ განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ სტუდენტისთვის შესაბამისი სწავლებისა და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილში, რაც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება მათი პირად საქმეში დაცული კვალიფიკაციის და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. ამასთან აღსანიშნავია, რომ დაწესებულება მუდმივად ატარებს შიდა ტრენინგებს სწავლებისა და შეფასების საკითებზე, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის. ამგვარად, პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით. ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელს, რომელმაც აღწერა პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების მიდგომები.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „მევენახეობა და მეღვინეობა" კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს და გაფორმებული ხელშეკრულება აქვს პროგრამის ხელმძღვანელთან, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს პროფესიული მოდულების განმახორციელებელს. აღნიშნული პირს არის დარგის შესაბამისი კომპეტენციის მქონე, მას აქვს სწავლების რამდენიმე წლიანი გამოცდილება.

   **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში „მევენახეობა და მეღვინეობა" მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის ელექტრონული სახით ან/და ბიბლიოთეკაში მატერიალური ფორმით. ექსპერტების მიერ შემოწმდა და დადასტურდა ბიბლიოთეკაში რესურსების არსებობა.

   **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.5 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

6. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-14 მუხლით კოლეჯი ახორციელებს ინკუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილად ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს კვალიფიციური პროფესიული მასწავლებელის და ინკუზიური განათლების სპეციალისტის მეშვეობით;

შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტებისთვის კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლებლის ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების გზით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

7. კოლეჯს განსაზღვრული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. რენტაბელობის ზღვარი არის 10 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის ბიუჯეტის და კოლეჯის ფინანსური დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მევენახეობა და მეღვინეობა“ განხორციელების უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.7 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მევენახეობა და მეღვინეობა“;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცა;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N04-152 (13.12.2019) დანართი N1ცვლილება 04-122 24.07.2020 ცვლილება 04-131 13.08.2020 ცვლილება 04-190 06.10.2020 ცვლილება 04-34 15. 03.2021 ცვლილება 04-163 17/12/2021ცვლილება N04-44 09.03.2022
- „პერსონალის სამუშაო აღწერილობები“;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვები;
- ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების კატალოგი და საბიბლიოთეკო ჟურნალი;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- კოლეჯის ვებგვერდი;
- ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის №04-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები" ითვალისწინებს პროგრამის შეფასების მიდგომებს, შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზის მიზნებისათვის დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მიღების მეთოდებს, სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგებს, კოლეჯის შიდა საზოგადოების - პროფესიული სტუდენტების, პროფესიული საგანათლების მასწავლებლების, პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების მიერ პროგრამის ეფექტიანობის შეფასების ანალიზსა და სხვა. კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის მართვის სპეციალისტი.

კოლეჯში შემუშავებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის კითხვარები. სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და სხვა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კმაყოფილების კვლევის შედეგებისა და ანალიზის დოკუმენტები, მათ შორის:

- შეფასებისა და საკონტაქტო საათებზე დასწრების შუალედური ანგარიში;
- სსსმ პირთა გამოკითხვის ანგარიში კოლეჯში მიღებული სერვისებით კმაყოფილების თაობაზე;
- საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის ადეკვატურობის გამოკითხვის ანგარიში;
- დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევის ანგარიში;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ პროგრამის შეფასების ანგარიში;
- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- კურსდამთავრებულთა კმაყოფილებისა და დასაქმების კვლევის ანგარიში;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციისა და ჩარიცხვის რაოდენობრივი მაჩვენებლები.

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების ანალიზს და იძლევა რეკომენდაციებს პროცესების გაუმჯობესების მიზნით, მაგალითად, ერთ-ერთი შეფასების დროს, პროგრამის შინაარსობრივ ნაწილთან დაკავშირებით რეკომენდაციები და შენიშვნები დასახელდა მხოლოდ ხაზვის მოდულისათვის. მასწავლებელმა კვლევაში დააფიქსირა რომ საჭიროა თემატიკის გადახედვა და ცვლილება, რაც კოლეჯმა გაითვალისწინა.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-111 ბრძანებით დამტკიცებული „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“ დოკუმენტის მე-5 მუხლი არეგულირებს **პროგრამაში ცვლილებების შეტანა და განვითარების** საკითხებს, მათ შორის განსაზღვრულია - პროგრამაში ცვლილების ინიცირების უფლების მქონე პირები: ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროგრამის განმახორციელებელი ნებისმიერი პირი, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაცია, პროგრამის ხელმძღვანელი; პროგრამაში ცვლილების შეტანის ინიცირების პროცედურა; პროგრამაში ცვლილებების განხორციელების მიდგომები, მათ შორის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირების საკითხები; პროგრამის ხელმძღვანელის პროგრამის განვითარების პროცესში; პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის გამოსცემის საკითხები;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესის ეტაპებია:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა) ინფორმაციის შეგროვება - პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით: დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა, პროგრამის შეფასება პროფესიულ სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება, დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა.

ბ) ინფორმაციის დამუშვება - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვის შედეგებისა და შეფასების შედეგების ანალიზი;

გ) გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრა - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების და სხვა პირები აანალიზებენ საგანმანათლებლო პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელ მხარეებს.

დ) რეკომენდაციების მომზადება და ცვლილებები - პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა;

ე) ცვლილებების განხორციელება - აღნიშნული რეკომენდაციების დანერგვა აქტებით განსაზღვრული მხარეების ჩართულობითა და პროცედურებით.

ზემოაღნიშნულის დასტურად დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის ბრძანებები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელების თაობაზე: №04-51 (17.04.2020); №04-135 (04.11.2021); №04-155 (10.12.2021); №04-21 (28.01.2022); №04-49 (09.03.2022)

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა მიზნობრივი კითხვების დასმის გზით განახორციელა ინტერვიურება კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, კურსდამთავრებულებთან, რომლებმაც დაადასტურეს მათ მიერ კმაყოფილების კითხვარების შევსების, მეცადინეობებზე კოლეჯის წარმომადგენელთა დასწრების ფაქტები. ინტერვიურებისას არც ერთ პირს არ გამოუთქვამს უკმაყოფილება კოლეჯის მიერ მათი მოთხოვნისა და საჭიროების უგულებელყოფის თაობაზე.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის №04-26 ბრძანებით დამკიცებული „ხარისხის  უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და საკონტაქტო საათებზე დასწრების შუალედური ანგარიში;
- სსსმ პირთა გამოკითხვის ანგარიში კოლეჯში მიღებული სერვისებით კმაყოფილების თაობაზე;
- საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის ადეკვატურობის გამოკითხვის ანგარიში;
- დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ პროგრამის შეფასების ანგარიში;
- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- კურსდამთავრებულთა კმაყოფილებისა და დასაქმების კვლევის ანგარიში;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციისა და ჩარიცხვის რაოდენობრივი მაჩვენებლები.
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-111 ბრძანებით დამტკიცებული „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი  პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების,  დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და  ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მისი დანართები;
- პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სასწავლო გეგმას, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანამიმდევრულ განხორციელებას. სასწავლო გეგმების მიხედვით პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. იგი აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო გეგმებში ზუსტადაა გადატანილი მოდულში გათვალისწინებული საათები. სასწავლო პროცესი ამ გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, რაც დასტურდება მეცადინეობების განრიგით და შესაბამისი პირების ინტრვიუირებით.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კოლეჯის დირექტორის მიერ 13.12.2019 წლის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება N04-95 14.16.2022) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, სადაც არის ჩანაწერი, თუ როგორ რეაგირებს დაწესებულება ფორს-მაჟორულ ვითარებაში. კერძოდ, „დისტანციურ რეჟიმში სწავლების კომპონენტები გამოიყენება ფორსმაჟორული ვითარების დროს, პროფესიულ სტუდენტთა ავადობის ან დროებითი/ხანგრძლივი შეზღუდული შესაძლებლობების დროს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა დროებითი შრომისუუნარობის დროს, რაც გამორიცხავს კოლეჯის ტერიტორიაზე მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის ერთდროულად ყოფნას“ და ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

სასწავლო პროცესის მენეჯერთან გასაუბრებით გაირკვა, რომ პანდემიიდან გამომდინარე სასწავლო პროცესი გადაყვანილი იქნა დისტანციურ სწავლებაზე და წარმოადგინა შესაბამისი ბრძანება (07.12.2020 წლის N04-234 ბრძანება). სტუდენტების დახმარებაც განხორციელდა, რამოდენიმე მათგანს ლეპტოპები გადასცეს დროებითი სარგებლობისთვის. დაწესებულებას გააჩნია საერთო საცხოვრებელი სტუდენტებისთვის.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, ის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისია. სასწავლო პროცესში სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება დასტურდება პრაქტიკის ობიექტის/პარტნიორ ორგანიზაციაში არსებული რესურსით, მისი ადგილით ბაზარზე. პროფესიული განათლების მასწავლებელთა გადამზადების მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და დაწესებულების მიერ ტარდება ტრენინგები სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობის მიზნით. სასწავლო გარემოს ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ აუდიტორიები აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიების მოწყობილობებით, რომლებიც დაეხმარება პროფესიული განათლების მასწავლებელს სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებაში. რაც შეეხება პრაქტიკის ობიექტებს, ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ წარმოდგენილი მატერიალური რესურსი მოიცავს თანამედროვე ტექნოლოგიის მანქანა-აპარატებსა და მოწყობილობებს, რომლებსაც პრაქტიკის ობიექტზე გამოიყენებენ სტუდენტები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.3. ინდიკატორი სრულად დაკმაყოფილებული.**

4. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა, ასევე თუ რა დროს დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება: ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის (სსსმ პირებისთვის); ბ) პროფესიული სტუდენტის მობილობისას (საჭიროებისამებრ); გ) სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის (საჭიროებისამებრ); დ)მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას; ე) პროფესიული სტუდენტებისთვის ფორს-მაჟორული ვითარების დროს (საჭიროებისამებრ). კოლეჯს აღნიშნულ პროგრამაზე 2019 წლის მიღებზე ჰყავდა ერთი სსსმ პირი. თუმცა ამ ეტაპზე ასეთი პირი არ ფიქსირედება.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

5. „**მევენახეობა და მეღვინეობის**“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელებაში ჩართულია შემდეგი ობიექტები:

- ***ფიზიკური პირი რევაზ სანიკიძე*** *- ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების ვადით. საწარმო მიიღებს მაქსიმუმ 5 სტუდენტს.* ხელშეკრულებაში წარმოდგენილია პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგები და ამ სწავლის შედეგებისათვის მისაღწევი მატერიალური-ტექნიკური ბაზის აღწერილობა საწარმოში. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამონათვალი წარმოდგენილია ხელშეკრულების დანართ №4-ში. *ხელშეკრულების მიხედვით საწარმოში არსებული ყველა მატერიალური რესურსი გამოყენებული იქნება სწავლის შედეგების მიღწევისათვის.*

*- შპს „საგურამო ესთეითი“ - ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების ვადით. საწარმო მიიღებს მაქსიმუმ 15 სტუდენტს.* ხელშეკრულებაში წარმოდგენილია პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგები და ამ სწავლის შედეგებისათვის მისაღწევი მატერიალური-ტექნიკური ბაზის აღწერილობა საწარმოში. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამონათვალი წარმოდგენილია ხელშეკრულების დანართ №4-ში. *ხელშეკრულების მიხედვით საწარმოში არსებული ყველა მატერიალური რესურსი გამოყენებული იქნება სწავლის შედეგების მიღწევისათვის.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

***- შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“*** *- ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების ვადით. საწარმო მიიღებს მაქსიმუმ 15 სტუდენტს.* ხელშეკრულებაში წარმოდგენილია პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგები და ამ სწავლის შედეგებისათვის მისაღწევი მატერიალური-ტექნიკური ბაზის აღწერილობა საწარმოში. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამონათვალი წარმოდგენილია ხელშეკრულების დანართ №4-ში. *ხელშეკრულების მიხედვით საწარმოში არსებული ყველა მატერიალური რესურსი გამოყენებული იქნება სწავლის შედეგების მიღწევისათვის.*

***-შპს „39 ქვევრი“*** *- ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების ვადით. საწარმო მიიღებს მაქსიმუმ 15 სტუდენტს.* ხელშეკრულებაში წარმოდგენილია პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგები და ამ სწავლის შედეგებისათვის მისაღწევი მატერიალური-ტექნიკური ბაზის აღწერილობა საწარმოში. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამონათვალი წარმოდგენილია ხელშეკრულების დანართ №4-ში. *ხელშეკრულების მიხედვით საწარმოში არსებული ყველა მატერიალური რესურსი გამოყენებული იქნება სწავლის შედეგების მიღწევისათვის.*

***-მარანი „სევსამორა“*** *- ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების ვადით. საწარმო მიიღებს მაქსიმუმ 10 სტუდენტს.* ხელშეკრულებაში წარმოდგენილია პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგები და ამ სწავლის შედეგებისათვის მისაღწევი მატერიალური-ტექნიკური ბაზის აღწერილობა საწარმოში. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამონათვალი წარმოდგენილია ხელშეკრულების დანართ №4-ში. *ხელშეკრულების მიხედვით საწარმოში არსებული ყველა მატერიალური რესურსი გამოყენებული იქნება სწავლის შედეგების მიღწევისათვის.*

***-სს „კორპორაცია ქინძმარაული“*** *- ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების ვადით. საწარმო მიიღებს მაქსიმუმ 15 სტუდენტს.* ხელშეკრულებაში წარმოდგენილია პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგები და ამ სწავლის შედეგებისათვის მისაღწევი მატერიალური-ტექნიკური ბაზის აღწერილობა საწარმოში. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამონათვალი წარმოდგენილია ხელშეკრულების დანართ №4-ში. *ხელშეკრულების მიხედვით საწარმოში არსებული ყველა მატერიალური რესურსი გამოყენებული იქნება სწავლის შედეგების მიღწევისათვის.*

პრაქტიკის ობიექტზე ხორციელდება პროფესიული მოდულები/სწავლის შედეგები ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პრაქტიკის ინსტრუქტორთან ინტერვიუს დროს ინსტრუქტორმა დაადასტურა, რომ სტუდენტები დადიან პრაქტიკის ობიექტზე, გამოირჩევიან დიდი ინტერესით და თვითონ ასრულებენ საწარმოო ოპერაციებს ინსტრუქტორის მითითებით და მისი მეთვალყურეობის ქვეშ.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.**

6.**„მევენახეობა და მეღვინეობის“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილ სასწავლო გარემოში თვალსაჩინოდაა გამოკრული უსაფრთხოებასთან დაკავშირებული აბრები, სასწავლო კორპუსში ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, შესასვლელები და გასასვლელები აღნიშნულია შესაბამისი მონიშვნით.

ლაბორატორიაში გამოკრულია უსაფრთხოებისა და ქცევის წესები, აღჭურვილია უსაფრთხოების დაცვის მექანიზმებით, არის სამუშაო ხალათი, ხელთათმანი და სათვალე სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით, აღჭურვილია ცეცხლმაქრით, რომლის ვარგისიანობაც განსაზღვრულია 2024 წლის ბოლომდე.

პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ პრაქტიკის ობიექტზე, საწარმო უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნას. პრაქტიკის ობიექტზე ინსტრუქტორთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესის დაწყებამდე ხდება სტუდენტებისათვის უსაფრთხოების წესების გაცნობა.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- საგანმანათლებლო პროგრამა „მევენახეობა და მეღვინეობა“;
- სასწავლო და კალენდარული გეგმები;
- პარტიორ კომპანიასტან სს ენერგო პრო ჯორჯიასთან გაფორმებული მემორანდუმი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინდ. სასწავლო გეგმა;
- დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი და ფაქტობრივი მდგომარეობა;
- განმახორციელებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები.

*შეფასება:*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესის VIII თავი განსაზღვრავს შეფასების სისტემას, შეფასების ინსტრუმენტებსა და შეფასების უწყისის წარმოების მექანიზმებს. შიდა მარეგულირებელი აქტი ადგენს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური შეფასების სისტემის არსებობის სავალდებულოობას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების ინსტრუმენტებს ადგენს პროფესიული განათლების მასწავლებელი. კოლეჯის მიერ დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტების ფორმა და განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტების წარმოდგენის ვადები.

პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენის შემდეგ, სასწავლო პროცესის მენეჯერი ვალიდაციის პროცესში რთავს პროგრამის ხელმძღვანელს ან სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს, რომლებიც ახორციელებენ შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას. სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური და პროგრამის ხელმძღვანელი - შინაარსობრივი მხარის შემოწმებას. ხარვეზების შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტი უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს რეკომენდაციებით/შენიშვნებით/მითითებებით, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარადგინოს შესწორებული სახით. შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტი გამოიყენება პროფესიულ სტუდენტის შეფასების მიზნებისათვის. დაუშვებელია შეფასების დროს ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, რომელიც არ არის შეთანხმებული კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან.

კოლეჯში დარეგულირებულია განმეორებითი შეფასებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმებიც, რომელთა შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების საკითხი დადასტურებულ იქნა პროფესიულ სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის შევსებული ფორმები, რიგ შემთხვევებში გაცემულია რეკომენდაციები.

შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაციისა და შეფასების ადმინისტრირების პროცესები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და დაცულია სამართლიანობის პრინციპები, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ნაწილში, რაც დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსერტთა ჯგუფის ინტერვიურების გზით, მათ შორის კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთათვის შეფასების შედეგების გაცნობა.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N04-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმებს. შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია ვერიფიკაციის მიზნები, ვერიფიკაციის პროცესის ადმინისტრირების საკითხები, მათ შორის ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები, ვერიფიკაციის პროცესიში რისკ ფაქტორების განსაზღვრის წესი, ვერიფიკაციის დასკვნების შედგენისა და განხილვის მიდგომები, რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმის შედგენისა და ამ გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

3. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესის** VIII თავი განსაზღვრავს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების/მონაცემების/ინფორმაციის სათანადო აღრიცხვის, შევსებისა და შენახვის წესებს.

   შევსებული შეფასების ინსტრუმენტები ინახება კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან ან/და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში. შეფასების უწყისი ინახება უვადოდ.

   პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგები ფორმდება შესაბამისი უწყისით. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს/ინფორმაციას/მტკიცებულებებს გადასცემს კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერს ან პროგრამის ხელმძღვანელს სათანადო აღრიცხვის მიზნით. საბოლოოდ კი პროგრამის ხელმძღვანელი მონაცემებს გადასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომელიც მტკიცებულებებს აღრიცხავს ელექტრონული ან მატერიალური ჟურნალის საშუალებით.

   მტკიცებულებების აღრიცხვის ჟურნალს ავსებს სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, პროფესიული სტუდენტების სახელი და გვარი, ჯგუფის ნომერი, პროგრამის დაწყებისა და დასრულების თარიღი, პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა, მტკიცებულებების შენახვის ადგილი. მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით იქნა გადამოწმებული.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

4. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესის** VIII თავი განსაზღვრავს შეფასების შედეგების გათვალისინებას პროფესიული სტუდენტების სწავლის პროცესის გაუმჯობესებისათვის.

პროფესიულ სტუდენტს სხვადასხვა გზით აქვს კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის მენეჯერისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, დამატებითი საათების განმავლობაში, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით.

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია დირექტორის მიერ საკვალიფიკაციო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის შედეგად ხდება პროფესიული სტუდენტისათვის რეკომენდაციების გაცემა, პროგრამის განვითარება, მოდულების რიგითობის განსაზღვრა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი, საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული მექანიზმების ეფექტიანობა დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და კურსდამთავრებულებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესი;
- კოლეჯის მიერ დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტების ფორმა;
- შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის შევსებული ფორმები;
- პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოები;
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N04-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მისი დანართები;
- ვერიფიკაციის ანგარიში;
- პროფესიულ სტუენტებთან, პერსონალთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ*

5.კულინარიის ხელოვნება

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კულინარიის ხელოვნება |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | საბაზო (მე-3 დონე) |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში / Basic Vocational Qualification in Cooking |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1013 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | პროგრამის დამტკიცება:11/06/202 N 04-88/ პროგრამის ბოლო ცვლილება:21/04/2023 N 04-98 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | • მცხეთა-მთიანეთი, მცხეთა, სოფ.წინამძღვრიანთკარი;<br>• „აი ღვინის სახლი“;<br>• „ზერო ვაინ ბარი“<br>• შპს კრუიზი რესტორანი „ოქროს საწმისი“ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| | • შპს“ სევსამორა მენეჯმენტი“ |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | დუალური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 15 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 80 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 95 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**

5.კულინარიის ხელოვნება

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | | სრულ შესაბამისობაში |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | სრულ შესაბამისობაში |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | | სრულ შესაბამისობაში |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | | სრულ შესაბამისობაში |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

**პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

## 5.კულინარიის ხელოვნება

### 2. საგანმანათლებლო პროგრამები

### 2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. გადაწყვეტილება პროგრამის დამატების შესახებ საკმარისად დასაბუთებული და არგუმენტირებულია. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-111 ბრძანებით დამტკიცებული „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“ (ცვლილება N04-191 06.10.2020), დოკუმენტი არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევისა და დაგეგმვის საკითხებს, რის მიხედვითაც პროგრამის დამატების მიზნით, კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი და/ან რეესტრის წარმოების სპეციალისტი იძიებენ შემდეგი სახის ინფორმაციას: კურსდამთავრებულთა ბაზის ანალიზს - ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სურვილისა და დასაქმების შესახებ და/ან სტატისტიკურ მონაცემებს დასაქმების მაჩვენებლების მიხედვითა და მზარდი ტენდენციების გათვალისწინებით და/ან შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებს, დასაქმებულთა კონკრეტულ მოთხოვნებს და ინიცირებით მიმართავენ კოლეჯის დირექტორს პროგრამების დამატების შესახებ, რის შემდგომ კოლეჯის დირექტორი ინიციატივას განიხილავს აღნიშნული სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 30 სამუშაო დღეში და თანხმობის შემთხვევაში, გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ჯგუფის შექმნის შესახებ. ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრება შემდეგნაირად: ჯგუფის ხელმძღვანელი, პროგრამ(ებ)ის ხელმძღვანელ(ებ)ი, ჯგუფის შემადგენლობა და სამუშაო ვადები; პროგრამების შემუშავების ჯგუფის ხელმძღვანელი არის სასწავლო პროცესის მენეჯერი. მისი ხელმძღვანელობით შემუშავდება პროგრამა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. პროგრამების შემუშავების ჯგუფში შესაძლოა შედიოდნენ: პროგრამის ინიციატორი, კოლეჯის დირექტორი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროფესიული განათლების მასწავლებლები/პრაქტიკის ინსტრუქტორი (არსებობის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემთხვევაში), სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, დამსაქმებლები, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები (პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციები), ბიბლიოთეკარი, ბუღალტერი, შესყიდვების სამსახურის თანამშრომელი, მატრიალური რესურსის უზრუნველყოფის მენეჯერი, კურსდამთავრებულები, პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლები, დარგის ექსპერტები და სხვა. სამუშაოს დაწყებამდე ხარისხის მართვის მენეჯერი ჯგუფს აცნობს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

წინა ვიზიტის ფარგლებში ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენტაცია, რომ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებისას განიხილული ყოფილიყო პროგრამის გახორციელების მიზანშეწონილობა კოლეჯის სტრატეგიულ მიზნებთან,. ასევე რესურსული მიზანშეწონილობა, ეკონომიკური მიზანშეწონილობა. ეს ყველაფერი გათვალისწინებულია მიმდინარე ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილ დოკუმენტში ,,პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება“.

დაწესებულებამ შრომის ბაზრის მიმოხილვითი ანალიზის დროს იხელმძღვანელა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზით, აღნიშნული ანალიზი მოიცავს დასაქმების საიტებისა და მათ მიერ გამოქვეყნებული ვაკანსიების შესწავლას, სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული შრომის ბაზრის ანალიზი დაწესებულებას დაეხმარა შრომის ბაზარზე არსებული ზოგადი მოთხოვნის კომპონენტების და მოსალოდნელი ტენდენციების გამოვლენის კუთხით. დოკუმენტის საფუძველზე ირკვევა, რომ სასტუმროებსა და რესტორნებში დასაქმებულთა წილი მთლიანი დასაქმების 2.7%-ია და დღემდე მზარდია მოთხოვნა სამუშაო ძალაზე მათი მხრიდან.

ბიზნეს სექტორის სტატისტიკის მიხედვით, 2018 წელს დასაქმებულთა რაოდენობა 187%-ით არის გაზრდილი 2010 წელთან შედარებით. აქედან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, კერძოდ კულინარიის განვითარება ძალზედ მნიშვნელოვანია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის 2020 – 2026 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველი სტრატეგიული მიზანია „ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება“, აღნიშნული მიზანი ჩაშლილია 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმაში ამოცანებად, სამოქმედო გეგმის მეორე ამოცანაა შერჩეული პროგრამების დამატება/ ავტორიზაციის პროცედურების გავლა (დუალური მიდგომით).

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების გადაწყვეტილება განახორციელოს კულინარიის ხელოვნების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა რელევანტურია, წინააღმდეგობაში არ მოდის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ მიზანშეწონილობის დოკუმენტში ასევე მოხსენიებულია დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევები და კვლევის შედეგად გამოკვეთილი გარემოებები - დარგის მიმართულების შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საბაზო განათლება, დაშვების პროცედურა კი გულისხმობს და უზრუნველყოფს ისეთ პირთა მიღებას, რომელთა ცოდნა და უნარები იძლევა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას, პროგრამის განხორციელების ვადაში. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესით (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-69 12/07/2021; ცვლილება 04-84 31.08.2021;ცვლილება N04-104 30.09.2021)

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

3. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის დირექტორის N 04-03 11.01.2019 ბრძანებით (დანართი N2 ცვლილება: N04-12 14.02.2019 დანართი N3 ცვლილება: N04-10 20.01.2022) საფუძველზე შემუშავებულია ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობი განსაზღვრის წესი’’ დოკუმენტში გაწერილია ზოგადი დებულებები, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განმსაზღვრელი ფაქტორები და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოანგარიშების პირობები. აღნიშნული დოკუმენტის მესამე მუხლის შესაბამისად, კულინარიის ხელოვნებისთვის, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობად განსაზღვრა 15 სტუდენტი. ზღვრული რაოდენობის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრისას დაწესებულება ხელმძღვანელობს პროგრამით დადგენილი მოთხოვნებს და პროფესიულ სტუდენტთა და განმახორციელებელ პირთა თანაფარდობას. სასწავლო გარემოს ფართობზე სტუდენტთა ადგილების რაოდენობის მიხედვით, ცვლებში სწავლის შესაძლებლობის პირობებში.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კულინარიის ხელოვნებისთვის“ განსაზღვრული მატერიალური რესურსი შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ რეკომენდაციებს და უზრუნველყოფილს სწავლის შედეგების მიღწევას. შესაბამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა კი შეესაბამება სწავლის შედეგების მიღწევის მოთხოვნებს. პროგრამით განსაზღვრული აღჭურვილობა და სასწავლო რესურსი ადეკვატურია როგორც დარგობრივი ასევე ზოგადი მოდულების სწავლებისათვის.

   **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „კულინარიის ხელოვნება “არჩევითი მოდულები არ გააჩნია.
6. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი არის კოლეჯის დირექტორი, რაც განსაზღვრულია კოლეჯის წესდების მე-5 მუხლის შემდეგი პუნქტებით: ვ) კოორდინაციას უწევს პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას შრომის ბაზრის ტენდენციების შესაბამისად; ი) საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებები განხორციელების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – ბრძანებას. ასევე, N04-111 (2018 13.12.2019) ბრძანებით დამტკიცებული წესის -„სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“ მეორე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად. მაშასადამე, საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“ დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის - დირექტორის მიერ,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(კოლეჯის დირექტორის N 04-88 ბრძანება (11.06.2020) ცვლილება 04-104 03.07.2020, ცვლილება 04-105 03.07.2020˜. ცვლილება 04-110 14.07.2020, ცვლილება 04-196 09.10.2020, ცვლილება 04-134 04/11/2021 დანართი 3, ცვლილება 04-156 10.12.2021, ცვლილება N04-15 25.01.2022)

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „კულინარიის ხელოვნება“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს და სრულ შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან. სახელწოდება არის ნათელი, გასაგები და არ შეიცავს შეცდომაში შეყვანის რისკს.

   **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.7 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის/პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე, არ არის წინააღმდეგობაში მის მოთხოვნებთან და ადაპტირებულია დაწესებულების მიერ დაშვებებისა და მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამა აგრეთვე ითვალისწინებს

   **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.8 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სტრატეგიული განვითარების გეგმა (2020-2026) (შეთანხმებული სამეთვალყურეო საბჭოსთან ოქმი N3 29.07.2020 დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-126 30.07.2020 ცვლილება 04-38 09/03/2022)
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-69 12/07/2021 დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესი (ცვლილება 04-84 31.08.2021ცვლილება N04-104 30.09.2021)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის დირექტორის  N 04-03 11.01.2019 ბრძანებით (ცვლილება: N04-12) 14.02.2019დამტკიცებული,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი’’

- "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N04-152 (13.12.2019) დანართი N1ცვლილება 04-122  24.07.2020 ცვლილება 04-131 13.08.2020 ცვლილება 04-190  06.10.2020 ცვლილება 04-34 15. 03.2021 ცვლილება 04-163  17/12/2021ცვლილება N04-44 09.03.2022)
- პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთება;
- პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;
- პროგრამის განხორციელებაში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნების“ დამტკიცების აქტი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნების“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- კოლეჯის წესდება;
- ინტერვიუს შედეგები..

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით სსიპ „ილია წინამძრვრიშვილის სახელობის კოლეჯს“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ -მიზნებისათვის აქვს: მცხეთის რაიონის სოფ. წინამძღვრიანთკარში არსებული შესაბამისი სასწავლო A და B გარემოები,პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელებისთვის გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან,სადაც მოწყობილია C გარემო და ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფილი სასწავლო ლაბორატორია; მრავალფეროვანი და ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო რესურსი, რაც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას იძლევა; ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნების“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი, რომელიც შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულ მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალთან. ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისთვის, რისთვისაც კოლეჯში მოწყობილია A და B გარემოები,რომელიც აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები).

დუალური მიდგომით სწავლების უზრუნველსაყოფად დაწესებულებასა და საწარმოებს შორის გაფორმებულია სამმხრივი ხელშეკრულებები 4საწარმოსთან: • ზერო ვაინ ბარს თბილისი, ლ. ქიაჩელის 10; შპს სევსამორა მენეჯმენტი; შპს კრუიზი რესტორანი „ოქროს საწმისი“ და რესტორანი - „აი ღვინის სახლი“, რომლებიც მოიცავს საქართველოს მთავრობის 416-ე დადგენილების ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის /პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს: სასწავლო საწარმოსა და დაწესებულების საიდენტიფიკაციო მონაცემებს; პროგრამის სახელწოდებას (ქართულ და ინგლისურ ენებზე); სასწავლო საწარმოსა და პროგრამის განხორციელების ადგილის მისამართებს; პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების განაწილებას დაწესებულებასა და სასწავლო საწარმოს შორის; პროგრამაზე ერთობლივად მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობას, კერძოდ თითო საწარმოში 15-15 პროფესიულ სტუდენტს; პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის აღწერას, მათ შორის, ინფორმაციას შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის შესახებ; პროფესიული სტუდენტის სწავლის/სამუშაოს შესრულების პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო საწარმოში/დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტის გამოცხადების შესაძლებლობას და მის ჩართულობას აღნიშნულ პროცესებში; სასწავლო საწარმოს ვალდებულებებს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საწარმოში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლის/სამუშაოს შესრულების პერიოდში შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველყოფისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის შესახებ; ხელშეკრულების ვადას, რომელიც არ არის პროგრამის ხანგრძლივობაზე ნაკლები და ხელშეკრულების შეწყვეტის წესს; ხელშეკრულებაში არაა ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პროფესიული სტუდენტისთვის შრომითი ხელშეკრულების მიღმა მატერიალური/ფინანსური დახმარების გაწევის, დაზღვევის პირობების თუ სხვა ზომების შესახებ, ვინაიდან ამგვარი შეთანხმება არ არსებობს საწარმოსა და დაწესებულებას შორის; ამ ეტაპზე პროგრამაზე ირიცხება 8 აქტიური სტუდენტი, რომლებიც განაწილებულები არიან 3 მათგანი შპს სევსამორა მენეჯმენტში  და 5 მათგანი შპს კრუიზი რესტორანში „ოქროს საწმისი".

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებს, რომლებმაც დაადასტურეს პრაქტიკის ობიექტებზე მათი სასწავლო პროცესში ჩართულობა, წარმოადგინეს პრაქტიკის დღიურები, რომლებიც სრულყოფილად იყო შევსებული. შესაბამისად, დასტურდება, რომ აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში ორგანიზაციებს  შეუძლია მიიღონ და მომსახურეობა გაუწიონ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას კვოტით განსაზღვრული 15 პროფესიული სტუდენტისსთვის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნების" განხორციელების მიზნებისთვის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მეცადინეობისთვის განკუთვნილი სასწავლო სივრცე და პრაქტიკის ობიექტები აღჭურვილია შესაბამისი რესურსით.

**დაწესებულებას მაინც მიეცა ყველა დუალური პროგრამის ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების გაუმჯობესების მიზნით საერთო განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ ყველა ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია 2022 წლის 9 აგვისტოს შემდეგ, ან განიცადა ცვლილებები, სასურველია გადაიხედოს და მასში და მის დანართებში გაწერილი პირობები შევიდეს ხელშეკრულებაში პუნქტების სახით. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კულინარიის ხელოვნება" განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა არის - 24 განმახორციელებელი, მათ შორის 3  დარგის სპეციალისტი. პროგრამა მოიცავს როგორც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობას. ექსპერტებმა შეისწავლეს იმ პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა, რომლების პარალელურად სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ახორციელებენ იმავე მოდულებს და დაადგინეს, რომ განმახორციელებლების რაოდენობა და საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს სრულად პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „კულინარიის ხელოვნება“ განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ სტუდენტისთვის შესაბამისი სწავლებისა და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილში, რაც დასტურდება მათი პირად საქმეში დაცული კვალიფიკაციის და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. ამასთან აღსანიშნავია, რომ დაწესებულება მუდმივად ატარებს შიდა ტრენინგებს სწავლებისა და შეფასების საკითებზე, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის. ამგვარად, პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით. ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელს, რომელმაც აღწერა პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების მიდგომები.

   **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „კულინარიის ხელოვნება“ კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს და გაფორმებული ხელშეკრულება აქვს პროგრამის ხელმძღვანელთან, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს პროფესიული მოდულების განმახორციელებელს. აღნიშნული პირს არის დარგის შესაბამისი კომპეტენციის მქონე, მას აქვს სწავლების რამდენიმე წლიანი გამოცდილება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში „კულინარიის ხელოვნება“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის ელექტრონული სახით ან/და ბიბლიოთეკაში მატერიალური ფორმით. ექსპერტების მიერ შემოწმდა და დადასტურდა ბიბლიოთეკაში რესურსების არსებობა.

   **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.5 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

6. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-14 მუხლით კოლეჯი ახორციელებს ინკუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას;შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილად ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს კვალიფიციური პროფესიული მასწავლებელის და ინკუზიური განათლების სპეციალისტის მეშვეობით;შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტებისთვის კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლებლის ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების გზით.

   **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

7. კოლეჯს განსაზღვრული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. რენტაბელობის ზღვარი არის 10 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის ბიუჯეტის და კოლეჯის ფინანსური დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ განხორციელების უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.7 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცა;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N04-152 (13.12.2019) დანართი N1ცვლილება 04-122 24.07.2020 ცვლილება 04-131 13.08.2020 ცვლილება 04-190 06.10.2020 ცვლილება 04-34 15. 03.2021 ცვლილება 04-163 17/12/2021ცვლილება N04-44 09.03.2022
- „პერსონალის სამუშაო აღწერილობები“;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვები;
- ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების კატალოგი და საბიბლიოთეკო ჟურნალი;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- კოლეჯის ვებგვერდი;
- ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის №04-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ ითვალისწინებს პროგრამის შეფასების მიდგომებს, შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზის მიზნებისათვის დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მიღების მეთოდებს, სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგებს, კოლეჯის შიდა საზოგადოების - პროფესიული სტუდენტების, პროფესიული საგანათლების მასწავლებლების, პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების მიერ პროგრამის ეფექტიანობის შეფასების ანალიზსა და სხვა. კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის მართვის სპეციალისტი.

კოლეჯში შემუშავებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის კითხვარები. სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და სხვა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კმაყოფილების კვლევის შედეგებისა და ანალიზის დოკუმენტები, მათ შორის:

- შეფასებისა და საკონტაქტო საათებზე დასწრების შუალედური ანგარიში;
- სსსმ პირთა გამოკითხვის ანგარიში კოლეჯში მიღებული სერვისებით კმაყოფილების თაობაზე;
- საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის ადეკვატურობის გამოკითხვის ანგარიში;
- დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ პროგრამის შეფასების ანგარიში;
- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- კურსდამთავრებულთა კმაყოფილებისა და დასაქმების კვლევის ანგარიში;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციისა და ჩარიცხვის რაოდენობრივი მაჩვენებლები.

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების ანალიზს და იძლევა რეკომენდაციებს პროცესების გაუმჯობესების მიზნით, მაგალითად, ერთ-ერთი შეფასების დროს, პროგრამის შინაარსობრივ ნაწილთან დაკავშირებით რეკომენდაციები და შენიშვნები დასახელდა მხოლოდ ხაზვის მოდულისათვის. მასწავლებელმა კვლევაში დააფიქსირა რომ საჭიროა თემატიკის გადახედვა და ცვლილება, რაც კოლეჯმა გაითვალისწინა.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-111 ბრძანებით დამტკიცებული „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“ დოკუმენტის მე-5 მუხლი არეგულირებს **პროგრამაში ცვლილებების შეტანა და განვითარების** საკითხებს, მათ შორის განსაზღვრულია - პროგრამაში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცვლილების ინიცირების უფლების მქონე პირები: ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროგრამის განმახორციელებელი ნებისმიერი პირი, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაცია, პროგრამის ხელმძღვანელი; პროგრამაში ცვლილების შეტანის ინიცირების პროცედურა; პროგრამაში ცვლილებების განხორციელების მიდგომები, მათ შორის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირების საკითხები; პროგრამის ხელმძღვანელის პროგრამის განვითარების პროცესში; პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის გამოსცემის საკითხები;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესის ეტაპებია:

ა) ინფორმაციის შეგროვება - პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით: დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა, პროგრამის შეფასება პროფესიულ სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება, დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა.

ბ) ინფორმაციის დამუშვება - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვის შედეგებისა და შეფასების შედეგების ანალიზი;

გ) გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრა - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების და სხვა პირები აანალიზებენ საგანმანათლებლო პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელ მხარეებს.

დ) რეკომენდაციების მომზადება და ცვლილებები - პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა;

ე) ცვლილებების განხორციელება - აღნიშნული რეკომენდაციების დანერგვა აქტებით განსაზღვრული მხარეების ჩართულობითა და პროცედურებით.

ზემოაღნიშნულის დასტურად დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის ბრძანებები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელების თაობაზე: №04-51 (17.04.2020); №04-135 (04.11.2021); №04-155 (10.12.2021); №04-21 (28.01.2022); №04-49 (09.03.2022)

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა მიზნობრივი კითხვების დასმის გზით განახორციელა ინტერვიურება კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურსდამთავრებულებთან, რომლებმაც დაადასტურეს მათ მიერ კმაყოფილების კითხვარების შევსების, მეცადინეობებზე კოლეჯის წარმომადგენელთა დასწრების ფაქტები. ინტერვიურებისას არც ერთ პირს არ გამოუთქვამს უკმაყოფილება კოლეჯის მიერ მათი მოთხოვნისა და საჭიროების უგულებელყოფის თაობაზე.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის №04-26 ბრძანებით დამკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები";
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და საკონტაქტო საათებზე დასწრების შუალედური ანგარიში;
- სსსმ პირთა გამოკითხვის ანგარიში კოლეჯში მიღებული სერვისებით კმაყოფილების თაობაზე;
- საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის ადეკვატურობის გამოკითხვის ანგარიში;
- დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ პროგრამის შეფასების ანგარიში;
- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- კურსდამთავრებულთა კმაყოფილებისა და დასაქმების კვლევის ანგარიში;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციისა და ჩარიცხვის რაოდენობრივი მაჩვენებლები.
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-111 ბრძანებით დამტკიცებული „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)"
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მისი დანართები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

7. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
8. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
9. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
10. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
11. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
12. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სასწავლო გეგმას, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანამიმდევრულ განხორციელებას. სასწავლო გეგმების მიხედვით პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. იგი აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო გეგმებში ზუსტადაა გადატანილი მოდულში გათვალისწინებული საათები. სასწავლო პროცესი ამ გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, რაც დასტურდება მეცადინეობების განრიგით და შესაბამისი პირების ინტრვიუირებით.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

2. კოლეჯის დირექტორის მიერ 13.12.2019 წლის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება N04-95 14.16.2022) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, სადაც არის ჩანაწერი, თუ როგორ რეაგირებს დაწესებულება ფორს-მაჟორულ ვითარებაში. კერძოდ, „დისტანციურ რეჟიმში სწავლების კომპონენტები გამოიყენება ფორსმაჟორული ვითარების დროს, პროფესიულ სტუდენტთა ავადობის ან დროებითი/ხანგრძლივი შეზღუდული შესაძლებლობების დროს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა დროებითი შრომისუუნარობის დროს, რაც გამორიცხავს კოლეჯის ტერიტორიაზე მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის ერთდროულად ყოფნას“ და ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

სასწავლო პროცესის მენეჯერთან გასაუბრებით გაირკვა, რომ პანდემიიდან გამომდინარე სასწავლო პროცესი გადაყვანილი იქნა დისტანციურ სწავლებაზე და წარმოადგინა შესაბამისი ბრძანება (07.12.2020 წლის N04-234 ბრძანება). სტუდენტების დახმარებაც განხორციელდა, რამოდენიმე მათგანს ლეპტოპები გადასცეს დროებითი სარგებლობისთვის. დაწესებულებას გააჩნია საერთო საცხოვრებელი სტუდენტებისთვის.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, ის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისია. სასწავლო პროცესში სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება დასტურდება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკის ობიექტის/პარტნიორ ორგანიზაციაში არსებული რესურსით, მისი ადგილით ბაზარზე. პროფესიული განათლების მასწავლებელთა გადამზადების მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და დაწესებულების მიერ ტარდება ტრენინგები სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობის მიზნით.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.3. ინდიკატორი სრულად დაკმაყოფილებული.**

4. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში" გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა, ასევე თუ რა დროს დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება: ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის (სსსმ პირებისთვის); ბ) პროფესიული სტუდენტის მობილობისას (საჭიროებისამებრ); გ) სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის (საჭიროებისამებრ); დ)მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას; ე) პროფესიული სტუდენტებისთვის ფორს-მაჟორული ვითარების დროს (საჭიროებისამებრ). კოლეჯს აღნიშნულ პროგრამაზე არ ჰყოლია ჰყავდა ერთი სსსმ პირი.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

**5.** დუალური მიდგომით სწავლების უზრუნველსაყოფად დაწესებულებასა და საწარმოებს შორის გაფორმებულია სამმხრივი ხელშეკრულებები 4საწარმოსთან:ზერო ვაინ ბარს თბილისი, ლ. ქიაჩელის 10; შპს სევსამორა მენეჯმენტი; შპს კრუიზი რესტორანი „ოქროს საწმისი" და რესტორანი - „აი ღვინის სახლი", რომლებიც მოიცავს საქართველოს მთავრობის 416-ე დადგენილების ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის /პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს ვიზიტის მიმდინარეობისას კოლეჯმა წარმოადგინა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე ხელშეკრულების დანართი, რომელიც მოიცავს რესურსების ჩამონათვალს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება კოლეჯის პროფესიული სტუდენტების პრაქტიკით უზრუნველყოფა.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან დაწესებულება თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

7. დაწესებულებაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, საკლასო ოთახში განთავსებულია პირველადი დახმარების ყუთი, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია უსაფრთხოების წესები, გამაფრთხილებელი, ამკრძალავი და დამშვები ნიშნები, სამუშაო ლაბორატორიაში არის ქსელური დამიწება. ინტერვიურებით გაირკვა, რომ სტუდენტების უსაფრთხოებაზე იდენტიფიცირებულია პასუხისმგებელი პირი - მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით,**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“;
- სასწავლო და კალენდარული გეგმები;
- პარტიორ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებები: ზერო ვაინ ბარს თბილისი, ლ. ქიაჩელის 10, შპს სევსამორა მენეჯმენტი, შპს კრუიზი რესტორანი „ოქროს საწმისი“, რესტორანი - „აი ღვინის სახლი“;
- ინდ. სასწავლო გეგმა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი და ფაქტობრივი მდგომარეობა;
- განმახორციელებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები.

*შეფასება:*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესის VIII თავი განსაზღვრავს შეფასების სისტემას, შეფასების ინსტრუმენტებსა და შეფასების უწყისის წარმოების მექანიზმებს. შიდა მარეგულირებელი აქტი ადგენს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური შეფასების სისტემის არსებობის სავალდებულოობას.
შეფასების ინსტრუმენტებს ადგენს პროფესიული განათლების მასწავლებელი. კოლეჯის მიერ დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტების ფორმა და განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტების წარმოდგენის ვადები.
პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენის შემდეგ, სასწავლო პროცესის მენეჯერი ვალიდაციის პროცესში რთავს პროგრამის ხელმძღვანელს ან სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს, რომლებიც ახორციელებენ შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას. სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური და პროგრამის ხელმძღვანელი - შინაარსობრივი მხარის შემოწმებას. ხარვეზების შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტი უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს რეკომენდაციებით/შენიშვნებით/მითითებებით, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარადგინოს შესწორებული სახით. შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტი გამოიყენება პროფესიულ სტუდენტის შეფასების მიზნებისათვის. დაუშვებელია შეფასების დროს ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, რომელიც არ არის შეთანხმებული კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან.
კოლეჯში დარეგულირებულია განმეორებითი შეფასებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმებიც, რომელთა შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების საკითხი დადასტურებულ იქნა პროფესიულ სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას.
კოლეჯის მიერ წარმოდგენილია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის შევსებული ფორმები, რიგ შემთხვევებში გაცემულია რეკომენდაციები.
შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაციისა და შეფასების ადმინისტრირების პროცესები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და დაცულია სამართლიანობის პრინციპები, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ნაწილში, რაც დადასტურებულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსერტთა ჯგუფის ინტერვიურების გზით, მათ შორის კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთათვის შეფასების შედეგების გაცნობა.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N04-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები" ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმებს. შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია ვერიფიკაციის მიზნები, ვერიფიკაციის პროცესის ადმინისტრირების საკითხები, მათ შორის ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები, ვერიფიკაციის პროცესიში რისკ ფაქტორების განსაზღვრის წესი, ვერიფიკაციის დასკვნების შედგენისა და განხილვის მიდგომები, რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმის შედგენისა და ამ გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

3. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესის** VIII თავი განსაზღვრავს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების/მონაცემების/ინფორმაციის სათანადო აღრიცხვის, შევსებისა და შენახვის წესებს.

შევსებული შეფასების ინსტრუმენტები ინახება კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან ან/და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში. შეფასების უწყისი ინახება უვადოდ.

პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგები ფორმდება შესაბამისი უწყისით. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს/ინფორმაციას/მტკიცებულებებს გადასცემს კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერს ან პროგრამის ხელმძღვანელს სათანადო აღრიცხვის მიზნით. საბოლოოდ კი პროგრამის ხელმძღვანელი მონაცემებს გადასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომელიც მტკიცებულებებს აღრიცხავს ელექტრონული ან მატერიალური ჟურნალის საშუალებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მტკიცებულებების აღრიცხვის ჟურნალს ავსებს სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, პროფესიული სტუდენტების სახელი და გვარი, ჯგუფის ნომერი, პროგრამის დაწყებისა და დასრულების თარიღი, პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა, მტკიცებულებების შენახვის ადგილი. მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით იქნა გადამოწმებული.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

4. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესის** VIII თავი განსაზღვრავს შეფასების შედეგების გათვალისინებას პროფესიული სტუდენტების სწავლის პროცესის გაუმჯობესებისათვის.

პროფესიულ სტუდენტს სხვადასხვა გზით აქვს კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის მენეჯერისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, დამატებითი საათების განმავლობაში, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით.

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია დირექტორის მიერ საკვალიფიკაციო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის შედეგად ხდება პროფესიული სტუდენტისათვის რეკომენდაციების გაცემა, პროგრამის განვითარება, მოდულების რიგითობის განსაზღვრა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი, საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

აღნიშნული მექანიზმების ეფექტიანობა დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და კურსდამთავრებულებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესი;
- კოლეჯის მიერ დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტების ფორმა;
- შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის შევსებული ფორმები;
- პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალი
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N04-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მისი დანართები;
- ვერიფიკაციის ანგარიში;
- პროფესიულ სტუენტებთან, პერსონალთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

## *XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ*

6.ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასურსათო პროდუქტებისწარმოებაში / Secondary Vocational Qualification in Food Production |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0721 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | • მცხეთის რაიონის სოფ. წინამძღვრიანთკარი<br>• შპს ,,გსქ კულა, გორი, შინდისის გზატკეცილი N17 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | დუალური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 15 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 85 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 115 |

## XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

*6.ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება*

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| 2) **საგანმანათლებლო პროგრამები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
|---|---|---|
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | | სრულ შესაბამისობაში |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | სრულ შესაბამისობაში |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | | სრულ შესაბამისობაში |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | | სრულ შესაბამისობაში |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## სტანდარტის შეფასება

**პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

### 6. ხილისა და ბოსტნეულის გადამუშვება

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგემვის და შემუშავების მეთოდოლოგია - კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-111 (13.12.2019) დამტკიცებული (ცვლილება N04-191 06.10.2020) „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა“, რის საფუძველზეც დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს „პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება“, სადაც აღნიშნულია, რომ კოლეჯი არის მრავალპროფილურია, თუმცა წამყვანი დარგი სოფლის მეურნეობაა. შერჩეული პროგრამა „ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება“ მიესადაგება კოლეჯის მისიას - მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები, როგორც ადგილობრივი, ისე ქვეყნის მასშტაბით შრომის ბაზრისთვის. სასწავლებელს დაარსებიდან, 1883 წლიდან, დღემდე ბევრჯერ შეეცვალა სახელი, მაგრამ აგრარული მიმართულებით სწავლების პროფილი არ შეუცვლია. კოლეჯი თანამშრომლობს აგრარული პროფილის საქართველოს თითქმის ყველა უწყებასთან, როგორც სახელწიფო, ისე კერძო კომპანიებთან. კოლეჯისთვის პრიორიტეტულია სწორედ აგრარული მიმართლების პროფესიული პროგრამების დამატება. დაწესებულებამ შრომის ბაზრის მიმოხილვითი ანალიზის დროს იხელმძღვანელა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზით, აღნიშნული ანალიზი მოიცავს დასაქმების საიტებისა და მათ მიერ გამოქვეყნებული ვაკანსიების შესწავლას, სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული შრომის ბაზრის ანალიზი დაწესებულებას დაეხმარა შრომის ბაზარზე არსებული ზოგადი მოთხოვნის კომპონენტების და მოსალოდნელი ტენდენციების გამოვლენის კუთხით. ასევე დაწესებულებამ სამიზნე ჯგუფად განსაზღვრა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადგილობრივი სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები, რადგან პროგრამაზე სწავლა მცხეთა-მთიანეთის ტურისტული პოტენციალის გათვალისწინებით, მათ დამეხმარება საკუთარი ბიზნესის დაყებასა და უკეთესად წარმართვაში. დაწესებულების მისია მოიცავს აგრარულ მიმართულებას. მისიის კონტექსტში არ ჩნდება კითხვის ნიშნები მოცემული პროგრამის დამატების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. კოლეჯის 2020 – 2026 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველი სტრატეგიული მიზანია „ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება“, აღნიშნული მიზანი ჩაშლილია 2022-23 წლის სამოქმედო გეგმაში ამოცანებად, სამოქმედო გეგმის მეორე ამოცანაა შერჩეული პროგრამების დამატება/ ავტორიზაციის პროცედურების გავლა (დუალური მიდგომით).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.1.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, თუმცა რეკომედებულია კოლეჯმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებისას შეისწავლოს ისეთი ასპექტები, როგორიცაა პროგრამის გახორციელების მიზანშეწონილობა კოლეჯის სტრატეგიულ მიზნებთან, რესურსული, ეკონომიკური, სამართლებრივი და ოპერაციული მიზანშეწონილობა.**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების გადაწყვეტილება განახორციელოს ხილისა და ბოსტნეულის გადამუშვების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა რელევანტურია, წინააღმდეგობაში არ მოდის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ მიზანშეწონილობის დოკუმენტში მოხსენიებულია დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევები (ადგილობრივი შრომითი ბაზრის ანალიზი) და კვლევის შედეგად გამოკვეთილი გარემოებები - დარგის მიმართულების შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.**

2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 12 ივლისის N04-69 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესი“ შემუშავებულია ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფისათვის მოწოდებულ წესში არ იყო ასახული საქართველოს განათლებისა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 14 თებერვლის №27/ნ და 2022 წლის 25 მარტის 44/ნ ბრძანებით განხორციელბული ცვლილებები. კოლეჯში ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა დასვა კითხვები მოცემულ წესში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე, რა დროსაც დაწესებულებამ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტამდე განახორციელდა ცვლილებები „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესში“, რისთვისაც გამოცემულია კოელჯის დირექტორის 2022 წლის 10 ივნისის №04- 93 ბრძანება. ამ დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულებაში საშუალო და ინტეგრირებულ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. ამ წესის მე-8 მუხლის „შერჩევა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში“ შესაბამისად იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევა, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში რეგულირდება კოლეჯს დირექტორის 07.10.2019 წლის N04-99 ბრძანებით დამტკიცებული მარეგულირებელი წესით ,,აპლიკანტთა კონკურსის წესით შერჩევის დებულება იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში‟. ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეამოწმა პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის დოკუმენტები, კერძოდ: პირადი საქმეები, ატესტატები. დაწესებულება არ არღვევს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.1.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

3. დირექტორის N04-03 11.01.2019 ბრძანებით დანართი N2 (ცვლილება: N04-10 20.01.2022) დამტკიცებულია ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი‟, სადაც აღნიშნულია, რომ კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას დუალურ პროგრამებზე მხედველობაში მიიღება C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი, ან პროგრამის განმახორციელებელ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა ან რამდენიმე საწარმოს შემთხვევაში - ადგილების ჯამი. აღნიშნულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით დაწესებულებას შეიმუშავებული აქვს „პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება“ „ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების’’ პროგრამისთვის. კონტინგენტის დაგეგმვისას ამოსავალი ძირითადად პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსებია. გათვალისწინებულია, რომ ერთიდაიგივე რესურსი შესაძლებელია სხვადასხვა პროგრამის მიზნებისათვის იქნას გამოყენებული - ასეთია უცხო ენის კაბინეტი 15 სტუდენტისათვის და B სასწავლო გარემო, სადაც არის ადგილი 30 პროფესიული სტუდენტისათვის (ორი აუდიტორია თითოეულში 15 ადგილი), გამოყოფილია A სასწავლო გარემო, სადაც არის სამუშაო ადგილი ერთდროულად 15 პროფესიული სტუდენტისათვის, C სასწავლო გარემო სადაც არის ადგილი 15 პროფესიული სტუდენტისათვის (ოთახი N314); ასევე, პროგრამის ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ერთ კომპანიასთან - შპს გსქ კულა’’ (გორი, შინდისის გზატკეცილი) რომელიც უზრუნველყოფს 15 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ სწავლებას. კოლეჯის მიერ შეძენილი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე, პროგრამის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია 34 პროფესიულ მასწავლებელთან. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი არგუმენტების გათვალისწინებით, კოლეჯს შეუძლია ერთდროულად 15 პროფესიული სტუდენტის მიღება პროგრამაზე.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.1.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.1.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება “არჩევითი მოდულები არ გააჩნია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.1.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.**

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის N04-66 ბრძანებით (01.09.2017) დანართი N2-ით, ბოლო ცვლილება განხორციელდა 09.03.2022 წლის N04-54 ბრძანებით. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი არის კოლეჯის დირექტორი, რაც განსაზღვრულია კოლეჯის წესდების მე-5 მუხლის შემდეგი პუნქტებით: ვ) კოორდინაციას უწევს პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას შრომის ბაზრის ტენდენციების შესაბამისად; ი) საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებები განხორციელების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – ბრძანებას. ასევე, N04-111 (2018 13.12.2019) ბრძანებით დამტკიცებული წესის -„სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)" მეორე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად;

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.1.1.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება – „ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება" – სრულ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი მოიცავს ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის სპეციალისტის ფუნქცია– მოვალეობებსა და კომპეტენციებს, სახელწოდება ემთხვევა სასურსათო პროდუქტების წარმოება / Food Production ჩარჩო დოკუმენტით/საგანმანათლებლო სტანდარტით „ხილისა და ბოსტნეულის გადამუშვება" გათვალისწინებულ დასახელებას.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.1.1.7. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პროგრამის შემუშავების საფუძველი, შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტი - „რძის პროდუქტების წარმოება". პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. დაწესებულების მიერ წარმოგენილ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში წარმოდგენილია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები და სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგების განაწილების სქემა, ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა, პროგრამის განმახორციელებლები, პროგრამის მატერიალური რესურსი, პროგრამის ბიუჯეტი. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულები A2 და B1 რომელის მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.1.1.8. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სტრატეგიული განვითარების გეგმა (2020-2026) (შეთანხმებული სამეთვალყურეო საბჭოსთან ოქმი N3 29.07.2020 დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-126 30.07.2020 ცვლილება 04-38 09/03/2022)
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-69 12/07/2021 დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესი (ცვლილება 04-84 31.08.2021ცვლილება N04-104 30.09.2021)
- კოლეჯის დირექტორის N 04-03 11.01.2019 ბრძანებით (ცვლილება: N04-12) 14.02.2019დამტკიცებული,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი''
- "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N04-152 (13.12.2019) დანართი N1ცვლილება 04-122 24.07.2020 ცვლილება 04-131 13.08.2020 ცვლილება 04-190 06.10.2020 ცვლილება 04-34 15. 03.2021 ცვლილება 04-163 17/12/2021ცვლილება N04-44 09.03.2022)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთება;
- პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;
- პროგრამის განხორციელებაში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „რძის პროდუქტების წარმოება“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რძის პროდუქტების წარმოება“ დამტკიცების აქტი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რძის პროდუქტების წარმოება“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- კოლეჯის წესდება;
- ინტერვიუს შედეგები..

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება“, განხორციელებისათვის სსიპ ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი““ არსებობის ვადით, სარგებლობის უფლებით, ფლობს ძირითად სასწავლო ფართს, რომელიც მდებარეობს მცხეთის რაიონში სოფელ წინამძღვრიანთკარში, (ს/კ: 72.04.04.546) , რომლის გამოყენებითაც ხორციელდება განსახილველი პროგრამა.

   პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულების მიერ შერჩეული სასწავლო გარემო შეადგენს: A სასწავლო გარემო - შერჩეულია ერთი აუდიტორია, სადაც განთავსებულია 15 პროფესიული სტუდენტებისათვის მაგიდა და სკამი; პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის მაგიდა და სკამი; 1 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიულიგანათლების მასწავლებლისათვის; დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი, 1 ცალი; თვალსაჩინოებები; დაფა 1 ცალი, ზოგიერთი აღჭურვილობა პრაქტიკული სამუშაოსათვის. B სასწავლო გარემო - შერჩეულია ორი აუდიტორია, სადაც განთავსებულია 15-15 პროფესიული სტუდენტებისათვის მაგიდა და სკამი; პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის მაგიდა და სკამი; 15 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის; 1 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის; დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი, 1 ცალი; დაფა 1 ცალი; კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები) 1 ცალი; C



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო გარემო - შერჩეულია კოლეჯის ტერიტორიაზე არსებული ცალკე მდგომი შენობის სახით, სადაც განთავსებულია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური რესურსი. დათვალიერებისას ნანახი იქნა გაეროს პროგრამის ფარგლებში გადაცემული, სხვადასხვა დასახელების საჭირო ინვენტარი, რომელიც დამონტაჟებულია და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. არსებული ინვენტარის დასახელებები გადამოწმებისას დაემთხვა გაეროს პროგრამის ფარგლებშ გადაცემული ინვენტარის დასახელებას და რაოდენობას (მიღება-ჩაბარების აქტი).

დუალური მიდგომით სწავლების უზრუნველსაყოფად დაწესებულებასა და საწარმოებს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება ,,კულას წვენების გადამამუშვებელ საწარმოსთან (შპს გსქ კულა'' გორი, შინდისის გზატკეცილი) , რომელიც უზრუნველყოფს ერთდროულად 15 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ სწავლებას. რომლებიც ძირითადად მოიცავს საქართველოს მთავრობის 416-ე დადგენილების ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის /პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს: სასწავლო საწარმოსა და დაწესებულების საიდენტიფიკაციო მონაცემებს; პროგრამის სახელწოდებას (ქართულ ენაზე, დასამატებელია სახელწოდება ინგლისურ ენებზე); სასწავლო საწარმოსა და პროგრამის განხორციელების ადგილის მისამართებს; პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების განაწილებას დაწესებულებასა და სასწავლო საწარმოს შორის; პროგრამაზე ერთობლივად მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობას; პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის აღწერას, მათ შორის, ინფორმაციას შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის შესახებ; პროფესიული სტუდენტის სწავლის/სამუშაოს შესრულების პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო საწარმოში/დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტის გამოცხადების შესაძლებლობას და მის ჩართულობას აღნიშნულ პროცესებში; სასწავლო საწარმოს ვალდებულებებს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საწარმოში სწავლის/სამუშაოს შესრულების პერიოდში შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველყოფისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის შესახებ; ხელშეკრულების ვადას, რომელიც არ არის პროგრამის ხანგრძლივობაზე ნაკლები და ხელშეკრულების შეწყვეტის წესს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელშეკრულებაში არაა ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პროფესიული სტუდენტისთვის შრომითი ხელშეკრულების მიღმა მატერიალური/ფინანსური დახმარების გაწევის, დაზღვევის პირობების თუ სხვა ზომების შესახებ, ვინაიდან ამგვარი შეთანხმება არ არსებობს საწარმოსა და დაწესებულებას შორის;

ამ ეტაპზე პროგრამაზე ირიცხება 2 აქტიური სტუდენტი, რომლებიც პრაქტიკულ კომპონენტს გადიან ზემოაღნიშნულ საწარმოში.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებს, რომლებმაც დაადასტურეს პრაქტიკის ობიექტებზე მათი სასწავლო პროცესში ჩართულობა, წარმოადგინეს პრაქტიკის დღიურები, რომლებიც სრულყოფილად იყო შევსებული. ექსპერტთა ჯგუფმა, საწარმოს პასუხისმგებელი პირების თანდასწრებით, ადგილზე გადაამოწმა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფიზიკური არსებობა და საკმარისობა, ხელშეკრულების დანართთან მათი შესაბამისობა. პროგრამაში აღწერილი მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები შესაბამისობაშია დაწესებულებაში არსებულ რესურსებთან. ექსპერტმა მხედველობაში მიიღო სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსიც, რომლით სარგებლობის გარანტიებიც პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის შესაბამისი დოკუმენტით - ხელშეკრულებით არის გამყარებული. პრაქტიკის ობიექტი უზრუნველყოფილია ყველა საჭირო მატერიალური რესურსით, რაც მნიშვნელოვანი გარანტია იმისა, რომ სტუდენტი მიაღწევს სწავლის დაგეგმილ შედეგებს, რასაც ითვალისწინებს ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების ყველა მოდული.

კოლეჯში მოწყობილია საერთო პროფესიული მოდელების სწავლებისთვის საჭირო ლაბორატორიები, მ.შ. ქიმიის ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო რეაქტივით. კოლეჯში არსებულ ქიმიის ლაბორატორიაში ინვენტარი გამოყენებულია სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესში. შესაბამისად, კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზრვრული ყველა რესურსით სარგებლობის შესაძლებლობას.

**დაწესებულებას მიეცა ყველა დუალური პროგრამის ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების გაუმჯობესების მიზნით საერთო განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ ყველა ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია 2022 წლის 9 აგვისტოს შემდეგ, ან განიცადა ცვლილებები, სასურველია გადაიხედოს და მასში და მის დანართებში გაწერილი პირობები შევიდეს ხელშეკრულებაში პუნქტების სახით.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.2.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება“ განხორციელებაში წინამძღვრიანთკარის მისამართზე სულ ჩართულია 34 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 21 არის ზოგადი მოდულების განმახორციელებელი, 13 ახორციელებს პროფესიულ მოდულებს.

   ექსპერტთა ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა პროფესიული განათლების მასწავლებლების და ინსტრუქტორების შესახებ ინფორმაცია. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის ცხრილი, რომელიც მოიცავს მოდულით გასაზღვრული საკონტაქტო საათებით დატვირთვას. პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს. ინტერვიუში ექსპერტებს გვითხრეს რეკომენდაციის შესახებ, რომ კოლეჯში შემუშავებულიყო პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული იქნებოდა ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა. ეს საკითხი გადაჭრილია, ვინაიდან პედაგოგების ჩართულობა სხვადასხვა აქტივობებში მოდმივად ხორციელდება. ისინი უტარებენ სტუდენტებს კონსულტაციებს, ასევე მონაწილეობენ ხარისხის უზრუნველყოფის საკითხების განხორციელებაში. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა პრაქტიკის ობიექტის ინსტრუქტორთა პირადი საქმეები, მათი კვალიფიკაცია აკმაყოფილებს პროგრამის მოთხოვნებს.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - ხილისა და ბოსტნეულის გადამუშვება განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს გავლილი აქვს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ტრენინგები სწავლებასა და შეფასებაში, ასევე მათ აქვთ პროფესიული განათლების მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა პედაგოგების პირადი საქმეები. ასევე ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებლ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული მიმართულებით, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

4. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 მარტის №04-47 ბრძანებით დანიშნულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის N04-65 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობები", რომელიც ასევე განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებს. პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროგრამის ადეკვატურ განხორციელებაზე, განსაზღვრავს პრაქტიკისა და თეორიის კომპონენტებს, ზრუნავს პროგრამის შინაარსა და მის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსის განვითარებაზე, ჩართულია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში, სასწავლო პროცესის მენჯერთან ერთად ჩართულია შეფასების მტკიცებულებების შეგროვების პროცესში, პროგრამის განხორციელებისას ახორციელებს კომუნიკაციას პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიულ მასწავლებელთან, ყოველკვირეულად პროფესიული მასწავლებისგან მიწოდებული ინფორმაციების საფუძველზე განიხილავს სტუდენტთა დასწრების ჟურნალსა და პროფესიული სტუდენტის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერს შესაბამისი ღონისძიების გატარების მოთხოვნით.

პროგრამის ხელმძღვანელი არის დარგობრივი მიმართულებით შესაბამისი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების მქონე სპეციალისტი. მას უდასტურდება ასევე კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების კომპეტენცია. პროგრამის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელმძღვანელი სრულფასოვნადაა ჩართული პროგრამის განხოციელებაში და სრულად ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესის, შეფასების სისტემის, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესახებ, რაც დადგინდა პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიით ზოოინჟინერია, რომელსაც ბოლო პერიოდში შესაბამის აკრედიტირებულ ორგანოებში არ აქვს გავლილი გადამზადების კურსი სურსათის უვნებლობის სფეროში, რაც იყო რეკომენდაცია წინა ვიზიტის დროს გაცემული. მიმდინარე წარმოების დროს გამოირკვა, რომ კოლეჯის ხელმძღვანელობამ განახორციელა ცვლილება და 2022 წლის 09 მარტის N04-47 ბრძანების შესაბამისად, დაამტკიცა პროგრამის ახალი ხელმძღვანელი, რომლის სპეციალობა და კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება დარგობრივ კომპეტენციას სურსათის უვნებლობაში. ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი იქნა პედაგოგების მ.შ. ძველი პროგრამის ხელმძღვანელის მიერ გავლილი ტრენინგების და გადამზადების კურსის დამადასტურებელი სერტიფიკატები. ასევე, კოლეჯის ხელმძღვანელობამ გააფორმა ხელშეკრულება რამოდენიმე პედაგოგთან, რომელთა კომპეტენცია და სამუშაო გამოცდილება დადასტურებულია წარმოდგენილი პირადი საქმეებით და დოკუმენტაციით.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში - ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით დასტურდება ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებითა და შერჩევითი პრინციპით რამდენიმე რესურსის გადამოწმების შედეგით. ამასთან, პროგრამის მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი ელექტრონული სახით პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ელ.ფოსტაზე გაგზავნის გზით. ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.აღნიშნული საკითხები გაგვაცნო ბიბლიოთეკარმა .

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის დაწესებულებას გამოყენებული სასწავლო ლიტერატურა სწორადა აქვს შერჩეული თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით (სურსათის უვნებლობის სახელმძღვანელო; ქ. ლაფერაშვილი), ხილისა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და ბოსტნეულის გადამუშავების ტექნოლოგია - ზ. შაფათავა; ც. ნაცვლიშვილი), ხილისა და ბოსტნეულის დაკონსერვების ტექნოლოგია - თ. მაღლაკელიძე). ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა ელექტრონული ბიბლიოთეკა, პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო რესურსების სარგებლობის ფაქტი, წიგნადი ფონდის მოძრაობის სტატისტიკა. განხორციელდა ინტერვიურება პროფესიულ სტუდენტებთან, მასწავლებლებთან.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

6. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-14 მუხლით კოლეჯი ახორციელებს ინკუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას; შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილად ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს კვალიფიციური პროფესიული მასწავლებელის და ინკუზიური განათლების სპეციალისტის მეშვეობით; შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტებისთვის კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლებლის ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების გზით.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.2.1.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. ბიუჯეტის შემოსავლები დაანგარიშებულია ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით, თუმცა ხარჯის ჯამური ოდენობა არ აღემატება კოლეჯის მიერ განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარის მიხედვით დაგეგმილ შემოსავლებს. შემოსავალს შეადგენს ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება, ხოლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარჯვითი ნაწილი კლასფიცირებულია შემდეგნაირად: მასწავლებელთა ხელფასი, ძირითადი საშუალების ცვეთა, დიპლომების ბეჭდვა, რეკლამის ხარჯი, სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები, სხვა ხარჯი (ადმინისტრაციული, კომუნალური და სხვა).

ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამაზე რენტაბელობის ზღვარი არის 9 პროფესიული სტუდენტი, ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 15-ს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.7 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ხილისა და ბოსტნეულის გადამუშვება“;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცა;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N04-152 (13.12.2019) დანართი N1ცვლილება 04-122 24.07.2020 ცვლილება 04-131 13.08.2020 ცვლილება 04-190 06.10.2020 ცვლილება 04-34 15. 03.2021 ცვლილება 04-163 17/12/2021ცვლილება N04-44 09.03.2022
- „პერსონალის სამუშაო აღწერილობები“;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვები;
- ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების კატალოგი და საბიბლიოთეკო ჟურნალი;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- კოლეჯის ვებგვერდი;
- ვიზუალური დათვალიერება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის №04-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ ითვალისწინებს პროგრამის შეფასების მიდგომებს, შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზის მიზნებისათვის დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიღების მეთოდებს, სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგებს, კოლეჯის შიდა საზოგადოების - პროფესიული სტუდენტების, პროფესიული საგანათლების მასწავლებლების, პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების მიერ პროგრამის ეფექტიანობის შეფასების ანალიზსა და სხვა. კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის მართვის სპეციალისტი.

კოლეჯში შემუშავებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის კითხვარები. სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და სხვა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კმაყოფილების კვლევის შედეგებისა და ანალიზის დოკუმენტები, მათ შორის:

- შეფასებისა და საკონტაქტო საათებზე დასწრების შუალედური ანგარიში;
- სსსმ პირთა გამოკითხვის ანგარიში კოლეჯში მიღებული სერვისებით კმაყოფილების თაობაზე;
- საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის ადეკვატურობის გამოკითხვის ანგარიში;
- დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ პროგრამის შეფასების ანგარიში;
- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- კურსდამთავრებულთა კმაყოფილებისა და დასაქმების კვლევის ანგარიში;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციისა და ჩარიცხვის რაოდენობრივი მაჩვენებლები.

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების ანალიზს და იძლევა რეკომენდაციებს პროცესების გაუმჯობესების მიზნით, მაგალითად, ერთ-ერთი შეფასების დროს, პროგრამის შინაარსობრივ ნაწილთან დაკავშირებით რეკომენდაციები და შენიშვნები დასახელდა მხოლოდ ხაზვის მოდულისათვის. მასწავლებელმა კვლევაში დააფიქსირა რომ საჭიროა თემატიკის გადახედვა და ცვლილება, რაც კოლეჯმა გაითვალისწინა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-111 ბრძანებით დამტკიცებული „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“ დოკუმენტის მე-5 მუხლი არეგულირებს **პროგრამაში ცვლილებების შეტანა და განვითარების** საკითხებს, მათ შორის განსაზღვრულია - პროგრამაში ცვლილების ინიცირების უფლების მქონე პირები: ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროგრამის განმახორციელებელი ნებისმიერი პირი, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაცია, პროგრამის ხელმძღვანელი; პროგრამაში ცვლილების შეტანის ინიცირების პროცედურა; პროგრამაში ცვლილებების განხორციელების მიდგომები, მათ შორის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირების საკითხები; პროგრამის ხელმძღვანელის პროგრამის განვითარების პროცესში; პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის გამოსცემის საკითხები;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესის ეტაპებია:

ა) ინფორმაციის შეგროვება - პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით: დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა, პროგრამის შეფასება პროფესიულ სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება, დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა.

ბ) ინფორმაციის დამუშვება - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვის შედეგებისა და შეფასების შედეგების ანალიზი;

გ) გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრა - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების და სხვა პირები აანალიზებენ საგანმანათლებლო პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელ მხარეებს.

დ) რეკომენდაციების მომზადება და ცვლილებები - პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე) ცვლილებების განხორციელება - აღნიშნული რეკომენდაციების დანერგვა აქტებით განსაზღვრული მხარეების ჩართულობითა და პროცედურებით.

ზემოაღნიშნულის დასტურად დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის ბრძანებები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელების თაობაზე: №04-51 (17.04.2020); №04-135 (04.11.2021); №04-155 (10.12.2021); №04-21 (28.01.2022); №04-49 (09.03.2022)

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა მიზნობრივი კითხვების დასმის გზით განახორციელა ინტერვიურება კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, კურსდამთავრებულებთან, რომლებმაც დაადასტურეს მათ მიერ კმაყოფილების კითხვარების შევსების, მეცადინეობებზე კოლეჯის წარმომადგენელთა დასწრების ფაქტები. ინტერვიურებისას არც ერთ პირს არ გამოუთქვამს უკმაყოფილება კოლეჯის მიერ მათი მოთხოვნისა და საჭიროების უგულებელყოფის თაობაზე.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის №04-26 ბრძანებით დამკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და საკონტაქტო საათებზე დასწრების შუალედური ანგარიში;
- სსსმ პირთა გამოკითხვის ანგარიში კოლეჯში მიღებული სერვისებით კმაყოფილების თაობაზე;
- საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის ადეკვატურობის გამოკითხვის ანგარიში;
- დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ პროგრამის შეფასების ანგარიში;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- კურსდამთავრებულთა კმაყოფილებისა და დასაქმების კვლევის ანგარიში;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციისა და ჩარიცხვის რაოდენობრივი მაჩვენებლები.
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-111 ბრძანებით დამტკიცებული „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)"
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მისი დანართები;
- პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო შდეგების განაწილების სქემას, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია სასწავლო გეგმა, ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანამიმდევრულ განხორციელებას. სასწავლო გეგმების მიხედვით პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. იგი აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით, კარგად ჩანს თუ რომელი კვირიდან გადის სტუდენტი საწამოში პრატიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით. სასწავლო გეგმაში არის დამატებითი ჩანაწერი, თუ რომელ კვირაში რამდები დღეა სწავლება საწარმოში და რამდენი კოლეჯში. სასწავლო გეგმებში ზუსტადაა გადატანილი მოდულში გათვალისწინებული საათები. პროგრამის მოცულობა კრედიტებში ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს - 85 კრედიტს, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს - 115 კრედიტს. სასწავლო პროცესი ამ გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, რაც დასტურდება მეცადინეობების განრიგით და შესაბამისი პირების ინტრვიუირებით და ჩანაწერებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია პროგრამის ხელმძღვანელი და სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენს მეცადინეობის განრიგებს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას.

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის სპეციალისტი, ინკლუზიური განათლების სპეციალიტი, სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯრი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი ახორციელებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს.

სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კოლეჯში, ელ.ფოსტაზე მიწოდების გზით, ასევე განთავსებულია დაწესებულებს ოფიციალური ვებ-გვერდზე.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, დაისვა კითხვები მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი მოდულების შესახებ, ასევე გამოიკითხა პროფესიული სტუდენტები გავლილი მოდულების შესახებ. პროფესიული სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - რძის პროდუქტების წარმოება სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

2. კოლეჯის დირექტორის მიერ 13.12.2019 წლის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება N04-95 14.16.2022) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ განსაზღვრავს, დაწესებულების რეაგირების პროცესებს ფორს-მაჟორულ ვითარებაში და სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ადმინისტრირებისა და ამ პროცესში პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებს. პროფესიულ სტუდენტებთან სასწავლო პროცესის დაწყებამდე ხორციელდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, რა დროსაც მათ მიეწოდებათ ყველა ინფორმაცია პროგრამის, მათი უფლებებისა და ვალდებულებების, შესაძლებლობების, პროგრამის განხორციელების თავისებურებებისა და სხვათა შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების, კვალიფიკაციის, კრედიტის, ხანგრძლივობის ცვლილების შემთხვევაში კოლეჯი მოიპოვებს შესაბამისი პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა თანხმობას. დისტანციურ რეჟიმში სწავლების კომპონენტები გამოიყენება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფორსმაჟორული ვითარების დროს, პროფესიულ სტუდენტთა ავადობის ან დროებითი/ხანგრძლივი შეზღუდული შესაძლებლობების დროს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა დროებითი შრომისუუნარობის დროს, რაც გამორიცხავს კოლეჯის ტერიტორიაზე მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის ერთდროულად ყოფნას. სსსმ პროფესიული სტუდენტების განაწილება საწარმოში, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, ხორციელდება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის აქტიური ჩართულობით კანონიერ წარმომადგენელთან ერთად. საჭიროების შემთხვევაში, თუ ვერ ხდება პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის ობიექტზე განაწილება კოლეჯი უფლებამოსილია გადაიტანოს საწარმოო პრაქტიკა, რისთვისაც შეაქვს ცვლილება სასწავლო გეგმაში. ამავე დოკუმენტით დარეგულირებულია პროფესიულ სტუდენტთა გაცდენების საკითხები, მათ შორის განსაზღვრულია გცდენის საპატიო მიზეზები და მათი მოპოვების გზები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯში დარეგულირებულია შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, ამ მიზნებისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებსა , 'რომელთაც დაადასტურეს დაწესებულების მაქსიმალური მხარდაჭერა მათი საჭიროების შესაბამისად, ასევე აღნიშნეს, რომ თუ რაიმე საჭიროება დგება კოლეჯი მყისიერად რეაგირებს და ხელს უწყობს მათ სასწავლო პროცესში

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები და ისინი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისია. აღნიშნული ნაწილი ემთხვევა შესაბამის საგანმანათლებლო სტანდარტს. სასწავლო პროცესში სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება დასტურდება პრაქტიკის ობიექტის/პარტნიორ ორგანიზაციაში არსებული რესურსით, მისი ადგილით ბაზარზე. პროფესიული განათლების მასწავლებელთა გადამზადების მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და დაწესებულების მიერ ტარდება ტრენინგები სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებისა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დარგის თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობის მიზნით. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა სასწავლო გარემო. პროგრამის შესაბამისი სასწავლო გარემო უზრუნველყოფილია თანამედროვე ხელსაწყოებითა და ინვენტარით. სასწავლო გარემოში არსებობს ამ გარემოს შესაბამისი ინვენტარი. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „თემატურ - კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის წესი“, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 14.02.2019 წლის ბრძანებით N04-12 (ცვლილება 15.03.2021 წლის N04-32 ბრძანებით). აღნიშნული რეგულაციით პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის შემუშავებულია კალენდარული გეგმის შემუშავების მიდგომები და პროცედურები. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.3. ინდიკატორი სრულად დაკმაყოფილებული.**

4. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა, ასევე თუ რა დროს დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება: ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის (სსსმ პირებისთვის); ბ) პროფესიული სტუდენტის მობილობისას (საჭიროებისამებრ); გ) სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის (საჭიროებისამებრ); დ)მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას; ე) პროფესიული სტუდენტებისთვის ფორს-მაჟორული ვითარების დროს (საჭიროებისამებრ). კოლეჯს აღნიშნულ პროგრამაზე 2019 წლის მიღებზე ჰყავდა ერთი სსსმ პირი. თუმცა ამ ეტაპზე ასეთი პირი არ ფიქსირედება.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

7. დუალური მიდგომით სწავლების უზრუნველსაყოფად დაწესებულებასა და საწარმოებს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება ,,კულას წვენების გადამამუშვებელ საწარმოსთან (შპს გსქ კულა’’ გორი, შინდისის გზატკეცილი) , რომელიც უზრუნველყოფს ერთდროულად 15 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ სწავლებას. პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენელი ადასტურებს კოლეჯთან კონსტრუქციულ თანამშრომლობას, ასაბუთებს ამ თანამშრომლობის მნიშვნელობას და მზად არის უზრუნველყოს კურსდამთავრებულთა დასაქმება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან დაწესებულება თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

8. დაწესებულებაში უსაფრთხოების მიმართ ზოგადი მოთხოვნები შესაბამისი სტანდარტითაა განსაზღვრული. თეორიული სწავლება არ ითვალისწინებს განსაკუთრებულ უსაფრთხოების წესების დაცვას, რაც შეეხება სასწავლო საწარმოებს, იქ საწარმოები ხელშეკრულებით იღებენ პასუხისმგებლობას დაიცვან შრომის უსაფრთხოების წესები, გამართული იყოს მანქანა-დანადგარები, რომელსაც პერიოდულად შემოწმებას ჩაუტარებს შრომის უსაფრთხოების სპეციალსიტი, სტუდენტებს გააცნობენ უსაფრთხოების წესებს და გამოყოფენ პირს, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა საწარმოში ყოფნის დროს მათ უსაფრთხოებას.

წინა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია რომ „სტუდენტის დღიურს“ დაემატოს ცალკე უსაფრთხოების საკითხებზე ინსტრუქტაჟის ჩატარების ნაწილი, სადაც სტუდენტები შეიტანენ უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის თემას, და ხელმოწერით დაადასტურებენ უსაფრთხოების წესების გაცნობას თარიღების მიხედვით - ეს რეკომენდაცია, არ დასტურდება ჩანაწერებით, მაგრამ პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან საუბრისას, მათ აღნიშნეს, რომ სტუდენტის ყოველი დაშვება დანადგართან ითვალისწინებს უსაფრთხოების ნირმების ახსნას და დაცვას, რომლის ინსტრუქტაჟზეც წარმოების ჟურნალებში აწერენ ხელს სტუდენტები. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- საგანმანათლებლო პროგრამა „ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება“;
- სასწავლო და კალენდარული გეგმები;
- პარტიორ კომპანიასტან სს ენერგო პრო ჯორჯიასთან გაფორმებული მემორანდუმი;
- ინდ. სასწავლო გეგმა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი და ფაქტობრივი მდგომარეობა;
- განმახორციელებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები.

*შეფასება:*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის VIII თავი განსაზღვრავს შეფასების სისტემას, შეფასების ინსტრუმენტებსა და შეფასების უწყისის წარმოების მექანიზმებს. შიდა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მარეგულირებელი აქტი ადგენს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური შეფასების სისტემის არსებობის სავალდებულოობას.

შეფასების ინსტრუმენტებს ადგენს პროფესიული განათლების მასწავლებელი. კოლეჯის მიერ დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტების ფორმა და განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტების წარმოდგენის ვადები.

პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენის შემდეგ, სასწავლო პროცესის მენეჯერი ვალიდაციის პროცესში რთავს პროგრამის ხელმძღვანელს ან სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს, რომლებიც ახორციელებენ შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას. სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური და პროგრამის ხელმძღვანელი - შინაარსობრივი მხარის შემოწმებას. ხარვეზების შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტი უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს რეკომენდაციებით/შენიშვნებით/მითითებებით, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარადგინოს შესწორებული სახით. შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტი გამოიყენება პროფესიულ სტუდენტის შეფასების მიზნებისათვის. დაუშვებელია შეფასების დროს ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, რომელიც არ არის შეთანხმებული კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან.

კოლეჯში დარეგულირებულია განმეორებითი შეფასებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმებიც, რომელთა შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების საკითხი დადასტურებულ იქნა პროფესიულ სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის შევსებული ფორმები, რიგ შემთხვევებში გაცემულია რეკომენდაციები.

შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაციისა და შეფასების ადმინისტრირების პროცესები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და დაცულია სამართლიანობის პრინციპები, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ნაწილში, რაც დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსერტთა ჯგუფის ინტერვიურების გზით, მათ შორის კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთათვის შეფასების შედეგების გაცნობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N04-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმებს. შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია ვერიფიკაციის მიზნები, ვერიფიკაციის პროცესის ადმინისტრირების საკითხები, მათ შორის ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები, ვერიფიკაციის პროცესიში რისკ ფაქტორების განსაზღვრის წესი, ვერიფიკაციის დასკვნების შედგენისა და განხილვის მიდგომები, რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმის შედგენისა და ამ გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

3. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესის** VIII თავი განსაზღვრავს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების/მონაცემების/ინფორმაციის სათანადო აღრიცხვის, შევსებისა და შენახვის წესებს.

   შევსებული შეფასების ინსტრუმენტები ინახება კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან ან/და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში. შეფასების უწყისი ინახება უვადოდ.

   პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგები ფორმდება შესაბამისი უწყისით. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს/ინფორმაციას/მტკიცებულებებს გადასცემს კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერს ან პროგრამის ხელმძღვანელს სათანადო აღრიცხვის მიზნით. საბოლოოდ კი პროგრამის ხელმძღვანელი მონაცემებს გადასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომელიც მტკიცებულებებს აღრიცხავს ელექტრონული ან მატერიალური ჟურნალის საშუალებით.

   მტკიცებულებების აღრიცხვის ჟურნალს ავსებს სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, პროფესიული სტუდენტების სახელი და გვარი, ჯგუფის ნომერი, პროგრამის დაწყებისა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასრულების თარიღი, პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა, მტკიცებულებების შენახვის ადგილი. მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით იქნა გადამოწმებული.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

4. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესის** VIII თავი განსაზღვრავს შეფასების შედეგების გათვალისინებას პროფესიული სტუდენტების სწავლის პროცესის გაუმჯობესებისათვის.

პროფესიულ სტუდენტს სხვადასხვა გზით აქვს კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის მენეჯერისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, დამატებითი საათების განმავლობაში, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით.

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია დირექტორის მიერ საკვალიფიკაციო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის შედეგად ხდება პროფესიული სტუდენტისათვის რეკომენდაციების გაცემა, პროგრამის განვითარება, მოდულების რიგითობის განსაზღვრა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი, საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.
აღნიშნული მექანიზმების ეფექტიანობა დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და კურსდამთავრებულებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესი;
- კოლეჯის მიერ დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტების ფორმა;
- შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის შევსებული ფორმები;
- პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოები;
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N04-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მისი დანართები;
- ვერიფიკაციის ანგარიში;
- პროფესიულ სტუენტებთან, პერსონალთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7.აღმზრდელი

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | „აღმზრდელი“ |
| პროფესიული განათლების დონე | უმაღლესი(მე-5 დონე) |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში / Higher Vocational Qualification in Preschool Education |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0112 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | დამტკიცება:15/03/2021 N 04-31/ ბოლო ცვლილება: 15/02/2023 N 04-39 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | • მცხეთა-მთიანეთი; მცხეთა სოფ. წინამძღვრიანთკარი; „ა(ა)იპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“ |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 30 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს*(არსებობის შემთხვევაში).* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 116 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 146 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

*7.აღმზრდელი*

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | სრულ შესაბამისობაშია |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | | სრულ შესაბამისობაშია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1. წარმოდგენილი მოდულური პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ერთი A და ერთი B გარემო. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტების მიერ მოხდა აღნიშნული აუდიტორიების გადამოწმება, აღმოჩნდა, რომ თითოეული მათგანი აღჭურვილია საჭირო რესურსით 15 პროფესიულ სტუდენტზე. კერძოდ დაწესებულებას მფლობელობაში აქვს 15 პროფესიული სტუდენტისათვის მაგიდა და სკამი; პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის 1 მაგიდა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკამი; 1 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის; 1 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების სტუდენტებისათვის; 1 ცალი დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი; დაფა 1 ცალი; კომბაიანი 1 ცალი.

საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ ითვალისწინებს ორი პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებასთან (18.03.2022 #031). ვიზიტის მიმდინარეობისას კოლეჯმა წარმოადგინა ასევე მემორანდუმის დანართი, რომელიც მოიცავს გაერთიანებაში შემავალ 29 სკოლამდელი დაწესებულების ნუსხას, სადაც შესაძლებელი იქნება კოლეჯის პროფესიული სტუდენტების პრაქტიკით უზრუნველყოფა.

ვიზიტის მიმდინარეობისას გასაუბრება შედგა პრაქტიკის ხელმძღვანელთან, რომელმაც აღნიშნა, რომ მიმდინარე პერიოდში პროფესიული სტუდენტები პრაქტიკულ კომპონენტს გადიან ორ ახლომდებარე ბაღში. ექსპერტებმა მოინახულეს ერთ–ერთი მათგანი, აღმოჩნდა, რომ აღნიშნული ბაგა–ბაღი დაკომპლექტებულია აღსაზრდელთა ოთხი სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფით. როგორც პრაქტიკის ხელმძღვანელმა აღნიშნა, სტუდენტებს საშუალება აქვთ, მონაცვლეობით გადანაწილდნენ აღსაზრდელთა ჯგუფებში, რაც საშუალებას მისცემს მათ დააკვირდნენ და შეისწავლონ ბავშვის ასაკობრივი თავისებურებები, თვალი მიადევნონ სასწავლო–სააღმზრდელო პროცესს, გაეცნონ ბაგა–ბაღში მოქმედ დღის რეჟიმსა და აქტივობებს და თავად განახორციელონ აღნიშნული აქტივობები, მითითებული დავალებისა და ბაგა–ბაღის სასწავლო თემატიკის მიხედვით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტების შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯისა და პარტნიორი კომპანიის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, თუმცა სასურველია პარტნიორი ორგანიზაცია მეტად იყოს გათვითცნობიერებული აღნიშნული პროფესიული პროგრამის და მის ფარგლებში, საკუთარ დაწესებულებაში განსახორციელებელი მოდულის, ასევე საკუთარი უფლება–ვალდებულებების შესახებ, ამისათვის, კოლეჯის ადმინისტრაცია პარტნიორი ორგანიზაციას პრაქტიკის დაწყებამდე უნდა აწვდიდეს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმაციას, პრაქტიკის დაწყებისა და დასრულების, პროფესიული სტუდენტებისა და ასევე მისი დაწესებულების ფარგლებში განსახორციელებელი მოდულის შესახებ.

**შესაბამისად, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია და დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელებაში ჩართულია 22 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 13 პროფესიული მოდულის, ხოლო 9 ზოგადი მოდულის განმახორციელებელი პირი, რომლებთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები თითოეულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა და უფლება მოვალეობები, მოდულების დასახელება, რომლის განსახორციელებაც ევალება კონკრეტულ პირს, სამუშაოს ანაზღაურების, შვებულებისა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესები.

   პროფესიულ მასწავლებელთა ძირითადი მოვალეობები და ფუნქციები, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო კომპეტენცია და უნარები განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართით.

   **ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია და დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

3. პერსონალის პირადი საქმეების შესწავლითა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. ყველა მათგანს აქვს პრაქტიკული გამოცდილება აღნიშნულ პროფესიაში. პერსონალს გავლილი აქვს ტრენინგები სწავლებასა და შეფასებაში.

   წინა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მხრიდან შეფასების მტკიცებულებებისა და ვერიფიკაციის შედეგების შესწავლის შედეგად გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა პერსონალის გადამზადბას კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიმართულებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნა კოლეჯის მხრიდან, რაც დადასტურდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ტერნინგზე დასწრების ფურცლებითა და გასაუბრებით.

დაწესებულენბის მხრიდან შეფასების ინსტუმენტების, კალენდარული გეგმისა და უწყისების წარმოებასთან დაკავშირებით გადამზადებული იქნა 6 პროფესიული მასწავლებელი.

**ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია და დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

4. წინა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია, ინდიკატორი 2.2.1.4 შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამას არ ჰყავდა დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. აღნიშნული შეუსაბამობა გამოსწორდა დწესებულების მიერ, კოლეჯის დირექორის 2022 წლის 24 აგვისტოს #04–136 ბრძანებით მოხდა პროგრამის ხელმძღვანელის ცვლილება და პროფესიული პროგრამის „აღმზრდელი“ ხელმძღვანელად დაინიშნა დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი.

   ექსპერტების მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისა და მისი პირადი საქმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია, დარგობრივი მიმართულებით ფლობს შესაბამის კვალიფიკაციას. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურადაა ჩართული პროგრამის განხოციელებაში და სრულად ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესის, შეფასების სისტემის, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესახებ, რაც დადგინდა პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას. **ინდიკატორის 2.2.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების ბიბლიოთეკა, დათვალიერების და შერჩევითი პრინციპით რამოდენიმე რესურსის გადამწმების შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით, რომელიც ჩატვირთულია კოლეჯში არსებულ კომპიუტერში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის ელ.ფოსტაზე გაგზავნის გზით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. შესაბამისად, დასტურდება, **რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში და ინდიკატორის 2.2.1.5 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. დაწესებულების საგანმანათლებლო და დამხმარე სივრცეები ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. ამიტომ პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომა სსსმ პირებისთვის პრობლემას არ წარმოადგენს. ამჟამად აღნიშნულ პროგრამაზე არ ფიქსირდება არცერთი სსსმ პირი.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.2.1.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

7. **„აღმზრდელის“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. ბიუჯეტის შემოსავლები დაანგარიშებულია კოლეჯის მიერ განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარის მიხედვით.

   შემოსავალს შეადგენს ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება, ხოლო ხარჯვითი ნაწილი კლასიფიცირებულია შემდეგნაირად: მასწავლებელთა ხელფასი, ძირითადი საშუალების ცვეთა, მასალა-ნედლეულის ხარჯი, პროგრამის განვითარების ხარჯი, დიპლომების ბეჭდვა, სხვა ხარჯი (ადმინისტრაციული, კომუნალური და სხვა).

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

   **დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

   - პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსების, მ. შ. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
   - პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ვიზუალური დათვალიერება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დაწესებულების პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- პროგრამის განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას**

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სასწავლო გეგმას, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანამიმდევრულ განხორციელებას. სასწავლო გეგმების მიხედვით პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. იგი აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო გეგმებში ზუსტადაა გადატანილი მოდულში გათვალისწინებული საათები. სასწავლო პროცესი ამ გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, რაც დასტურდება მეცადინეობების განრიგით და შესაბამისი პირების ინტრვიუირებით.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

2. კოლეჯის დირექტორის მიერ 13.12.2019 წლის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება N04-95 14.16.2022) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, სადაც არის ჩანაწერი, თუ როგორ რეაგირებს დაწესებულება ფორს-მაჟორულ ვითარებაში. კერძოდ, „დისტანციურ რეჟიმში სწავლების კომპონენტები გამოიყენება ფორსმაჟორული ვითარების დროს, პროფესიულ სტუდენტთა ავადობის ან დროებითი/ხანგრძლივი შეზღუდული შესაძლებლობების დროს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა დროებითი შრომისუუნარობის დროს, რაც გამორიცხავს კოლეჯის ტერიტორიაზე მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის ერთდროულად ყოფნას“ და ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

   სასწავლო პროცესის მენეჯერთან გასაუბრებით გაირკვა, რომ პანდემიიდან გამომდინარე სასწავლო პროცესი გადაყვანილი იქნა დისტანციურ სწავლებაზე და წარმოადგინა შესაბამისი ბრძანება (07.12.2020 წლის N04-234 ბრძანება). სტუდენტების დახმარებაც განხორციელდა, რამოდენიმე მათგანს ლეპტოპები გადასცეს დროებითი სარგებლობისთვის. დაწესებულებას გააჩნია საერთო საცხოვრებელი სტუდენტებისთვის.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, ის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისია. სასწავლო პროცესში სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება დასტურდება პრაქტიკის ობიექტის/პარტნიორ ორგანიზაციაში არსებული რესურსით, მისი ადგილით ბაზარზე. პროფესიული განათლების მასწავლებელთა გადამზადების მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და დაწესებულების მიერ ტარდება ტრენინგები სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობის მიზნით.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.3. ინდიკატორი სრულად დაკმაყოფილებული.**

4. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში" გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა, ასევე თუ რა დროს დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება: ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის (სსსმ პირებისთვის); ბ) პროფესიული სტუდენტის მობილობისას (საჭიროებისამებრ); გ) სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის (საჭიროებისამებრ); დ)მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას; ე) პროფესიული სტუდენტებისთვის ფორს-მაჟორული ვითარების დროს (საჭიროებისამებრ). კოლეჯს აღნიშნულ პროგრამაზე 2019 წლის მიღებზე ჰყავდა ერთი სსსმ პირი. თუმცა ამ ეტაპზე ასეთი პირი არ ფიქსირდება.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

5. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებასთან (18.03.2022 #031). ვიზიტის მიმდინარეობისას კოლეჯმა წარმოადგინა ასევე მემორანდუმის დანართი, რომელიც მოიცავს გაერთიანებაში შემავალ 29 სკოლამდელი დაწესებულების ნუსხას, სადაც შესაძლებელი იქნება კოლეჯის პროფესიული სტუდენტების პრაქტიკით უზრუნველყოფა.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან დაწესებულება თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. დაწესებულებაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, საკლასო ოთახში განთავსებულია პირველადი დახმარების ყუთი, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია უსაფრთხოების წესები, გამაფრთხილებელი, ამკრძალავი და დამშვები ნიშნები, სამუშაო ლაბორატორიაში არის ქსელური დამიწება. ინტერვიურებით გაირკვა, რომ სტუდენტების უსაფრთხოებაზე იდენტიფიცირებულია პასუხისმგებელი პირი - მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით,**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“;
- სასწავლო და კალენდარული გეგმები;
- პარტიორ კომპანიასტან სს ენერგო პრო ჯორჯიასთან გაფორმებული მემორანდუმი;
- ინდ. სასწავლო გეგმა;
- დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი და ფაქტობრივი მდგომარეობა;
- განმახორციელებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები.

*შეფასება:*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესის VIII თავი განსაზღვრავს შეფასების სისტემას, შეფასების ინსტრუმენტებსა და შეფასების უწყისის წარმოების მექანიზმებს. შიდა მარეგულირებელი აქტი ადგენს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური შეფასების სისტემის არსებობის სავალდებულოობას.

შეფასების ინსტრუმენტებს ადგენს პროფესიული განათლების მასწავლებელი. კოლეჯის მიერ დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტების ფორმა და განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტების წარმოდგენის ვადები.

პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენის შემდეგ, სასწავლო პროცესის მენეჯერი ვალიდაციის პროცესში რთავს პროგრამის ხელმძღვანელს ან სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს, რომლებიც ახორციელებენ შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას. სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური და პროგრამის ხელმძღვანელი - შინაარსობრივი მხარის შემოწმებას. ხარვეზების შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტი უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს რეკომენდაციებით/შენიშვნებით/მითითებებით, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარადგინოს შესწორებული სახით. შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტი გამოიყენება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტის შეფასების მიზნებისათვის. დაუშვებელია შეფასების დროს ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, რომელიც არ არის შეთანხმებული კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან.

კოლეჯში დარეგულირებულია განმეორებითი შეფასებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმებიც, რომელთა შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების საკითხი დადასტურებულ იქნა პროფესიულ სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის შევსებული ფორმები, რიგ შემთხვევებში გაცემულია რეკომენდაციები.

შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაციისა და შეფასების ადმინისტრირების პროცესები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და დაცულია სამართლიანობის პრინციპები, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ნაწილში, რაც დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსერტთა ჯგუფის ინტერვიურების გზით, მათ შორის კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთათვის შეფასების შედეგების გაცნობა.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N04-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმებს. შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია ვერიფიკაციის მიზნები, ვერიფიკაციის პროცესის ადმინისტრირების საკითხები, მათ შორის ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები, ვერიფიკაციის პროცესიში რისკ ფაქტორების განსაზღვრის წესი, ვერიფიკაციის დასკვნების შედგენისა და განხილვის მიდგომები, რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმის შედგენისა და ამ გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესის** VIII თავი განსაზღვრავს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების/მონაცემების/ინფორმაციის სათანადო აღრიცხვის, შევსებისა და შენახვის წესებს.

   შევსებული შეფასების ინსტრუმენტები ინახება კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან ან/და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში. შეფასების უწყისი ინახება უვადოდ.

   პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგები ფორმდება შესაბამისი უწყისით. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს/ინფორმაციას/მტკიცებულებებს გადასცემს კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერს ან პროგრამის ხელმძღვანელს სათანადო აღრიცხვის მიზნით. საბოლოოდ კი პროგრამის ხელმძღვანელი მონაცემებს გადასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომელიც მტკიცებულებებს აღრიცხავს ელექტრონული ან მატერიალური ჟურნალის საშუალებით.

   მტკიცებულებების აღრიცხვის ჟურნალს ავსებს სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, პროფესიული სტუდენტების სახელი და გვარი, ჯგუფის ნომერი, პროგრამის დაწყებისა და დასრულების თარიღი, პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა, მტკიცებულებების შენახვის ადგილი. მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით.

   კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით იქნა გადამოწმებული.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

4. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესის** VIII თავი განსაზღვრავს შეფასების შედეგების გათვალისინებას პროფესიული სტუდენტების სწავლის პროცესის გაუმჯობესებისათვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტს სხვადასხვა გზით აქვს კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის მენეჯერისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, დამატებითი საათების განმავლობაში, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით.

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია დირექტორის მიერ საკვალიფიკაციო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის შედეგად ხდება პროფესიული სტუდენტისათვის რეკომენდაციების გაცემა, პროგრამის განვითარება, მოდულების რიგითობის განსაზღვრა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი, საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

აღნიშნული მექანიზმების ეფექტიანობა დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და კურსდამთავრებულებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესი;
- კოლეჯის მიერ დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტების ფორმა;
- შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის შევსებული ფორმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოები;
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N04-26  ბრძანებით  დამტკიცებული „ხარისხის  უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მისი დანართები;
- ვერიფიკაციის ანგარიში;
- პროფესიულ სტუენტებთან, პერსონალთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**8.„ელექტროობა“**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | „ელექტროობა“ |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | საბაზო(მე-3 დონე) |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში / Basic Vocational Qualification in Electricity |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0713 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | პროგრამის დამტკიცება:01/09/2017 N 04-66/ ბოლო ცვლილება:07/03/2023 N 04-49 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | მცხეთა-მთიანეთი, მცხეთა, სოფ. წინამძღვრიანთკარი |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 30 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 52 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 67 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

*ელექტროობა*

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | სრულ შესაბამისობაშია |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | | სრულ შესაბამისობაშია |

### 2.4 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამა ხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსით. ექსპერტთა ჯგუფმა გადავამოწმეთ რესურსების ფიზიკური არსებობა და საკმარისობა. საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა"-ს განსახორციელებლად გათვალისწინებული აქვს A.B.C გარემო მისამართზე - მცხეთის რაიონი, სოფელი წინამძღვრიათკარი. დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამაის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია - სახელმწიფო შესყიდვის; მიღება ჩაბარების აქტები; ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს დოკუმენტაციით წარმოდგენილი მატერიალური რესურსის არსებობას დაწესებულებაში. ყველა რესურსი ხელმისაწვდომია მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

   **A სასწავლო გარემო აუდიტორია № 106 – 15 სტუდენტზე,** თეორიული მეცადინეობის და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც აღჭურვილია პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით (15 მაგიდა და სკამი); პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (1 მაგიდა და სკამი); დემონსტრირების ციფრული საშუალება -პროექტორი, დაფა, კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის.

   **B სასწავლო გარემო, ლაბორატორია N 209 -15 სტუდენტზე,** რომელიც სრულადაა აღჭურვილი პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით (15 მაგიდა და სკამი -15 კომპიუტერი) პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (1 მაგიდა და სკამი) და 1 კომპიუტერით, პროექტორი, დაფა.

   **C- სასწავლო გარემოს ლაბორატორია, N 306 -15 სტუდენტზე.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღჭურვილია პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით (15 მაგიდა და სკამი); პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (1 მაგიდა და სკამი); დაფა, კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის. სამუშაო გარემოში განთავსებულია: მოძრავი სტენდი პრაქტიკული დავალებისთვის; ვოლტმერი; ამპერმეტრი ციფრული; ცვლადი დენის კონდესატორი; ერთ სხივიანი ოსცილოგრაფი; ლაბორატორიული რეოსტატი; სიხშირმზომი, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია მოქცევის წესები, ოთახში განთავსებულია პირველადი დახმარების ყუთი. აღჭურვილობა ხელმისაწვდომია მასწავლებლებისთვის, სტუდენტებისთვის და გამოიყენება საწავლო პროცესში.

პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას გაფორმებული აქვს **ხელშეკრულება ს/ს "ენერგო-პრო ჯორჯიასთან". 30 სტუდენტზე, ერთჯერადად 15-15 პროფესიული სტუდენტისთვის გაცნობითი პრაქტიკის მიზნით,** ხელშეკრულება უვადოა. კომპანია გამოხატავს კეთილ ნებას პროფესიულ კოლეჯთან თამაშრომლობაზე პროფესიულ დარგის განვითარებაში. პროცესში.

დაწესებულებაში წინა ვიზიტის დროს გმოვლინდა შემდეგი გარემეობები, კერძოდ; **C-სასწავლო გარემოში არ იყო 220/380 V კარადა, სადაც პრაქტიკული მეცადინეობის დროს უნდა მოხდეს ძაბვის დაერთება.**

პროფესიული პროგრამა „ელექტროობის" საერთო პროფესიული მოდულის „საინჟინრო ხაზვის" ერთ-ერთი სწავლის შედეგია „საინჟინრო ნახაზების შექმნა კომპიუტერზე დაფუძნებული ხაზვის სისტემით **(CAD)", წინა ვიზიტის დროს სასწავლო გარემო არ იყო შესაბამისი** პროგრამით უზრუნველყოფილი.

**ექსპერტთა ჯგუფმა წინა ვიზიტის ფარგლებში გასცა შესაბამისობის რეკომენდაცია - დაწესებულებამ „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით" დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაწესებულების მფლობელობაში არსებულ შესაბამისი სასწავლო გარემო მატერიალური რესურსებით, კერძოდ, C-სასწავლო გარემოში განთავსდეს 220/380 V კარადა, სადაც პრაქტიკული მეცადინეობის დროს უნდა მოხდეს ძაბვის დაერთება, განხორციელდეს B სასწავლო გარემოს CAD პროგრამით უზრუნველყოფა და დაკონკრეტდეს პარტნიორ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.**

**მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა გადავამოწმეთ წინა ვიზიტის დროს გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციები, რეკომენდაციები შესრულებულია: დასტურდება ვიზუალური დათვალიერებით, ფოტო გადაღებით და დოკუმენტაციით, კერძოდ; C**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**სასწავლო ლაბორატორიაში შეყვანილია 220/380 V ძაბვა და ქსელური დამიწება, მოწყობილი სამუშაო სტენდები პრაქტიკული დავალებისთვის, ასევე პროგრამის ხელმძღვანელმა გასაუბრების დროს გვაჩვენა ფეისფუქ გვერდზე განთავსებული C ლაბორატორიაში შესრულებული აქტივობები, ვიდეო რგოლები; B სასწავლო გარემო უზრუნველყოფილია (CAD) პროგრამით.**

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.2.1.1. ინდიკატორი სრულად დაკმაყოფილებული.**

2. საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობის" განმახორციელებელი ადამიანური რესურსის და კვალიფიკაციის, მათი დატვირთვის გადამოწმების მიზნით, ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა განმახორციელებლების პირადი საქმეები და ასევე გადამოწმდა მათი ჩართულობა დაწესებულების სხვა საგანმანათლებლო პროგრამებში.

   დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები, სადაც მითითებულია სახელი, გვარი, კვალიფიკაცია/მუშაობის გამოცდილება, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ, ნასამართლეობის ცნობა. პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები შედგება: პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, დიპლომი, სერთიფიკატები, ცნობა სამუშაო ადგილიდან და მომსახურების ხელშეკრულება მოდულების ჩამონათვალით; სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ, ნასამართლეობის ცნობა. აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად გაირკვა, ელექტროობის სასწავლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობაა 21, მათ შორის, პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელია 8 პირი. პროფესიული მასწავლებლების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

   **2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას,**

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, დასტურდება განათლების დამადასტურებელი დიპლომით, მასწავლებლად მუშაობის გამოცდილებით, სამასწავლებლო კურსის ტრენინგის გავლის სერთიფიკატით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული პროგრამა „ელექტროობის“ საერთო პროფესიული მოდულის „საინჟინრო ხაზვის“ ერთ-ერთი სწავლის შედეგია „საინჟინრო ნახაზების შექმნა კომპიუტერზე დაფუძნებული ხაზვის სისტემით (CAD)“ , განმახორციელებელ პირს არ უდასტურდებოდათ აღნიშნული სწავლის შედეგის შესაბამისი კვალიფიკაცია და არც პროგრამულად იყო უზრუნველყოფილი ამ მოდულის განხორციელება.

**ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა გადავამოწმეთ წინა ვიზიტის დროს გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციები, რეკომენდაციები შესრულებულია: დაწესებულებამ „საინჟინრო ხაზვა“ მოდულისთვის გააფორმა ერთ პროფესიულ მასწავლებელთან ხელშეკრულება, პროგრამა „ელექტროობის“ დასრულებამდე . დასტურდება კვალიფიკაცია, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაციით და პროფესიულ მასწავლებლად მუშაობის გამოცდილებით.**

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.2.1.3. ინდიკატორი სრულად დაკმაყოფილებული.**

4. პსდ-ს მიერ განსაზღვრულია დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის დირექტორის 09.03.2022 წლის N04-47 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის ხელმძღვანელი, რომლის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება სრულად შეესაბამება კოლეჯის მარეგულირებელი დებულებებით საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. ვიზიტის დროს გადამოწმდა ელექტროობის პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე რომელიც შედგებოდა: პროფესიულ კოლეჯთან გაფორმებული სამუშაო ხელშეკრულება; უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი; პროფესიულ მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება, შრომის წიგნაკი, პროფესილი მასწავლებლის კურსის გავლის სერთიფიკატები. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიურების დროს მან აღინიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობას იღებდა პროგრამის შემუშავების პროცესში.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.2.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

5. ვიზიტის ფარგლებში მოხდა საბიბლიოთეკო სივრცის დათვალიერება, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსების გადამოწმება. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური სახით დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესის მიზნებისათვის.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.2.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში**

6. დაწესებულების საგანმანათლებლო და დამხმარე სივრცეები ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. ამიტომ პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომა სსსმ პირებისთვის პრობლემას არ წარმოადგენს. ამჟამად აღნიშნულ პროგრამაზე არ ფიქსირდება არცერთი სსსმ პირი.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.2.1.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

7. **„ელექტროობის“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. ბიუჯეტის შემოსავლები დაანგარიშებულია კოლეჯის მიერ განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარის მიხედვით.

   შემოსავალს შეადგენს ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება, ხოლო ხარჯვითი ნაწილი კლასიფიცირებულია შემდეგნაირად: მასწავლებელთა ხელფასი, ძირითადი საშუალების ცვეთა, მასალა-ნედლეულის ხარჯი, პროგრამის განვითარების ხარჯი, დიპლომების ბეჭდვა, სხვა ხარჯი (ადმინისტრაციული, კომუნალური და სხვა).

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

   **დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

   - პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსების, მ. შ. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ვიზუალური დათვალიერება;
- დაწესებულების პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- პროგრამის განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას**

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სასწავლო გეგმას, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანამიმდევრულ განხორციელებას. სასწავლო გეგმების მიხედვით პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. იგი აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო გეგმებში ზუსტადაა გადატანილი მოდულში გათვალისწინებული საათები. პროგრამის მოცულობა კრედიტებში ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს - 52 კრედიტს, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს - 67 კრედიტს. სასწავლო პროცესი ამ გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, რაც დასტურდება მეცადინეობების განრიგით და შესაბამისი პირების ინტრვიუირებით.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

2. კოლეჯის დირექტორის მიერ 13.12.2019 წლის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება N04-95 14.16.2022) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, სადაც არის ჩანაწერი, თუ როგორ რეაგირებს დაწესებულება ფორს-მაჟორულ ვითარებაში. კერძოდ, „დისტანციურ რეჟიმში სწავლების კომპონენტები გამოიყენება ფორსმაჟორული ვითარების დროს, პროფესიულ სტუდენტთა ავადობის ან დროებითი/ხანგრძლივი შეზღუდული შესაძლებლობების დროს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა დროებითი შრომისუუნარობის დროს, რაც გამორიცხავს კოლეჯის ტერიტორიაზე მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის ერთდროულად ყოფნას“ და ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესის მენეჯერთან გასაუბრებით გაირკვა, რომ პანდემიიდან გამომდინარე სასწავლო პროცესი გადაყვანილი იქნა დისტანციურ სწავლებაზე და წარმოადგინა შესაბამისი ბრძანება (07.12.2020 წლის N04-234 ბრძანება). სტუდენტების დახმარებაც განხორციელდა, რამოდენიმე მათგანს ლეპტოპები გადასცეს დროებითი სარგებლობისთვის. დაწესებულებას გააჩნია საერთო საცხოვრებელი სტუდენტებისთვის.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, ის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისია. სასწავლო პროცესში სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება დასტურდება პრაქტიკის ობიექტის/პარტნიორ ორგანიზაციაში არსებული რესურსით, მისი ადგილით ბაზარზე. პროფესიული განათლების მასწავლებელთა გადამზადების მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და დაწესებულების მიერ ტარდება ტრენინგები სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობის მიზნით. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა სასწავლო გარემო. პროგრამის შესაბამისი სასწავლო გარემო უზრუნველყოფილია თანამედროვე ხელსაწყოებითა და ინვენტარით. სასწავლო გარემოში არსებობს ამ გარემოს შესაბამისი ინვენტარი.

პროფესიული პროგრამა „ელექტროობის“ საერთო პროფესიული მოდულის „საინჟინრო ხაზვა“ ითვალისწინებს „საინჟინრო ნახაზების შექმნას კომპიუტერზე დაფუძნებული ხაზვის სისტემით (CAD)“, რაც უზრუნველყოფილია როგორც პროგრამულად ისე ადამიანური რესურსით.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.3. ინდიკატორი სრულად დაკმაყოფილებული.**

4. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა, ასევე თუ რა დროს დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება: ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის (სსსმ პირებისთვის); ბ) პროფესიული სტუდენტის მობილობისას (საჭიროებისამებრ); გ) სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის (საჭიროებისამებრ); დ)მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტის გადაყვანისას; ე) პროფესიული სტუდენტებისთვის ფორს-მაჟორული ვითარების დროს (საჭიროებისამებრ). კოლეჯს აღნიშნულ პროგრამაზე 2019 წლის მიღებზე ჰყავდა ერთი სსსმ პირი. თუმცა ამ ეტაპზე ასეთი პირი არ ფიქსირედება.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული პარტნიორ საწარმოსთან: სს ენერგო - პრო ჯორჯიასთან. თუმცა, ელექტროობის პროგრამა ხორციელდება მოდულური მიდგომით და მიიღწევა მთლიანად კოლეჯში. შესაბამისად, ინტერვიურებისას ხარისხის მართვის მენეჯერმა განმარტა, რომ კოლეჯს მემორანდუმები გაფორმებული აქვს მხოლოდ პროგრამის მდგრადობის შესანარჩუნებლად და აღნიშნულ პარტნიორს გამოიყენებს საჭიროების შემთხვევაში. ამის გათვალისწინებით, მემორანდუმი ზოგადი ხასიათისაა, დაწესებულების განმარტებით, პროგრამის განხორციელების დროს გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე მოხდება დამატებითი ხელშეკრულებების გაფორმება.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან დაწესებულება თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

6. დაწესებულებაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, საკლასო ოთახში განთავსებულია პირველადი დახმარების ყუთი, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია უსაფრთხოების წესები, გამაფრთხილებელი, ამკრძალავი და დამშვები ნიშნები, სამუშაო ლაბორატორიაში არის ქსელური დამიწება. ინტერვიურებით გაირკვა, რომ სტუდენტების უსაფრთხოებაზე იდენტიფიცირებულია პასუხისმგებელი პირი - მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.4.1.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით,**

   **დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

   - საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასწავლო და კალენდარული გეგმები;
- პარტიორ კომპანიასტან სს ენერგო პრო ჯორჯიასთან გაფორმებული მემორანდუმი;
- ინდ. სასწავლო გეგმა;
- დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი და ფაქტობრივი მდგომარეობა;
- განმახორციელებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები.

*შეფასება:*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესის VIII თავი განსაზღვრავს შეფასების სისტემას, შეფასების ინსტრუმენტებსა და შეფასების უწყისის წარმოების მექანიზმებს. შიდა მარეგულირებელი აქტი ადგენს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური შეფასების სისტემის არსებობის სავალდებულოობას.

   შეფასების ინსტრუმენტებს ადგენს პროფესიული განათლების მასწავლებელი. კოლეჯის მიერ დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტების ფორმა და განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტების წარმოდგენის ვადები.

   პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენის შემდეგ, სასწავლო პროცესის მენეჯერი ვალიდაციის პროცესში რთავს პროგრამის ხელმძღვანელს ან სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს, რომლებიც ახორციელებენ შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას. სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური და პროგრამის ხელმძღვანელი - შინაარსობრივი მხარის შემოწმებას. ხარვეზების შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტი უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს რეკომენდაციებით/შენიშვნებით/მითითებებით, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარადგინოს შესწორებული სახით. შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტი გამოიყენება პროფესიულ სტუდენტის შეფასების მიზნებისათვის. დაუშვებელია შეფასების დროს ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, რომელიც არ არის შეთანხმებული კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან.

   კოლეჯში დარეგულირებულია განმეორებითი შეფასებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმებიც, რომელთა შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების საკითხი დადასტურებულ იქნა პროფესიულ სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას.

   კოლეჯის მიერ წარმოდგენილია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის შევსებული ფორმები, რიგ შემთხვევებში გაცემულია რეკომენდაციები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაციისა და შეფასების ადმინისტრირების პროცესები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და დაცულია სამართლიანობის პრინციპები, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ნაწილში, რაც დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსერტთა ჯგუფის ინტერვიურების გზით, მათ შორის კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთათვის შეფასების შედეგების გაცნობა.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N04-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმებს. შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია ვერიფიკაციის მიზნები, ვერიფიკაციის პროცესის ადმინისტრირების საკითხები, მათ შორის ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები, ვერიფიკაციის პროცესიში რისკ ფაქტორების განსაზღვრის წესი, ვერიფიკაციის დასკვნების შედგენისა და განხილვის მიდგომები, რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმის შედგენისა და ამ გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

3. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესის** VIII თავი განსაზღვრავს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების/მონაცემების/ინფორმაციის სათანადო აღრიცხვის, შევსებისა და შენახვის წესებს.

   შევსებული შეფასების ინსტრუმენტები ინახება კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან ან/და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში. შეფასების უწყისი ინახება უვადოდ.

   პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგები ფორმდება შესაბამისი უწყისით. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს/ინფორმაციას/მტკიცებულებებს გადასცემს კოლეჯის სასწავლო პროცესის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მენეჯერს ან პროგრამის ხელმძღვანელს სათანადო აღრიცხვის მიზნით. საბოლოოდ კი პროგრამის ხელმძღვანელი მონაცემებს გადასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომელიც მტკიცებულებებს აღრიცხავს ელექტრონული ან მატერიალური ჟურნალის საშუალებით.

მტკიცებულებების აღრიცხვის ჟურნალს ავსებს სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, პროფესიული სტუდენტების სახელი და გვარი, ჯგუფის ნომერი, პროგრამის დაწყებისა და დასრულების თარიღი, პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა, მტკიცებულებების შენახვის ადგილი. მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით იქნა გადამოწმებული.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

4. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესის** VIII თავი განსაზღვრავს შეფასების შედეგების გათვალისინებას პროფესიული სტუდენტების სწავლის პროცესის გაუმჯობესებისათვის.

პროფესიულ სტუდენტს სხვადასხვა გზით აქვს კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის მენეჯერისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, დამატებითი საათების განმავლობაში, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით.

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია დირექტორის მიერ საკვალიფიკაციო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.
პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის შედეგად ხდება პროფესიული სტუდენტისათვის რეკომენდაციების გაცემა, პროგრამის განვითარება, მოდულების რიგითობის განსაზღვრა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი, საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.
აღნიშნული მექანიზმების ეფექტიანობა დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და კურსდამთავრებულებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას.
**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**
დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესი;
- კოლეჯის მიერ დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტების ფორმა;
- შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის შევსებული ფორმები;
- პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოები;
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N04-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები";
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მისი დანართები;
- ვერიფიკაციის ანგარიში;
- პროფესიულ სტუენტებთან, პერსონალთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1. *სასმელების წარმოება*

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | „სასმელების წარმოება“ |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | საშუალო (მე-4 დონე) |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასურსათო პროდუქტების წარმოებაში / Secondary Vocational Qualification in Food Production |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0721 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | დამტკიცება 15/03/2021 N04-31/ცვლილება 16/03/2023 N 04-61 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | • მცხეთა-მთიანეთი, მცხეთა, სოფ.წინამძღვრიანთკარი;<br>• შპს ქართული ლეგენდა -მცხეთა, სოფ.საგურამო<br>• შპს ქართული ლიმონათი-მცხეთა, სოფ.ნატახტარი<br>• ს.ს. "სარაჯიშვილი"<br>• ქართული ლუდის კომპანია (ზედაზენი) |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 20 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 85 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 115 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

*9.სასმელების წარმოება*

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | სრულ შესაბამისობაშია |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | | სრულ შესაბამისობაშია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 9. სასმელების წარმოება

### 2. საგანმანათლებლო პროგრამები

### 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„სასმელების წარმოების“**, განხორციელებისათვის სსიპ ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი'' არსებობის ვადით, სარგებლობის უფლებით, ფლობს ძირითად სასწავლო ფართს, რომელიც მდებარეობს მცხეთის რაიონში სოფელ წინამძღვრიანთკარში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულების მიერ შერჩეული სასწავლო გარემო შეადგენს:

   - **A სასწავლო გარემო** - შერჩეულია ერთი აუდიტორია, სადაც განთავსებულია 15 პროფესიული სტუდენტისათვის მაგიდა და სკამი, პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის მაგიდა და სკამი, 1 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი 1 ცალი, დაფა 1 ცალი.
   - **B სასწავლო გარემო** - შერჩეულია 2 აუდიტორია, თითოეულში განთავსებულია მაგიდა და სკამი 15 პროფესიული სტუდენტისათვის, მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, 15 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის; 1 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი 1 ცალი, დაფა 1 ცალი, კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები) 1 ცალი.
   - კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის მიზნებისათვის მოწყობილი აქვს ოთხი **B სასწავლო გარემო,** თითოეული აუდიტორია გათვლილია 15 პროფესიული სტუდენტისათვის და აღჭურვილია მოცემული სასწავლო გარემოს აღჭურვილობისათვის განსაზღვრული მატერიალური რესურსით.
   - **C სასწავლო გარემო** - ქიმიური ლაბორატორია. კოლეჯში მოწყობილია ქიმიური ლაბორატორია. მასალა-ნედლეული (მაგ. ქიმიური რეაქტივები) არის მოთავსებული კონტეინერებში, წარწერებით და ინახება მათთვის განკუთვნილ ცალკე სათავსებში. ქიმიურ ლაბორატორაში არსებული აღჭურვილობები (*გაზქურები, სინჯარები, კოლბები და სხვა)* მოხმარებაშია. პროფესიული სტუდენტები სარგებლობენ ყველა საჭირო რესურსით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი ოთხ საწარმოსთან: შპს ქართული ლეგენდა; შპს ქართული ლიმონათი; სს ქართული ლუდის კომპანია; სს სარაჯიშვილი.

მემორანდუმში გაწერილია მხარეთა ვალდებულებები, პასუხისმგებლობები და სხვა პირობები, რომლებიც არ აზიანებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს.

ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა პრაქტიკის ერთ ობიექტზე (სს ქართული ლუდის კომპანია). ჯგუფი გაესაუბრა პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელს რომელმაც დაადასტურა, რომ პროფესიული სტუდენტები სრულად არიან ჩართულები პროცესში. ობიექტის წამომადგენელმა გასაუბრებისას დადასტურდა, რომ პარტნიორი საწარმო აქტიურად თანამშრომლობს კოლეჯთან, იაზრებს ამ თანამშრომლობის მნიშვნელობას და მზად არის უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა სწავლება და კურსდამთავრებულთა დასაქმება. პრაქტიკის ობიექტები უზრუნველყოფენ არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტის პროფესიულ სწავლებას საკუთარ ბაზაზე.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულადაა უზრუნველყოფილი პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„სასმელების წარმოება“** განხორციელებაში სულ ჩართულია 34 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 17 არის ზოგადი მოდულების, ხოლო 17 - პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის ცხრილი, რომელიც მოიცავს მოდულით გასაზღვრული საკონტაქტო საათებით დატვირთვას. პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. **„სასმელების წარმოების“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს გავლილი აქვს ტრენინგები სწავლებასა და შეფასებაში.

   პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებლ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

4. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 მარტის №04-47 ბრძანებით დანიშნულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის N04-65 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობები“, რომელიც ასევე განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებს. პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროგრამის ადეკვატურ განხორციელებაზე, განსაზღვრავს პრაქტიკისა და თეორიის კომპონენტებს, ზრუნავს პროგრამის შინაარსა და მის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსის განვითარებაზე, ჩართულია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში, სასწავლო პროცესის მენჯერთან ერთად ჩართულია შეფასების მტკიცებულებების შეგროვების პროცესში, პროგრამის განხორციელებისას ახორციელებს კომუნიკაციას პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან, ყოველკვირეულად პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან მიწოდებული ინფორმაციების საფუძველზე, განიხილავს სტუდენტთა დასწრების ჟურნალსა და პროფესიული სტუდენტის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერს შესაბამისი ღნისძიების გატარების მოთხოვნით.

   პროგრამის ხელმძღვანელი არის დარგობრივი მიმართულებით შესაბამისი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების მქონე სპეციალისტი. მას უდასტურდება ასევე კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების კომპეტენცია. პროგრამის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელმძღვანელი სრულფასოვნადაა ჩართული პროგრამის განხოციელებაში და სრულად ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესის, შეფასების სისტემის, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესახებ, რაც დადგინდა პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში **„სასმელების წარმოება“**, მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით დასტურდება ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებითა და შერჩევითი პრინციპით რამდენიმე რესურსის გადამოწმების შედეგით. ამასთან, პროგრამის მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი ელექტრონული სახით პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის ელ.ფოსტაზე გაგზავნის გზით. ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.

   ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე გადამოწმებულ იქნა პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო რესურსების სარგებლობის ფაქტი, წიგნადი ფონდის მოძრაობის სტატისტიკა. განხორციელდა ინტერვიურება პროფესიულ სტუდენტებთან, მასწავლებლებთან.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

6. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი არეგულირებს პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური გეგმის შემუშვების მექანიზმს, რომლის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაძლოა შედგეს სსსმ პირისთვის, მობილობის წესით გადმოსვლისას, პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის აღდგენისას, მოდიფიცირებულ/ოპტიმიზებულ პროგრამაზე სტუდენტის გადაყვანისას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა ხორციელდება პროფესიული სტუდენტების ინტერესების შესაბამისად და მასში ჩართულნი არიან საჭიროებიდან გამომდინარე ის პასუხისმგებელი პირები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი კომპეტენცია დაგეგმონ იმგვარად სასწავლო გეგმა, რომ მიღწეული იქნას პროფესიული პროგრამით დასახული სწავლის შედეგები.

სსსმ სტატუსის მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროებაზე გადაწყვეტილებას იღებს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი ინტერდისციპლინური გუნდის დასკვნის და პროფესიული მასწავლებლის რეკომენდაციის საფუძველზე. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მიზნით იქმნება კომისია ინკლუზიური განათლების სპეციალისტის, პროფესიული მასწავლებლისა და ხარისხის მართვის მენეჯერის შემადგენლობით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ და რაოდენობრივ ცვლილებას) ან/და აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომაში ცვლილების მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტებისთვის საჭირო დამატებით საგანამანთლებლო მომსახურებას. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით.

კოლეჯის ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ ინდივიდუალური საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებს ბიბლიოთეკა ემსახურება მათი საჭიროების გათვალისწინებით. ასეთი საჭიროების პროფესიულ სტუდენტებს ეხმარება შესაბამისი სპეციალისტი, რომელიც აადვილებს პროფესიულ სტუდენტსა და ბიბლიოთეკარს შორის კომუნიკაციას. კოლეჯის ბიბლიოთეკა მათ სთავაზობს ისეთ სერვისებს, როგორიცაა: გაზრდილი შრიფტით სასწავლო მასალის ამობეჭდვა, ადაპტირებული სასწავლო მასალის შექმნის ორგანიზება და სხვა.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. **„სასმელების წარმოების“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. ბიუჯეტის შემოსავლები დაანგარიშებულია კოლეჯის მიერ განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარის მიხედვით. შემოსავალს შეადგენს ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება, ხოლო ხარჯვითი ნაწილი კლასიფიცირებულია შემდეგნაირად: მასწავლებელთა ხელფასი, ძირითადი საშუალების ცვეთა, მასალა-ნედლეულის ხარჯი, პროგრამის განვითარების ხარჯი, დიპლომების ბეჭდვა, სხვა ხარჯი (ადმინისტრაციული, კომუნალური და სხვა).

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მატერიალური რესურსისა და ინვენტარის ფლობის დოკუმენტები;
- პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა;
- პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის დასაბუთება;
- კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 მარტის №04-47 ბრძანებით დანიშნულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის N04-65 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობები“,
- კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელშიც ცვლილებები განხორციელებულია კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 17 ივნისის №04-119 ბრძანებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„სასმელების წარმოება“;**
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი და ბიუჯეტის შესრულების ანალიზის დოკუმენტები;
- პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„სასმელების წარმოება“** ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამას ახლავს სასწავლო გეგმა, რომელიც აწყობილია მოდულების ლოგიკური თანმიმდევრობით, მოდულზე დაშვების წინაპირობები დაცულია. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია პროგრამის ხელმძღვანელი და სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენს მეცადინეობის განრიგებს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას.

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის სპეციალისტი, ინკლუზიური განათლების სპეციალიტი, სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯრი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი ახორციელებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს.

სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კოლეჯში და ელ.ფოსტაზე მიწოდების გზით.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, დაისვა კითხვები მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი მოდულებისა და გავლილი მოდულების შესახებ. პროფესიული სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისობაშია პროფესიული „**სასმელების წარმოების**“ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**

2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესი** განსაზღვრავს სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ადმინისტრირებისა და ამ პროცესში პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტებთან სასწავლო პროცესის დაწყებამდე ხორციელდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, რა დროსაც მათ მიეწოდებათ ყველა ინფორმაცია პროგრამის, მათი უფლებებისა და ვალდებულებების, შესაძლებლობების, პროგრამის განხორციელების თავისებურებებისა და სხვა საკითხების შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების, კვალიფიკაციის, კრედიტის, ხანგრძლივობის ცვლილების შემთხვევაში, კოლეჯი მოიპოვებს შესაბამისი პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა თანხმობას. დისტანციურ რეჟიმში სწავლების კომპონენტები გამოიყენება ფორსმაჟორული ვითარების დროს, პროფესიულ სტუდენტთა ავადობის, ან დროებითი/ხანგრძლივი შეზღუდული შესაძლებლობების დროს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა დროებითი შრომისუუნარობის დროს, რაც გამორიცხავს კოლეჯის ტერიტორიაზე მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის ერთდროულად ყოფნას.

სსსმ პროფესიული სტუდენტების საწარმო პრაქტიკაზე განაწილება ხორციელდება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის აქტიური ჩართულობით კანონიერ წარმომადგენელთან ერთად. საჭიროების შემთხვევაში, თუ ვერ ხდება პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის ობიექტზე განაწილება კოლეჯი უფლებამოსილია გადაიტანოს საწარმოო პრაქტიკა, რისთვისაც შეაქვს ცვლილება სასწავლო გეგმაში. ამავე დოკუმენტით დარეგულირებულია პროფესიულ სტუდენტთა გაცდენების საკითხები, მათ შორის განსაზღვრულია გაცდენის საპატიო მიზეზები და მათი მოპოვების გზები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯში დარეგულირებულია შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, ამ მიზნებისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, რომელთაც დაადასტურეს დაწესებულების მაქსიმალური მხარდაჭერა მათი საჭიროების შესაბამისად, ასევე აღნიშნეს, რომ თუ რაიმე საჭიროება დგება, კოლეჯი მყისიერად რეაგირებს და ხელს უწყობს მათ სასწავლო პროცესში.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. **„სასმელების წარმოების“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამისათვის პროგრამის მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, არსებობს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო. გასაუბრებისას დადასტურდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვნელს აქვთ შესაბამისი კომპეტენცია სასწავლო პროცესში გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის კოლეჯს მოძიებული ყავს ახალი პარტნიორი ორგანიზაცია.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

4. **„სასმელების წარმოების“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე კოლეჯში შემუშავებულია მექანიზმი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის აუცილებლობა წარმოიშობა შემდეგი გარემოებების არსებობისას: სსსმ პირი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მობილობით გადმოსულია პირი, პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას, უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ორჯერ.

   დაწესებულებამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და პროფესიული სტუდენტების, მათი წარმომადგენლების მიერ გაცნობის ფაქტების დამადასტურებელი დოკუმენტები.

   ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ინტერვიურებისას პროფესიულ სტუდენტებმა დაადასტურეს კოლეჯის მიერ მათი საჭიროებების გათვალისწინებისა და დაკმაყოფილების ფაქტები.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. **„სასმელების წარმოების“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულია პრაქტიკის ოთხი ობიექტი: შპს ქართული ლეგენდა; შპს ქართული ლიმონათი; სს ქართული ლუდის კომპანია; სს სარაჯიშვილი;

   მემორანდუმებში გაწერილია მიზანი და საგანი, მხარეები თანხმდებიან, რომ ითანამშრომლებენ „სასმელების წარმოების“ პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევაზე. მემორანდუმში ასევე გაწერილია მემორანდუმის მოქმედების ვადა (2 წელი) და ძალაში შესვლის თარიღი (ხელმოწერის მომენტიდან). აღნიშნულ მუხლში მითითებულია მემორანდუმის შეწყვეტის პირობები. მიზნების რეალიზაციაში აღწერილია თუ რა ფორმით იქნება ურთიერთთანამშრომლობა აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღებას შეძლებს პრაქტიკის ობიექტი საკუთარ ბაზაზე (არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტი) და სხვა პირობები. მემორანდუმებს თან ერთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სასმელების წარმოება“, პრაქტიკის ობიექტებზე გატანილი სწავლის შედეგები და პრაქტიკის ობიექტზე არსებული ინვენტარი/აღჭურვილობა.

   ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა პრაქტიკის ერთ ობიექტზე (სს ქართული ლუდის კომპანია). ჯგუფი გაესაუბრა პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელს რომელმაც დაადასტურა, რომ პროფესიული სტუდენტები სრულად არიან ჩართულები პროცესში. ობიექტის წამომადგენელმა გასაუბრებისას დადასტურდა, რომ პარტნიორი საწარმო აქტიურად თანამშრომლობს კოლეჯთან, იაზრებს ამ თანამშრომლობის მნიშვნელობას და მზად არის უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა სწავლება და კურსდამთავრებულთა დასაქმება.

   **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

6. **„სასმელების წარმოების“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ მოდულების სწავლება, რომლებიც დაგეგმილია კოლეჯის ბაზაზე, არ მოითხოვს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმებს.

   ქიმიურ ლაბორატორიაში გამოკრულია შესაბამისი წესები და ინსტრუქციები და მოდულის განმახორციელებელი პირი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა ინსტრუქტაჟს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული მექანიზმების გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ სასწავლო გარემოს დათვალიერებითა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიურებისას.
**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„სასმელების წარმოება“** და მისი დანართები;
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესი;
- კოლეჯსა და პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- პროფესიული სტუდენტებისათვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმი და მათი გაცნობის მტკიცებულებები;
- კოლეჯსა და პარტნიორ დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- პროფესიულ სტუდენტებთან, კოლეჯის პერსონალთან, კურსდამთავრებულებებთან და პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესის VIII თავი განსაზღვრავს შეფასების სისტემას, შეფასების ინსტრუმენტებსა და შეფასების უწყისის წარმოების მექანიზმებს. შიდა მარეგულირებელი აქტი ადგენს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური შეფასების სისტემის არსებობის სავალდებულოობას.

   შეფასების ინსტრუმენტებს ადგენს პროფესიული განათლების მასწავლებელი. კოლეჯის მიერ დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტების ფორმა და განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტების წარმოდგენის ვადები.

   პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენის შემდეგ, სასწავლო პროცესის მენეჯერი ვალიდაციის პროცესში რთავს პროგრამის ხელმძღვანელს ან სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს, რომლებიც ახორციელებენ შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას. სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური და პროგრამის ხელმძღვანელი - შინაარსობრივი მხარის შემოწმებას. ხარვეზების შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტი უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს რეკომენდაციებით/შენიშვნებით/მითითებებით, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარადგინოს შესწორებული სახით. შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტი გამოიყენება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტის შეფასების მიზნებისათვის. დაუშვებელია შეფასების დროს ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, რომელიც არ არის შეთანხმებული კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან.

კოლეჯში დარეგულირებულია განმეორებითი შეფასებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმებიც, რომელთა შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების საკითხი დადასტურებულ იქნა პროფესიულ სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის შევსებული ფორმები, რიგ შემთხვევებში გაცემულია რეკომენდაციები.

შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაციისა და შეფასების ადმინისტრირების პროცესები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და დაცულია სამართლიანობის პრინციპები, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ნაწილში, რაც დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსერტთა ჯგუფის ინტერვიურების გზით, მათ შორის კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთათვის შეფასების შედეგების გაცნობა.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N04-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმებს. შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია ვერიფიკაციის მიზნები, ვერიფიკაციის პროცესის ადმინისტრირების საკითხები, მათ შორის ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები, ვერიფიკაციის პროცესიში რისკ ფაქტორების განსაზღვრის წესი, ვერიფიკაციის დასკვნების შედგენისა და განხილვის მიდგომები, რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმის შედგენისა და ამ გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესის** VIII თავი განსაზღვრავს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების/მონაცემების/ინფორმაციის სათანადო აღრიცხვის, შევსებისა და შენახვის წესებს.

შევსებული შეფასების ინსტრუმენტები ინახება კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან ან/და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში. შეფასების უწყისი ინახება უვადოდ.

პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგები ფორმდება შესაბამისი უწყისით. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს/ინფორმაციას/მტკიცებულებებს გადასცემს კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერს ან პროგრამის ხელმძღვანელს სათანადო აღრიცხვის მიზნით. საბოლოოდ კი პროგრამის ხელმძღვანელი მონაცემებს გადასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომელიც მტკიცებულებებს აღრიცხავს ელექტრონული ან მატერიალური ჟურნალის საშუალებით.

მტკიცებულებების აღრიცხვის ჟურნალს ავსებს სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, პროფესიული სტუდენტების სახელი და გვარი, ჯგუფის ნომერი, პროგრამის დაწყებისა და დასრულების თარიღი, პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა, მტკიცებულებების შენახვის ადგილი. მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით იქნა გადამოწმებული.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

4. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესის** VIII თავი განსაზღვრავს შეფასების შედეგების გათვალისინებას პროფესიული სტუდენტების სწავლის პროცესის გაუმჯობესებისათვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტს სხვადასხვა გზით აქვს კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის მენეჯერისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, დამატებითი საათების განმავლობაში, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით.

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია დირექტორის მიერ საკვალიფიკაციო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის შედეგად ხდება პროფესიული სტუდენტისათვის რეკომენდაციების გაცემა, პროგრამის განვითარება, მოდულების რიგითობის განსაზღვრა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი, საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

აღნიშნული მექანიზმების ეფექტიანობა დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და კურსდამთავრებულებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესი;
- კოლეჯის მიერ დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტების ფორმა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის შევსებული ფორმები;
- პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოები;
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N04-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მისი დანართები;
- ვერიფიკაციის ანგარიში;
- პროფესიულ სტუენტებთან, პერსონალთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

10.მეხილეობა

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | „მეხილეობა" |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | საშუალო(მე-4 დონე) |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში / Secondary Vocational Qualification in Agriculture |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0811 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | დამტკიცება:23/09/2019 N 04-95/ბოლო ცვლილება:09/03/2023 N 04-55 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | • მცხეთა-მთიანეთი, მცხეთა; სოფ. წინამძღვრიანთკარი;<br>• რაიონული კოოპერატივი დვალეთი;<br>• სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 30 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | 30 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 148 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 178 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი 10.მეხილეობა*

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | | სრულ შესაბამისობაშია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

*10. მეხილეობა*

2. საგანმანათლებლო პროგრამები

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. მონიტორინგის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა სასწავლო გეგმების, კალენდარული გეგმებისა და სასწავლო ცხრილების შესაბამისობა და ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო გეგმის შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. მეხილეობის არაინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 90 კრედიტს, ხოლო ინტეგრირების შემთხვევაში -148 კრედიტს. მეხილეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია სასწავლო გეგმა კოლეჯში არსებული რეგულაციებისა და სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად, მოდულების სწავლება სასწავლო ცხრილებში დაგეგმილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების, პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვების, განმეორებითი შეფასებისთვის განსაზღვრული შუალედების მიხედვით. კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 სთ-ს.

   **ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის 2.4.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად;**

2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით. სასწავლო პროცესი რეგულირდება კოლეჯის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით"", რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებას. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში მონიტორინგის ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია, ჩატარდა ინტერვიუები, რომლის ფარგლებში ისინი გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებს და პროფესიული განათლების მასწავლებლებს და დადასტურდა, რომ დაწესებულება ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით.

   **ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის 2.4.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და კოლეჯის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. „მეხილეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება მოდულებში მითითებული სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, თითოეული მოდული ითვალისწინებს სწავლების ისეთ თანამედროვე მეთოდებს და ტექნოლოგიებს, როგორიცაა: ინტერაქტიული ლექცია; სასწავლო მასალების დემონსტრირება; ჯგუფური მუშაობა; დისკუსია; ვიდეოს ჩვენება; სასწავლო ექსკურსია; პრაქტიკული მეცადინეობა, ლაბორატორიული მეცადინეობა და სხვ. პროგრამა აღჭურვილია ყველა იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რაც უზრუნველყოფს დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების სწავლებას საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში. კოლეჯი სისტემატიურად უწევს ორგანიზებას მასტერკლასების, პროფესიული განათლების მასწავლებლებს შორის სწავლების /შეფასების თანამედროვე მეთოდების ნაწილში გამოცდილების ურთიერთგაზიარების სამუშაო შეხვედრებს.

რაც შეეხება პრაქტიკის ობიექტს, წინა ვიზიტის ფარგლებში მომზადებულ დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ პრაქტიკისათვის განკუთვნილი ხეხილის ბაღი მოუვლელი იყო და არსებობდა მისი განადგურების საფრთხე. ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა კოლეჯის ტერიტორიაზე არსებული სათბურებიც.

დაწესებულებამ ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შედგენილი დასკვნის პროექტის გაცნობის საფუძველზე შეიმუშავა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახული ხარვეზების გამოსწორების მიზნით და წარმოადგინა დირექტორის მიერ 2022 წლის 25 აგვისტოს N 04-143 ბრძანებით დამტკიცებული „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, რომელიც ითვალისწინებდა იდენტიფიცირებული არასრულ შესაბამისობის აღწერას, სტანდარტისა და კომპონენტის ნომერს, შესაბამისობის ტიპს (მეტწილი/ნაწილობრივი), შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობებს, დაწყების სავარაუდო თარიღს, დასრულების სავარაუდო თარიღს, დროს (თვეებში), შეფასების მომენტიდან დასრულებამდე პასუხისმგებელი პირს/სტრუქტურული ერთეულს, შემსრულებელს, სხვა ჩართულ მხარეებს, დაფინანსების წყაროს, დაფინანსების ოდენობას, მატერიალური რესურსებს, შესრულების ინდიკატორებს, დადასტურების წყაროს, რისკებს და ამ რისკის დადგომის ალბათობას. ხარვეზის აღმოსაფხვრელად გამოთქმული მზაობის გათვალისწინებით გაცემული იყო შესაბამისობის რეკომენდაცია - დაწესებულებამ „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით“ დადგენილ ვადებში უზრუნველყოს უნიკალური ხეხილის ბაღის მოვლა-პატრონობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონიტორინგის ექსპერტებმა განახორციელეს ვიზიტი პრაქტიკის ობიექტზე, გადამოწმდა როგორც ხეხილის ბაღის, ისე სათბურების მდგომარეობა. დღეისათვის ხეხილის ბაღი დამუშავებული და მოვლილია, ხეხილი ფორმირებულია, ასევე, თანამედროვე, კლიმატ-რეჟიმის მართვის აპარატურით არის აღჭურვილი სათბური ხეხილის ნერგების საწარმოებლად. პროფესიული სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული პრაქტიკულ სამუშაოებში როგორც ღია გრუნტში არსებულ ხეხილის ბაღში, ისე სათბურში, სადაც სხვადასხვა თესლოვანი, კურკოვანი და კენკროვანი ხეხილის ნერგი იწარმოება.

**ავტორიზაციის ჯგუფის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის 2.4.1.3. ფარგლებში გაცემული შესაბამისობის რეკომენდაცია ამჟამად სრულადაა შესრულებული და დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიები;**

4. დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში" გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა. აღნიშნული მექანიზმის მიხედვით პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება დგება თუ იგი არის: ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი (სსსმ პირი); ბ) პროფესიული სტუდენტი, რომელმაც ისარგებლა მობილობის უფლებით (საჭიროებისამებრ); გ) სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტი (საჭიროებისამებრ); დ) მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანილი პროფესიული სტუდენტი; ე) პროფესიული სტუდენტები, რომელსაც სასწავლო პროცესში აქვს შეფერხება ფორს-მაჟორული ვითარების გამო (საჭიროებისამებრ). ამ ეტაპისთვის ინდივიდუალური საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი დაწესებულებას არ ჰყავს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დაწესებულებას აქვს მზაობა და შესაბამისი მექანიზმები შეიმუშავოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და განახორციელოს მათი გამოყენებით სასწავლო პროცესი.

**ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით, წარმოდგენილი მექანიზმების გათვალისწინებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას უზრუნველყოფილია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები და ინდიკატორის 2.4.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება მოდულური მიდგომით და სწავლის შედეგების 100% მიიღწევა მთლიანად კოლეჯში. თუმცა, პროგრამის მდგრადობის შესანარჩუნებლად კოლეჯს გაფორმებული აქვს 2 მემორანდუმი (სსიპ სამეცნიერო-კვლვით ცენტრთან და კოოპერატივ „დვალეთთან“) და აღნიშნულ პარტნიორებს გამოიყენებს საჭიროების შემთხვევაში. ამასთანავე კოოპერატივ „დვალეთთან აქვს მემორანდუმი მისი ტექნიკური საშუალებების გამოყენების მიზნით. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის 2.4.1.5 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და პსდ თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.**
6. კოლეჯის დირექტორის №04-40 ბრძანების დანართი N9-ით დამტკიცებულია უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი, რომლის ფარგლებშიც კოლეჯი უზრუნველჰყოფს: სახანძრო უსაფრთხოებას; სამედიცინო დახმარების აღმოჩენას კოლეჯის შენობა-ნაგებობაში და მის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის, რომელიც საჭიროებს აღნიშნულ დახმარებას, რაც მნიშვნელოვანია „მეხილეობის“ სასწავლო პროგრამის სპეციფიკიდან და შინაარსიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას პრაქტიკული ქმედებების განხორციელების დროს აუცილებელია სპეციფიკური უსაფრთხოების ნორმების ცოდნა და გათვალისწინება. აღნიშნულის დაკმაყოფილების მიზნით სასწავლო დაწესებულებას გაწერილი აქვს პროფესიული უსაფრთხოების ნორმები და პროფესიული განათლების მასწავლებელი/ სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი/ პრაქტიკის ხელმძღვანელი ვალდებულია საქმიანობის განხორციელებამდე გააცნოს ისინი პროფესიულ სტუდენტს და მოუწოდოს უსაფრთხოების წესების შესრულებისკენ. დაწესებულებაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და დამუხტული ცეცხლმაქრები, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია უსაფრთხოების წესები.

   **ამრიგად, დაწესებულების სამუშაო გარემოში დაცულია უსაფრთხოების წესები დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით და ინდიკატორის 2.4.1.6 მოთხოვნები სრულ შესაბამისობაშია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „მეხილეობა“, სასწავლო გეგმები, კალენდარული გეგმები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პარტნიორებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან და  პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებით;

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2. **შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურება**ს.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 ნოემბრის ბრძანება N 04-224-ით და 2023 წლის 12 იანვრის ბრძანება N04-05-ით განხორციელებული იქნა ცვლილებები „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“. ცვლილებები ეხება სტუდენტთა სწავლის შედეგების გადაბარებას, შეფასების ინსტრუმენტებისა დაკალენდარული გეგმის შედგენას.

   დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა, რომელიც გაწერილია დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს შეფასების სისტემას, შეფასების ინსტრუმენტებსა და შეფასების უწყისის წარმოების მექანიზმებს. შიდა მარეგულირებელი აქტი ადგენს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური შეფასების სისტემის არსებობის სავალდებულოობას. შეფასების ინსტრუმენტებს ადგენს პროფესიული მასწავლებელი. კოლეჯის მიერ დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტების ფორმა, განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტების წარმოდგენის ვადები და ხორციელდება შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია დაწესებულების მიერ გაწერილი მარეგულირებელი წესების დაცვით. კოლეჯში დარეგულირებულია განმეორებითი შეფასებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმებიც. 2.4.2.1 ინდიკატორის ფარგლებში წინა ვიზიტისას გაცემული იყო განმავითარებელი რეკომენდაცია: რეკომენდებულია დაწესებულებამ იზრუნოს შეფასების ინსტუმენტების დახვეწა-გაუმჯობესებაზე. კოლეჯს გათვალისწინებული და შესრულებული აქვს ეს რეკომენდაცია, რაც დასტურდება კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 ნოემბრის ბრძანება N 04-224-ით და 2023 წლის 12 იანვრის ბრძანება N04-05-ით „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ ცვლილებების შესახებ. ცვლილებები ეხება სტუდენტთა სწავლის შედეგების გადაბარებას, შეფასების ინსტრუმენტებისა და კალენდარული გეგმის შედგენას.

   ამდენად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემა, რომელიც ექსპერტთა მოსაზრებით **არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი და ინდიკატორის 2.4.2.1 მოთხოვნები შესაბამისობაშია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მიზნით კოლეჯში მოქმედებს 2019 წლის 28 მაისის N04-26 ბრძანებით (დანართი N1; ცვლილება N04-45 09.03.2022) დამტკიცებულია „სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელშიც განსაზღვრულია ვერიფიკაციის პროცესი: ვერიფიკაციის ჯგუფის ძირითადი ამოცანები, ვერიფიკაციის მიმართულებები და გაწერილია ძირითადი ეტაპები, რომლებიც მოიცავს ვერიფიკაციის გეგმის შედგენას, ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევას, განხილვის ორგანიზებას, ფაქტობრივ გარემობებზე შეთანხმებას და ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენას. ექსპერტთა მიერ გადამოწმებულ იქნა ვერიფიკაციის პროცესი და შედეგები. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა წარმოადგინა ვერიფიკაციის გეგმა, შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტები უკვე დასრულებული მოდულებისთვის და დასკვნა, სადაც დაფიქსირებულია რეკომენდაციები შეფასების ინსტრუმენტებთან მიმართებაში.

   მონიტორინგის ჯგუფის ექსპერტთა მიერ დადგინდა, **რომ ინდიკატორის 2.4.2.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

3. სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებლი წესით“ განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტთა შეფასების დოკუმენტაციის წარმოების წესი. ამ დოკუმენტით რეგულირდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის პროცედურები, აგრეთვე გაწერილია მტკიცებულებების აღრიცხვის წესიც. აღნიშნული წესის თანახმად, შევსებული შეფასების ინსტრუმენტები ინახება კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან ან/და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში, ხოლო უწყისი ინახება უვადოდ.

   წინა ვიზიტის ფარგლებში 2.4.2.3 ინდიკატორის ფარგლებში გაცემული იყო განმავითარებელი რეკომენდაცია: „სასწავლო პროცესის მარეგულირებლ წესში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობაა „შევსებული შეფასების ინსტრუმენტების“ ნაცვლად ჩანაცვლდეს „შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები“. მონიტორინგის ექსპერტთა მიერ განხორციელებული შემოწმებით დადგინდა, რომ ეს რეკომენდაცია შესრულებულია და ტექნიკური უზუსტობა გასწორებულია, რაც დასტურდება კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 12 იანვრის ბრძანება N04-



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

05-ით „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესის დამტკიცების თაობაზე 2019 წლის 13 დეკემბრის N 04-152 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

**ამდენად, ინდიკატორის 2.4.2.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია - დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

4. კოლეჯში მოქმედი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ განსაზღვრავს შეფასების შედეგების გათვალისწინებას პროფესიული სტუდენტების სწავლის პროცესის გაუმჯობესებისათვის. აღნიშნული დოკუმენტით რეგულირდება შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების და კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა. პროფესიული სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან და სწავლის შედეგებთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია მათი პერსონალური მონაცემები. სტუდენტთა შეფასების შედეგები ასევე გამოიყენება მათი განვითარების კუთხითაც და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის შედეგად ხდება პროფესიული სტუდენტისათვის რეკომენდაციების გაცემა.

მონიტორინგის ექსპერტთა მოსაზრებით, **ინდიკატორის 2.4.2.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეხილეობა“, სასწავლო გეგმა, მოდულები;
- 2019 წლის 28 მაისის N04-26 ბრძანებით (დანართი N1; ცვლილება N04-45 09.03.2022) დამტკიცებულია „სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N 04-152 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება 2022 წლის 18 ნოემბრის ბრძანება N 04-224 და 2023 წლის 12 იანვრის ბრძანება N04-05);
- შიდა ვერიფიკაციის წესი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შიდა ვერიფიკაციის დასკვნები/ანგარიშები;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- შეფასების ინსტრუმენტები და შეფასების მტკიცებულებები;
- კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი.

29.05.2023 წელი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: